



ՏԵԽՆՈԼՈԳԻԱ

ARCHEION

XXVII



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა
და სპორტის სამინისტროს საქვეუწყებო
დაწესებულება – საარქივო სამმართველო

*Sub-department of Ministry of Education and Sport
of Ajara Autonomous Republic – Archives Administration*

ISSN 2233-3541

E-ISSN 3088-4284

არხეიონი

ARCHEION

XXVII

თბილისი 2025 Tbilisi

სარედაქციო საბჭო:

მაია ივანიშვილი (სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე – აჭარის საარქივო სამმართველო), **თამაზ ფუტკარაძე** (რედაქტორი – აჭარის საარქივო სამმართველო, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი), **ბესიკ ბაუჩაძე** (აჭარის საარქივო სამმართველო, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი), **ნატო ქიქავა** (ინგლისური ტექსტის რედაქტორი – აჭარის საარქივო სამმართველო), **ნათია ფუტკარაძე** (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი), **ოთარ გოგოლიშვილი** (ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი), **მერაბ კეზევაძე** (ქუთაისის ცენტრალური არქივი), **ჯემალ კარალიძე** (ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი), **ციური ქათამაძე** (ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი), **ირაკლი ბარამიძე** (ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი), **მერაბ მეგრელიშვილი** (ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი), **როზეტა გუჯეჯიანი** (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი), **ლევან ჯიქია** (საქართველოს ეროვნული არქივი, ზუგდიდის უნივერსიტეტი), **გაბრიელა ბელოვა** (ბლაგოვეგრადის ნეოფიტ-რილსკის უნივერსიტეტი), **ჟენია ბოგატუ** (კიშინიოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი), **ჰელენა ჰოლცბერგერი** (მიუნხენის ლიუდვიგ მაქსემილიანის უნივერსიტეტი), **ლიუბოვ ლისკი** (ჰელსინკის უნივერსიტეტი), **ვიჩესლავ ოლიტსკი** (სუმის მაკარენკოს სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტი), **დოროტა მიჩალუკი** (ისტორიისა და საარქივო მეცნიერებათა ინსტიტუტი, ნიკოლოზ კოპერნიკის უნივერსიტეტი ტორუნში, პოლონეთი), **მილენა ანგელოვა** (სოფიის უნივერსიტეტი), **ელლა საგინაძე** (პეტერბურგის ჩრდილო – დასავლეთის ინსტიტუტი)

*კრებულში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნით ავტორებს და შესაძლოა არ ასახავდეს სარედაქციო საბჭოს შეხედულებებს.
ავტორების სტილი დაცულია.*

Editorial Board:

Maia Ivanishvili (chairman of editorial board – Archives Administration of Ajara), **Tamaz Phutkaradze** (editor – Archives Administration of Ajara, Batumi Shota Rustaveli State University), **Besik Bauchadze** (Batumi Shota Rustaveli State University), **Nato Kikava** (editor of English Texts – Archives Administration of Ajara), **Natia Putkaradze** (Ivane Javakhishvili Tbilisi State University), **Otar Gogolishvili** (Batumi Shota Rustaveli State University), **Merab Kezevadze** (Kutaisi Central Archives), **Jemal Karalidze** (Batumi Shota Rustaveli State University), **Tsiuri Katamadze** (Batumi Shota Rustaveli State University), **Irakli Baramidze** (Batumi Shota Rustaveli State University), **Merab Megrelishvili** (Batumi Shota Rustaveli State University), **Rozeta Gujejiani** (Ivane Javakhishvili Tbilisi State University), **Levan Jikia** (National Archives of Georgia, University of Zugdidi), **Gabriela Belova** (Blagoevgrad, Neofit-Rilski University, Bulgaria), **Zhenia Bogatu** (Kishinev University, Moldova), **Helena Holzberger** (Ludwig Maximilian University, Munich), **Lyubov Liski** (University of Helsinki), **Viacheslav Olitski** (Sumy State Pedagogical University AS Makarenko), **Dorota Michaluk** (Institute of History and Archival Sciences, Nicolaus Copernicus University in Torun, Poland), **Milena Angelova** (Sofia University), **Ella Saginadze** (North-West Institute of St. Petersburg)

*Any opinion expressed in the book belongs to the author and may not reflect the view of the editorial board.
Authors' style reserved*



წინამდებარე სამეცნიერო ჟურნალის ობიექტის ციფრული იდენტიფიკატორი (DOI) მინიჭებულია პროფ. ტარიელ ფუტკარაძის ქართველოლოგიის საერთაშორისო საზოგადოების „მეცნიერთა მხარდაჭერის“ პროექტის ფარგლებში.

მთავარი რედაქტორის წინასიტყვა

მკითხველის წინაშე სამსჯავროზე გამოგვაქვს აჭარის საარქივო სამმართველოს სამეცნიერო ჟურნალ *არხეიონის* მორიგი 27-ე ნომერი. მასში წარმოდგენილია როგორც სხვადასხვა დარგის მკვლევართა ნაშრომები, ასევე საარქივო დოკუმენტური წყაროები. ჟურნალი შესაძლებლობას აძლევს მკითხველს საზოგადოებას გაეცნოს ისტორიული წყაროებისა და კულტურული მემკვიდრეობის კვლევის პროცესში მიღწეული ახალი შედეგები. ჟურნალში დაბეჭდილი სტატიები ეყრდნობა როგორც საარქივო დოკუმენტურ წყაროებსა და სამეცნიერო ლიტერატურას, ასევე თანამედროვე ჰუმანიტარულ მეცნიერებებში აპრობირებულ მეთოდებს და ინტერდისციპლინარულ ხედვებს. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია საქართველოს ისტორიის, ასევე ყოფისა და კულტურის ნაკლებად ცნობილ პრობლემებზე.

ჟურნალში მკითხველი გაეცნობა ჯვრისწერასთან დაკავშირებულ დოკუმენტებს, რომლებიც დაცულია აჭარის საარქივო სამმართველოს ფონდებში, ნიკო ბერძენიშვილის ცხოვრებისა და მეცნიერული მემკვიდრეობის ამსახველ მონაცემებს, ეროვნული გვარდიის გენეზისის საკითხებს, 1923 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მასალებს და სხვ.

ვფიქრობთ, რომ ჟურნალში დაბეჭდილი სამეცნიერო სტატიები და საარქივო დოკუმენტური წყაროები არა მხოლოდ გაამდიდრებს არსებულ ცოდნას, არამედ წახალისებს მომავალ მკვლევარებს წარსულისა და თანამედროვეობის უმნიშვნელოვანესი საკითხების მეცნიერული შესწავლისათვის.

თამაზ ფუტკარაძე

პროფესორი

აჭარის საარქივო სამმართველოს სამეცნიერო
ჟურნალ *არხეიონის* მთავარი რედაქტორი

The Editor-in-chief's Foreword

We present to the readers the 27th issue of the scholarly journal *Archeion* of the Ajara Archives Administration. It presents the works of researchers in various fields, as well as archival documentary sources. The magazine provides the reading public with the opportunity to get acquainted with new results achieved in the process of researching historical sources and cultural heritage. The articles published in the magazine are based on both archival documentary sources and scientific literature, as well as methods and interdisciplinary perspectives proven in modern humanitarian sciences. Special attention is paid to less-known problems of Georgian history, as well as life and culture.

In the magazine, the reader will get acquainted with documents related to the wedding (church ceremony), which are preserved in the funds of the Ajara Archives Administration, data reflecting the life and scientific heritage of Niko Berdzenishvili, issues of the genesis of the National Guard, materials from the 1923 agricultural census, etc.

We think that the scientific articles and archival documentary sources printed in the magazine will not only enrich the existing knowledge, but also encourage future researchers for the scientific study of the most important issues of the past and present.

Tamaz Putkaradze

Professor

*The Editor-in-Chief of the Scholarly Journal of the Ajara Archives
Administration — **Archeion***

ჯვრისწერასთან დაკავშირებული მოწმობების კოლექცია
(აჭარის საარქივო სამმართველოში დაცული დოკუმენტების მიხედვით)

Collection of Certificates Related to the Wedding (Church Ceremony)
(According to the Documents Kept in the Archives Administration of Ajara)

მაია რურუა

აჭარის საარქივო სამმართველო
ბათუმი, საქართველო

MAIA RURUA

Archives Administration of Ajara
Batumi, Georgia

Abstract. Wedding (church ceremony), as a religious and ethnocultural practice, played and continues to play an important role in the spiritual life of various peoples. In the context of wedding (church ceremony), written documents were kept, oral traditions were created, records of gifts and clergy, photo documents, etc. Such documents or traditions reflect not only the process of wedding (church ceremony) and the rituals associated with wedding (church ceremony), but also present the social and public life, ethnocultural values and values of the corresponding era. **The purpose of this article is to process, systematize and circulate the new archival documents in the scientific circulation of the “collection of certificates related to the writing of the wedding (church ceremony)”** (Fund No. E-79) preserved in the Archives Administration of Ajara. The collection of documents related to wedding (church ceremony), preserved in the Archives Administration of Ajara, represents the most important source for the study of this social institution, which gives us a clear idea of both spirituality and forms of social organization. The article presented by us discusses the documents included in the collection (345 volumes), the chronological framework of which covers the years 1883 – 1925. These documents allow us to follow the evolutionary-transformational processes of this institution, which is expressed in the form of hymns, the number of participants, although the main ethnocultural elements and the essence of the liturgy remained unchanged.

Keywords: *wedding (church ceremony), collection, archival records, ethnocultural values.*

აბსტრაქტი. ჯვრისწერა, როგორც რელიგიური და ეთნოკულტურული პრაქტიკა მნიშვნელოვან როლს ასრულებდა და ასრულებს ამა თუ იმ ხალხის სულიერ ცხოვრებაში. ჯვრისწერის კონტექსტში ინახებოდა წერილობითი დოკუმენტები, იქმნებოდა ზეპირი გადმოცემები, სასულიერო პირების ჩანაწერები, ფოტოდოკუმენტები და ა. შ. ასეთი დოკუმენტები თუ გადმოცემები ასახავენ არა მარტო ჯვრისწერის პროცესს და ჯვრისწერასთან დაკავშირებულ რიტუალებს, არამედ წარმოაჩენენ ასევე შესაბამისი ეპოქის სოციალურ და საზოგადოებრივ ყოფას, ეთნოკულტურულ ფასეულობებს და ღირებულებებს. წინამდებარე **სტატია მიზნად ისახავს** აჭარის საარქივო სამმართველოში დაცული „ჯვრისწერასთან დაკავშირებული მოწმობების კოლექციის“ (ფონდი N ი-79) დამუშავებას, სისტემატიზაციას და ახალი საარქივო დოკუმენტების სამეცნიერო ბრუნვაში მიმოქცევას. ჯვრისწერასთან დაკავშირებული მოწმობების კოლექცია, რომლებიც დაცულია აჭარის საარქივო სამმართველოში, წარმოადგენს აღნიშნული სოციალური ინსტიტუტის შესწავლის უმნიშვნელოვანეს წყაროს, რომლებიც ნათელ წარმოდგენას გვიქმნიან როგორც სულიერების, ისე სოციალური ორგანიზაციის ფორმების შესახებ. ჩვენს მიერ წარმოდგენილ სტატიაში განხილულია კოლექციაში შემავალი დოკუმენტები (345 შ/ე), რომელთა ქრონოლოგიური ჩარჩო მოიცავს 1883 – 1925 წლებს. აღნიშნული დოკუმენტები საშუალებას იძლევა თვალი მივადევნოთ ამ ინსტიტუტის ევოლუცია-ტრანსფორმაციულ პროცესებს, რაც გამოიხატება საგალობლების ფორმაში, მონაწილეთა რაოდენობაში, თუმცა ძირითადი ეთნოკულტურული ელემენტები, ღვთისმსახურებითი არსი უცვლელი რჩებოდა.

საკვანძო სიტყვები: ჯვრისწერა, კოლექცია, საარქივო ჩანაწერები, ეთნოკულტურული ღირებულებები.

შესავალი

ჯვრისწერა, როგორც რელიგიური და ეთნოკულტურული პრაქტიკა მნიშვნელოვან როლს ასრულებდა და ასრულებს ამა თუ იმ ხალხის სულიერ ცხოვრებაში. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით ჯვრისწერა ეს არის საეკლესიო ქორწინება (ქენლ, 1964). ქართულ ლექსიკაში ჯვრისწერის აღსანიშნავად გამოიყენებოდა აგრეთვე შემდეგი სინონიმები: შეუღლება, ხელის მოწერა, ქორწინება, გვირგვინის ფსკვნა, გვირგვინის დადგმა და ა.შ. (სინონიმების ლექსიკონი, 1961). საეკლესიო კანონების მიხედვით ჯვრისწერა ქართველებისათვის იყო ოჯახის სიწმინდის დაცვის აუცილებელი ფაქტორი (ნ.აბულაძე, 2017:20). ჯვრისწერის კონტექსტში ინახებოდა წერილობითი დოკუმენტები, იქმნებოდა ზეპირი გადმოცემები, სასულიერო პირების ჩანაწერები, ფოტოდოკუმენტები, საეკლესიო წიგნების ამონაწერები დაბადების, ნათლობის შესახებ, მშობლების თანხმობები, საეკლესიო პირთა და სახელმწიფო სამსახურების მიერ გაცემული მოწმობები ჯვარდა-

საწერ (დასაქორწინებელ) პირთა შორის კანონიერ ქორწინებაზე დაბრკოლების არარსებობის თაობაზე და ა. შ. ასეთი დოკუმენტები თუ ზეპირი გადმოცემები ასახვენ არა მარტო ჯვრისწერის პროცესს და ჯვრისწერასთან დაკავშირებულ რიტუალებს, არამედ წარმოაჩენენ ასევე შესაბამისი ეპოქის სოციალურ და საზოგადოებრივ ყოფას, ეთნოკულტურულ ფასეულობებს და ღირებულებებს.

წინამდებარე **სტატია მიზნად ისახავს** აჭარის საარქივო სამმართველოში დაცული „ჯვრისწერასთან დაკავშირებული მოწმობების კოლექციის“ (ფონდი N ი-79) დამუშავებას, სისტემატიზაციას და ახალი საარქივო დოკუმენტების სამეცნიერო ბრუნვაში მიმოქცევას.

ჯვრისწერასთან დაკავშირებული მოწმობების კოლექცია, რომლებიც დაცულია აჭარის საარქივო სამმართველოში, წარმოადგენს აღნიშნული სოციალური ინსტიტუტის შესწავლის უმნიშვნელოვანეს წყაროს, რომლებიც ნათელ წარმოდგენას გვიქმნიან როგორც სულიერების, ისე სოციალური ორგანიზაციის ფორმების შესახებ.

მეთოდები

კვლევისას გამოყენებული იქნა წერილობითი მასალების მოძიების, წყაროების იდენტიფიცირების, შედარების, მოძიებული მასალის კლასიფიცირებისა და დამუშავების მეთოდები.

შედეგები

სტატიაში განხილულია კოლექციაში შემავალი დოკუმენტები (345 შ/ე), რომელთა ქრონოლოგიური ჩარჩო მოიცავს 1883 – 1925 წლებს. აღნიშნული დოკუმენტები საშუალებას იძლევა თვალი მივადევნოთ ამ ინსტიტუტის ევოლუცია-ტრანსფორმაციულ პროცესებს, რაც გამოიხატება საგალობლების ფორმაში, მონაწილეთა რაოდენობაში, თუმცა ძირითადი ეთნოკულტურული ელემენტები, ღვთისმსახურებითი არსი უცვლელი რჩებოდა.

მსჯელობა

აჭარის ცენტრალური არქივის ისტორიული ფონდებში დაცულია 345 შ/ე-საგან შემდგარი „**ჯვრისწერის მოწმობების კოლექცია**“ (ფონდი ი-79), რომელიც მოიცავს 1883-1925 წლებს. 2024 წელს ფონდის საქმეთა არსებობისა და მდგომარეობის შემოწმების შემდეგ, დღის წესრიგში დადგა ფონდის აღწერის გაუმჯობესების საკითხი, რადგან ანაწერი იყო არასრულყოფილი და შედგენილი იყო რუსულ ენაზე. ამასთან, ფონდის სათაური არ შეესაბამებოდა დაცული დოკუმენტების შინაარსს.

აღწერის გაუმჯობესების პროცესში გამოიკვეთა, რომ საქმეებში არის არა **ჯვრისწერის მოწმობები**, როგორც ამას ფონდის სახელწოდება გვეუბნება, არამედ **ჯვრისწერისთვის მოსამზადებელი დოკუმენტები**, როგორცაა: საეკლესიო წიგნების ამონაწერი დაბადების, ნათლობის, ხოლო მეორედ ქორწინების შემ-

თხვევაში გარდაცვლილი მეუღლის გარდაცვალების შესახებ; ასევე მშობელთა თანხმობისა და თხოვნის წერილები, საეკლესიო პირთა და სახელმწიფო სამსახურების მიერ გაცემული მოწმობები ჯვარდასაწერ (დასაქორწინებელ) პირთა შორის კანონიერ ქორწინებაზე დაბრკოლების არარსებობის თაობაზე; აცრის დამადასტურებელი მოწმობები, საზღვარგარეთის უვადო და ვადიანი პასპორტები, სასწავლებლის დასრულების, სრულწლოვანების დამადასტურებელი და გურია-სამეგრელოს ეპარქიიდან, ასევე საქართველოსა და რუსეთის იმპერიის ეკლესიებიდან გაცემული სხვადასხვა სახის მოწმობები.

საქმეებში გვხვდება ასევე სხვადასხვა კონფესიის წარმომადგენლთა ხელწერილები ქორწინების შემდეგ დაბადებული ბავშვების მართლმადიდებლურად აღზრდის შესახებ. მუშაობის პროცესში დაზუსტდა ფონდის სახელწოდება და მოხდა მისი რედაქტირება „**ჯვრისწერასთან დაკავშირებული მოწმობების კოლექციის**“ სახით.


ფონდის წარმომავლობა დღემდე დადგენილი არაა, ცნობილია მხოლოდ არქივში მისი შემოტანის თარიღი -1946 წელი. მაგრამ მასში დაცული დოკუმენტები უადრესად საინტერესოა აღნიშნული სოციალური ინსტიტუტის შესწავლის, ჯვრისწერისათვის აუცილებელი დოკუმენტების შინაარსიისა და მრავალფეროვნების თვალსაზრისით.

სხვადასხვა რელიგიური აღმსარებლობის ქალ-ვაჟის ჯვრისწერისას ხდებოდა ხელწერილის გაფორმება ქორწინების შედეგად დაბადებული შვილის მართლმადიდებლურად მონათვლის თაობაზე. ერთ-ერთი ასეთი საქმე ეხება დიდგვაროვანი ელიზავეტა ალფრედის ასულ რეიხისა და ევანგელისტურ-ლუთერანული ეკლესიის წევრ-ავგუსტ კარლოს ძე გრინუპს შორის ჯვრისწერას. საქმეში დაბადებისა და ნათლობის დოკუმენტებთან ერთად დაცულია ავგუსტ გრინუპის ხელწერილი, რომლითაც საქმრო იღებდა ვალდებულებას, დიდგვაროვან ელიზავეტა რეიხთან ქორწინებით დაბადებული ბავშვები მოენათლა და აღეზარდა მართლმადიდებელ ეკლესიაში (ასსცსა, ფონდი ი-79; აღწ.1; საქ. 1, ფურც. 4-ა).

განსხვავებული რელიგიური აღმსარებლობის საქორწინო წყვილთა ხელწერილები მომავალი შვილის რელიგიური აღმსარებლობის შესახებ მრავლადაა წარმოდგენილი აღნიშნულ საარქივო ფონდში. ასეთი ხელწერილებია გაფორმებული მარია ფომენკოსა და დიდგვაროვან რ. რეკსციის (ასსცსა, ფონდი ი-79; აღწ.1; საქ.39, ფურც.3), კათოლიკე ვიქტორია ედუარდის ასულ კოშუტსა და მართლმადიდებელ არისტრახო ივანეს ძე სამსონაძეს (ასსცსა, ფონდი ი-79; აღწ.1, საქ.114, ფურც.2), ივანე გოტლიბის ძე ნეიმანის ქვრივ ირინასა და სომხურ-გრიგორიანული ეკლესიის წევრ ბაბაჯან სტოპანიანცს (ასსცსა, ფონდი ი-79; აღწ.1, საქმე 149, ფურც. 2-3) და სხვათა შორის. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ უკანასკნელ საქმეში დაცულია აგრეთვე ამონაწერი ბათუმის საქალაქო ეკლესიის მეტრიკული ჩანაწერების


წიგნიდან ირინა ნეიმანის მეუღლის – ივანეს გარდაცვალების შესახებ, სადაც გარდაცვალების მიზეზად დასახელებულია თვითმკვლელობა ჩადენილი არანორმალურ ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში. როგორც ჩანს ეს მიზეზი ჩაითვალა დამაკმაყოფილებლად, რადგან გარდაცვლილის შესახებ ინფორმაცია გატარებული ქნა საეკლესიო წიგნში და წესის აგებაც შედგა.

საინტერესო დოკუმენტებია თავმოყრილი მარიამ ივანეს ასულ ქორჩილავა-სა და ნოე გლახუნის ძე სიხარულიძის ჯვრისწერასთან დაკავშირებულ საქმეში. მასში დაცულია: ამონაწერი ბათუმის მიქაელ მთავარანგელოზის საეკლესიო წიგნიდან მარიამ ქორჩილავას დაბადებისა და ეკლესიაში ნათლობის (1891-1893წწ) შესახებ, ასევე მარიამისა და ნოე სიხარულიძის ქორწინებასთან (1907 წ.) დაკავშირებით მშობლების თანხმობა და ნოე სიხარულიძის პასპორტის ასლი. საქმე საინტერესოა იმ თვალსაზრისითაც, რომ შეიცავს მასალებს 1891-1907 წლებში აღნიშნულ ეკლესიაში მოღვაწე მღვდელმსახურების – მღვდელი თოთიბაძის და დიაკონ აპოლონ ქიქოძის შესახებ (ასსცსა, ფონდი ი-79; აღწ.1, საქმე 7, ფურც. 1-3). ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ ჯვარდაწერილი ნოე გლახუნის ძე სიხარულიძე ისტორიაში შევიდა, როგორც ბიზნესმენი, მეცენატი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი ორგანიზაციის წევრი. ის იყო დიდძალი ქონების მფლობელი, მათ შორის ბათუმში არსებული ცნობილი სასტუმრო „ნოე“ სწორედ მის საკუთრებას წარმოადგენდა.




ასსცსა, ფონდი ი-79; აღწ.1, საქმე 7, ფურც.1

ექადიის წმ. გიორგის და იმერეთის ეპარქიის ქალაქ ქუთაისის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიების მიერ გაცემულ ბეჭდით დამოწმებულ მოწმობებში მკაფიოდაა მითითებული ჯვარდასაწერთა ასაკი, აღმსარებლობა, მღვდელ წინამძღვრებისა და მედავითნეების ვინაობა. საქმე ეხება 37 წლის ქვრივ იასონ თომას ძე კაშიას, რომელიც ქორწინდება 21 წლის ეკატერინე ალექსანდრეს ასულ სურგულაძეზე. მოწმობაში აღნიშნულია, რომ ორივენი არიან მართლმადიდებლები, „აღმსარებელ – მაზიარებლები,” გონებით მართალნი. დოკუმენტის მიხედვით 1894-1898 წლებში ქუთაისის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის მღვდელი-წინამძღვარი იყო ნესტორ ყუბანეიშვილი, ცნობილი ქართველი სასულიერო მოღვაწე, მწიგნობარი და მთარგმნელი, მედავითნეები („პრიჩეტნიკები“) კი იყვნენ ვასილ ჭარხალაშვილი და ირაკლი კოკელაძე.



ასსცსა, ფონდი ი-79; აღწ.1, საქმე 8, ფურც. 2-3

16 წლის მარიამ ანტონის ასულ ტულუშა და გიორგი ლევანის ძე მაზმანიშვილს შორის „პირველს გვირგვინის კურთხევაზე“ არ გაცხადებულა არავისაგან არავითარი დაბრკოლება, რის საფუძველზეც გურია-მენგრელიის ეპარქიის ოზურგეთის მაზრის ჩოჩხათის მთავარ მოწამე წმინდა გიორგის ეკლესიის მღვდელი 1912 წლის 5 იანვარს გასცემს ბეჭდით დამოწმებულ საეკლესიო მოწმობას (ასსცსა, ფონდი ი-79; აღწ.1, საქმე 254, ფურც. 2).



ასსცსა, ფონდი ი-79; აღწ.1, საქმე 254, ფურც. 2

ამავე ევარქიის ერკეთის მთავარანგელოზის და სოფელ აცანის მაცხოვრის სახელობის ეკლესიების თანხმობის მოწმობებია დაცული 30 წლის გლახ თეოფილეს სიმონის ძე პაიჭაძისა და თომა კვიციანის ასულ 19 წლის ელენეს შორის ჯვრისწერაზე შედგენილ საქმეში (ასსცსა, ფონდი ი-79; აღწ.1, საქმე 261).

ფონდში ჯვრისწერასთან დაკავშირებულ დოკუმენტებს შორის დაცულია აგრეთვე პიროვნებების პასპორტები., რომლებშიც სრულად ასახულია ინფორმაცია

მათ შესახებ. ერთ-ერთი ასეთი პასპორტი ეკუთვნის თავად დიმიტრი გიორგის ძე ჩიჩუას (დაბ. 1871 წ.), რომელმაც ჯვარი დაიწერა 17 წლის ეკატერინე ნიკოლოზის ასულ მიქაძეზე ბათუმის სობორის ეკლესიაში.



ასსცსა, ფონდი ი-79; აღწ.1, საქმე 22, ფურც. 5-9

როგორც ჩანს, იმ პერიოდში არსებობდა დაწესებულება, რომელიც კური-რებდა ქორწინების საქმეებს, თუმცა დოკუმენტებში არ ჩანს ამ ინსტიტუციის სახელწოდება. ეს ინსტიტუცია განსაზღვრავდა ქორწინების კანონიერებას წარდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად და იძლეოდა თანხმობას ან უარს ახცავდა დასაქორწინებელთა შეუღლებაზე. ერთ-ერთი მოწმობა გაცემულია გურია - სამეგრელოს ეპარქიის ბანძის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის (სენაკის უეზლი) მიერ და ეხება აზნაურ ნიკო ტარიელის ძე გაბუნიასა და აზნაურ ნიკოლოზ გეგენავას ასულ ანასტასიას შორის ქორწინებას. აღნიშნულ მოწმობას აქვს შემდეგი მინაწერი: „ქობულეთის მღვდელმა ბენიამინ ღლონტმა, რომელსაც წინდაწინ ნათხოვნი ჰქონდა ჯვარი დაეწერა აღნიშნულ ამ მოწმობაში ქალწულ ანასტასიასათვის ადრეულ მის მიერ სასიძო ნიკოლოზ ტარიელის ძე გაბუნიაზე და სამ-გზის გამოკვლევა მომხდარიყო რწმუნებულ მისდამი ეკლესიასი, ეს მოწმობა დაიწუნა და

ჯვრისწრაზედ უარი განაცხადა, რასა შინა ხელს ვაწერთ. 1 მაისს 1900 წ ნიკოლოზ ნიკო გეგენავა, გაბუნია... (ასსცსა, ფონდი ი-79; აღწ.1; საქ. 29, ფურც.2; 5)

ქორწინებასთან დაკავშირებულ საქმეებში გვხვდება ნათლობის დოკუმენტებიც. ანასტასია მონასტირევასა და ივანე კალაშნიკოვს შორის ქორწინებასთან დაკავშირებულ საქმეში ინახება ქ. ხარკოვის სასულიერო კონსისტორიის მიერ ქ. ხარკოვის დიმიტრიევის ეკლესიის ჩანაწერების საფუძველზე გაცემული მოწმობა, რომლის მიხედვითაც 1881 წ. 22 დეკემბერს მონათლულა „მიგდებული“ ბავშვი – ანასტასია, დაახლოებით ორი წლის. ბავშვის ნათლიები ყოფილან: უნტერ -ოფიცერი პორფირი ივანეს ძე მონასტირევი და მისი მეუღლე მარია ანდრიას ასული სკაპჩევსკაია. ნათლობის საიდუმლო შეუსრულებია წინამძღვარ იოანე ჩიჟევსკის და დიაკვან მაქსიმ პანამარიოვს. როგორც ჩანს, ნათლია პორფირ მონასტირევს ბავშვი აღუზრდია და საკუთარი გვარიც მიუცია (ასსცსა, ფონდი ი-79; აღწ.1; საქ. 41, ფურც. 1-2).

საარქივო ფონდში დაცული მასალების მიხედვით ირკვევა, რომ ჯვარისწერისას განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ჯვარდასაწერთა ჯანმრთელობას, გადატანილ დაავადებებს, კანონის წინაშე ანგარიშვალდებულებას და ა. შ. მაგალითად, ერთ-ერთ დოკუმენტში საუბარია მამის მიერ 14 წლის შვილების გაუპატიურების მცდელობის შემთხვევაზე, რასაც შედეგად მოჰყვა საეკლესიო განჩინება. სასჯელის ზომად განისაზღვრა ეპიტიმია (ასს ცსა, ფონდი ი-79; აღწ.1; საქ. 73, ფურც. 2;6) სასჯელის ეს სახე გულისხმობს შეგონებას, მონანიებას, უზიარებლობას, ეკლესიიდან განკვეთას და ა. შ. (ეკალაძე ზ., 2014:29). საარქივო დოკუმენტში არ ჩანს ეპიტიმიის რომელი ფორმა მიესაჯა დამნაშავე მამას.


ფონდში არის ისეთი საქმეებიც, რომელშიც წარმოდგენილია ცნობები ჯანმრთელობის, გარდაცვალების, გადატანილი დაავადების შესახებ. ცალკეულ შემთხვევებში გარდაცვალების მიზეზიცაა დასახელებული. მაგ.იუსტინე ნიშნიადის ჯვრისწერის საქმეში (1893წ), დაცულია ბათუმის საქალაქო საავადმყოფოს მიერ 1904 წელს გაცემული ცნობა, რომლის მიხედვით ირინე ნიშნიანიძე, ქალიშვილობის გვარით ცომიაა გარდაიცვალა ოპერაციის შემდეგ მუცლის ღრუს ანთებით (ასს ცსა, ფონდი ი-79; აღწ.1; საქ. 54, ფურც.5), ხოლო ანასტასია ტალანოვას სახესა და სხეულზე არსებული ნაწიბურები, ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის ლაზარეთის ექიმის მიერ გაცემული ცნობის მიხედვით 9 წლის ასაკში გადატანილ ყვავილის დაავადებას უკავშირდება (ასს ცსა, ფონდი ი-79; აღწ.1; საქ. 81, ფურც. 4).

ჯვრისწერის დოკუმენტებში დაბადების, ნათლობის და ქალიშვილობის გვარის შეცვლის მოწმობებთან ერთად, დაცულია მოწმობები ჩატარებული აცრის შესახებ. ბათუმის ვაქცინატორის მიერ ყვავილის საწინააღმდეგო აცრის შესახებ გაცემული ცნობაა დაცული მარია ანობადის, დაბადების გვარით-აბზიანიძის საქმეში. ცნობა გაცემულია 1896 წელს და ამ დროს ბათუმის ქალაქის ვაქცინატორი

იყო ა. მულაძე (ასს ცსა, ფონდი ი-79; აღწ.1; საქ. 118, ფურც. 1-3). როგორც ჩანს, ყვავილის შესახებ ცნობების წარდგენა ძალზედ აქტუალური იყო. ართვინის უბნის უფროსის ქალიშვილის - დარია ვასილის ასულ დეკანოზოვასა და ბაქოს საბაქოს კოლეგიის რეგისტრატორ პიმენ სპირიდონის ძე დვალს შორის ქორწინების მოსამზადებელ მოწმობებს შორის დაცულია აგრეთვე ბათუმის ოლქის ექიმის (გვარის ამოკითხვა ვერ ხერხდება) მიერ გაცემული ცნობა, რომ დარია დეკანოზოვას მარჯვენა მხარეზე არსებული ნაწიბური არის ყვავილის აცრის ნიშანი. გოგონა ჯანმრთელია და შეუძლია ისწავლოს საშუალო სასწავლებელში (ასს ცსა, ფონდი ი-79; აღწ.1; საქ. 223; ფურც. 2-5).

განხილული მაგალითებიდან ნათელია, რომ ჯვრისწერისათვის აუცილებელი იყო ქორწინებაზე დაბრკოლების არარსებობის შესახებ დოკუმენტების წარდგენა. ეს დოკუმენტები კი გაცემული უნდა ყოფილიყო იმ რელიგიური თუ სახელმწიფო-სახაზინო დაწესებულებების მიერ, რომლის აღმსარებელიც და თანამშრომელი იყო ჯვარდასაწერი პიროვნება. ორივე მხარე ვალდებული იყო ასეთი მოწმობები წარედგინა ქორწინების მოსამზადებელ დაწესებულებაში. ქვრივობის შემთხვევაში აუცილებელი იყო მეუღლის გარდაცვალების შესახებ დოკუმენტის წარდგენა, მეორე ან მესამე ქორწინების შემთხვევაში კი ცნობა განქორწინების თაობაზე. სწორედ ასეთი მოწმობაა გაცემული გურია-მენგრელიის ეპარქიის ნიგოეთის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის მღვდელ პარმენ ჯორბენაძის მიერ, სადაც აღნიშნულია, რომ გლეხი მიხაილ ფირცხალაიშვილი არის 34 წლის, არის ქვრივი და რომ 18 წლის ნატალია ჭანიშვილზე მეორის ქორწინების წინააღმდეგ არავისაგან არავითარი არ გაცხადებულა (ასს ცსა, ფონდი ი-79; აღწ.1; საქ. 166, ფურც. 2)

ფონდის საქმეებში მრავლადაა სხვადასხვა სახის წერილობითი დოკუმენტი, ცალკეული პირების, ვაჭრების და სხვა პროფესიის ადამიანების თანხმობის წერილები ქორწინებაზე დაბრკოლების არარსებობასთან დაკავშირებით. ასე მაგალითად, ერთ-ერთ საქმეში დაცულია ბათუმელი ვაჭრების წერილობითი თანხმობა ყარსის ოლქის სოფელ მახსუჯიკში მცხოვრებ ხარლამში აპოსტოლოვსა და თურქეთის ქვეშევრდომ ირინა კირიაკიდს შორის ქორწინებაზე. საქმეშია, რუსეთის იმპერიის ტრაპეზუნდის (ტრაპზონი) საკონსულოს დოკუმენტი, შედგენილი სავარაუდოდ ბერძნულ ენაზე (ასსცსა, ფონდი ი-79; აღწ.1; საქ. 169, ფურც. 2-3).



ასსცსა, ფონდი ი-79; აღწ.1, საქმე 22, ფურც. 5-9

ბათუმის ოლქის საექიმო განყოფილების თანხმობა და ოზურგეთის მაზრის წმ ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის მოწმობა ქორწინების დაბრკოლებაზე არარსებობის შესახებ წარმოდგენილია რომან აგიევისა (უმცროსი სამედიცინო ფერმალი) და ესმა მიხეილის ასული დონადის კანონიერი ქორწინებისათვის მოსამზადებელ საქმეში (ასს ცსა, ფონდი ი-79; აღწ.1; საქ. 59, ფურც. 2-3). ფოსტალიონ დიმიტრი ალექსანდრეს ძე ზურაბიშვილსა და კაზაკ ანდრია ჩირსკოვის ყოფილ ცოლს შორის ქორწინებაზე დაბრკოლებას ვერ ხედავს ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის უფროსი, რომლის თანხმობის წერილიც დაცულია საქმეში (ასს ცსა, ფონდი ი-79; აღწ.1; საქ. 175 ფურც. 2).

ჯვარდასაწერ პირთა პასპორტები ან საპასპორტო მონაცემები მათი წარმომავლობისა და საქმიანობის ინფორმაციასთან ერთად წოდებისა და სოციალური მდგომარეობის შესახებაც გვაწვდიან ცნობებს. საქორწინო დოკუმენტებში დაცულია ჯვარდასაწერი კონსტანტინე ოდიშელიძის პასპორტი, რომელშიც მითითებულია, რომ იგი არის „დროებით ბათუმს მცხოვრები მღვდლის შვილი“ და რომ არის „მემკვიდრეობით საპატიო მოქალაქე“ (ასს ცსა, ფონდი ი-79; აღწ.1; საქ. 107, ფურც. 2-3), მარია ზნამენსკაია, რომელიც ქორწინდება ყუბანის მე-17 ბატალონის პრაპორშჩიკ პეტრე ივანოვზე, არის დეკანოზის ქალიშვილი და ბესტუჟევსკის უმაღლესი ქალთა კურსის მსმენელი (ასს ცსა, ფონდი ი-79; აღწ.1; საქ. 318, ფურც. 3)


საქორწინო დოკუმენტაციაში მეტრიკული წიგნების არსებობა-არარსებობის შესახებაც ვხვდებით საინტერესო ინფორმაციას. ზოგიერთი დოკუმენტი ბადებს

ექვს, რომ მეტრიკული წიგნები და ჩანაწერები ცალკეულ შემთხვევაში არ კეთდებოდა ყველა ერის წარმომადგენელთათვის. ზაქარია ხითაროვ-ბესტაშვილისა (ბათუმის ნოტარიუსი) და ვერა ივანეს ასულ ლიხტმანის ჯვრისწერის დოკუმენტებში დაცულია ყუბანის ოლქის შსს მიერ გაცემული ცნობა, სადაც აღნიშნულია, რომ 1886 წლამდე არ არსებობდა მეტრიკული წიგნები ებრაელებისთვის (ასს ცსა, ფონდი ი-79; აღწ.1; საქ. 296, ფურც. 2;3)

პასპორტი, მოწმობა, ჩანაწერები და ბილეთია დაცული ელიზავეტა ალექსანდრეს ასულ ბურჭულაძისა და სპარსეთის ქვეშევრდომ კევერკის ვაჟის-აკიას შორის ქორწინების მოსამზადებელ საქმეში (ასს ცსა, ფონდი ი-79; აღწ.1; საქ. 196, ფურც. 1-3).

ზოგიერთი დოკუმენტი ადრეულ ასაკში გათხოვებაზე ნებართვის შესახებ თხოვნებსაც შეიცავს. ამ მხრივ საინტერესოა საქმე ნადეჟდა პეტრეს ასულ გედუზენვიჩისა და ანისიმ ივანეს ძე საპუნოვს შორის ქორწინების შესახებ. საქმეში დაცულია ობლად დარჩენილი არასრულწლოვანი ნადეჟდა გედუზენვიჩის თხოვნა გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსს ლეონიდეს მიმართ, რათა როგორც არასრულწლოვანს და ობოლს, გათხოვებაზე დართოს ნება, რადგან გამოჩნდა ადამიანი, რომელიც იზრუნებს მასზე და მის მეურნეობაზე (ასს ცსა, ფონდი ი-79; აღწ.1; საქ.218, ფურც.2;17). ეტყობა იმ დროსაც, საეკლესიო კანონით არასრულწლოვანის გათხოვება არ იყო ნებადართული. ეპისკოპოსს ლეონიდეს თანხმობით ქორწინება ჩაინიშნა 1912 წლის 20 იანვარს. ეს წერილი საინტერესოა იმიტაც, რომ მასში მოხსენიებული გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ლეონიდე, სავარაუდოთ არის შემდგომში უკვე სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი და მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი **ლეონიდე ოქროპირიძე**(1919-1921წწ).

მოწმობის გაცემისას ყურადღება ექცეოდა ჯვარდასაწერი პიროვნების დამოკიდებულებას ეკლესიისა და რელიგიური წეს-ჩვეულებებისადმი. ცალკეულ შემთხვევებში მღვდლები თავს იკავებდნენ ქორწინების ნებართვის გაცემისაგან, რადგან ჯვარდასაწერი იშვიათად, ან სულ არ დადის ეკლესიაში, არ მოუსმენია მისი აღსარება, არ ზიარებულა, ან დროებით ცხოვრობს სხვაგან და ა. შ. ერთი დოკუმენტის მიხედვით, სწორედ ამ მიზეზების გამო, მღვდელს ჯვარდასაწერი ქალისთვის ვერ მიუცია შესაბამისი მოწმობა. „მოწმობა ვერ მივეცი“ მორიღებით მიმართავს იგი თავის წერილში მეორე სასულიერო პირს, რომლის სამრევლოში დასთან ერთად ცხოვრობს ნებართვის მთხოვნელი პირი და თხოვს: „სხვა ჩემ მხრივ მიზეზი არაფერი მაქვს, მხოლოდ **მუცელქმნილად არ იყოს**. თუ თქვენ დარწმუნდებით, რომ ასე არ არის, იმ შემთხვევაში დასწერეთ ჯვარი, მომწერე არ იყო ორსულად თქვა და მე მაშვინვე გაახლებ მოწმობას, რა ღლესაც თქვენი წერილი მომივა“.



ასს ცსა, ფონდი ი-79; აღწ.1; საქ. 98, ფურც. 2

ფონდში დაცულია აგრეთვე პოლიცემისტერის თანაშემწის მიერ ექიმების: პ.გიგინეიშვილის, ელიავას, მხეიძის, არეშიძის სამედიცინო ცნობის საფუძველზე გაცემული მოწმობები გარდაცვალება – დაკრძალვის შესახებ. აქვეა ექიმ პლატონ გიგინეიშვილის სამედიცინო სატიტულო ფორმა (ასს ცსა, ფონდი ი-79; აღწ.1; საქ. 197-ა, ფურც.1)

ამრიგად, ჯვრისწერასთან დაკავშირებული მოწმობების კოლექცია, რომლებიც დაცულია აჭარის საარქივო სამმართველოში, წარმოადგენს აღნიშნული სოციალური ინსტიტუტის შესწავლის უმნიშვნელოვანეს წყაროს, რომლებიც ნათელ წარმოდგენას გვიქმნიან როგორც სულიერების, ისე სოციალური ორგანიზაციის ფორმების შესახებ. ჩვენს მიერ წარმოდგენილ სტატიაში განხილულია კოლექციაში შემავალი დოკუმენტები (345 შ/ე), რომელთა ქრონოლოგიური ჩარჩო მოიცავს 1883 – 1925 წლებს. აღნიშნული დოკუმენტები საშუალებას იძლევა თვალი მივადევნოთ ამ ინსტიტუტის ევოლუცია-ტრანსფორმაციულ პროცესებს, რაც გამოიხატება საგალობლების ფორმაში, მონაწილეთა რაოდენობაში, თუმცა ძირითადი ეთნოკულტურული ელემენტები, ღვთისმსახურებითი არსი უცვლელი რჩებოდა.

საკითხის უფრო სრულყოფილი შესწავლისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია ჩავატაროთ დამატებითი კვლევები, მოვიძიოთ მასალები საქართველოს სხვა რეგიონებშიც, რაც მოგვცემს საშუალებას გამოიკვეთოს საერთო და განმასხვავებელი ტენდენციები. მასალების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით აუცილებელია სრული დიგიტალიზირება. ასევე სასურველია მოეწყოს საარქივო დოკუმენტების გა-

მოფენა, ლექციების ორგანიზება ტრადიციული ჯვრისწერის პროცესებისა და მასთან დაკავშირებული პროცედურების მნიშვნელობის უკეთ გააზრებისათვის.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

საარქივო წყაროები:

- ასსცსა, ფონდი ი-79; აღწ.1; საქ. 1, ფურც.4-ა
- ასსცსა, ფონდი ი-79; აღწ.1; საქ. 7 ფურც. 1-3
- ასსცსა, ფონდი ი-79; აღწ.1; საქ. 8, ფურც. 2-3
- ასსცსა, ფონდი ი-79; აღწ.1; საქ. 22, ფურც. 5-9
- ასსცსა, ფონდი ი-79; აღწ.1; საქ. 29, ფურც. 2;5
- ასსცსა, ფონდი ი-79; აღწ.1, საქმე 39, ფურც. 3
- ასსცსა, ფონდი ი-79; აღწ.1; საქ. 41, ფურც. 1-2
- ასსცსა, ფონდი ი-79; აღწ.1; საქ. 54, ფურც. 5
- ასსცსა, ფონდი ი-79; აღწ.1; საქ. 59, ფურც. 2-3
- ასსცსა, ფონდი ი-79; აღწ.1; საქ. 73, ფურც. 2;6
- ასსცსა, ფონდი ი-79; აღწ.1; საქ. 81, ფურც.4
- ასსცსა, ფონდი ი-79; აღწ.1; საქ. 98, ფურც. 2
- ასსცსა, ფონდი ი-79; აღწ.1; საქ. 107, ფურც. 3
- ასსცსა, ფონდი ი-79; აღწ.1, საქმე 114, ფურც. 2
- ასსცსა, ფონდი ი-79; აღწ.1; საქ. 118, ფურც. 1-3
- ასსცსა, ფონდი ი-79; აღწ.1; საქ. 149, ფურც.2- 3
- ასსცსა, ფონდი ი-79; აღწ.1; საქ. 166, ფურც.2-3
- ასსცსა, ფონდი ი-79; აღწ.1; საქ. 169, ფურც.2-3
- ასსცსა, ფონდი ი-79; აღწ.1, საქმე 175; ფურც.2
- ასსცსა, ფონდი ი-79; აღწ.1; საქ. 196, ფურც. 1-3
- ასსცსა, ფონდი ი-79; აღწ.1; საქ. 197-ა, ფურც.1
- ასსცსა, ფონდი ი-79; აღწ.1; საქ. 218, ფურც.2
- ასსცსა, ფონდი ი-79; აღწ.1, საქ. 223, ფურც.2
- ასსცსა, ფონდი ი-79; აღწ.1, საქმე 254, ფურც. 2).
- ასსცსა, ფონდი ი-79; აღწ.1, საქმე 261, ფურც. 2-3.
- ასსცსა, ფონდი ი-79; აღწ.1; საქ. 296, ფურც. 2
- ასსცსა, ფონდი ი-79; აღწ.1; საქ. 318, ფურც. 3;

ლიტერატურა:

აბულაძე 2017: აბულაძე ნ., მეგრული საქორწინო ზეპირსიტყვიერება, თბილისი, 2017;

ეკალაძე 2014: ეკალაძე ზ., ენციკლოპედია „საქართველო“, ტ. 3, თბილისი, 2014;

ლექსიკონი 1961: სინონიმების ლექსიკონი, თბილისი, 1961;

ლექსიკონი 1964: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტომი VIII, თბილისი, 1964

References

Archival sources:

Central State Archives of Archives Administration of Ajara, fund E-79, description 1, case 1, paper 4-a;

csaaaa, fund E-79, description 1, case 7, paper 1-3;

csaaaa, fund E-79, description 1, case 8, paper 2-3;

csaaaa, fund E-79, description 1, case 22, paper 5-9;

csaaaa, fund E-79, description 1, case 29, paper 2; 5;

csaaaa, fund E-79, description 1, case 39, paper 3;

csaaaa, fund E-79, description 1, case 41, paper 1-2;

csaaaa, fund E-79, description 1, case 54, paper 5;

csaaaa, fund E-79, description 1, case 59, paper 2-3;

csaaaa, fund E-79, description 1, case 73, paper 2; 6;

csaaaa, fund E-79, description 1, case 81, paper 4;

csaaaa, fund E-79, description 1, case 98, paper 2;

csaaaa, fund E-79, description 1, case 107, paper 3;

csaaaa, fund E-79, description 1, case 114, paper 2;

csaaaa, fund E-79, description 1, case 118, paper 1-3;

csaaaa, fund E-79, description 1, case 149, paper 2-3;

csaaaa, fund E-79, description 1, case 166, paper 2-3;

csaaaa, fund E-79, description 1, case 169, paper 2-3;

csaaaa, fund E-79, description 1, case 175, paper 12;

csaaaa, fund E-79, description 1, case 196, paper 1-3;

csaaaa, fund E-79, description 1, case 197-a, paper 1;

csaaaa, fund E-79, description 1, case 218, paper 2;

csaaaa, fund E-79, description 1, case 223, paper 2;

csaaaa, fund E-79, description 1, case 254, paper 2;

csaaaa, fund E-79, description 1, case 261, paper 2-3;

csaaaa, fund E-79, description 1, case 296, paper 2;
csaaaa, fund E-79, description 1, case 318, paper 3.

Literature:

Abuladze 2017: Abuladze N., Mingrelian Wedding Oral Tradition, Tbilisi, 2017.

Ekaladze 2014: Ekaladze Z., Encyclopedia "Georgia", Vol. 3, Tbilisi, 2014.

Dictionary 1961: Dictionary of Synonyms, Tbilisi, 1961.

Dictionary 1964: Explanatory Dictionary of the Georgian Language, Volume VIII, Tbilisi, 1964.

ზაკარია ჩიჩუას გამომუშვეყნებელი ნაშრომი „ჩემი არქივი“
ZAKARIA CHICHUA’S UNPUBLISHED WORK „MY ARCHIVE“

ლევან ჯიქია

საქართველოს ეროვნული არქივი
თბილისი, საქართველო

LEVAN JIKIA

National Archives of Georgia
Tbilisi, Georgia

Abstract. The unpublished manuscript „*My Archive*“, written by the prominent Social Democrat and pharmacist Zakaria Chichua (1875–1951), is preserved in the Central Historical Archive of the National Archives of Georgia (Fund 2135, Inventory 1, File 1). The work consists of two notebooks, and the memoirs were written in exile in France in 1929. The text is handwritten in black ink, and numerous pages contain insertions, deletions, and the author’s marginal comments and clarifications. The manuscript’s chronological scope spans from the late 19th century up to the year 1905. Zakaria Chichua reflects on the purpose of writing his memoirs. He expresses the hope that this work will serve as a mirror of his time: whoever looks into it will see the flaws and obstacles of the era, as well as the narrow and wide paths he himself has traversed, often thorny and challenging. Chichua’s manuscript is of particular interest for a number of reasons. It provides a vivid depiction of the flawed educational practices that prevailed in the Ozurgeti Theological Seminary in the late 19th century – methods which, according to the author, instilled in students a disdain for schooling rather than a love of knowledge. The manuscript devotes significant attention to the formation of Georgian Social Democracy, the internal ideological conflicts between its two main branches, and the struggles of workers and students in their pursuit of rights, the 1905 Revolution, and others. Having spent part of his life in Russia, Chichua integrates the experiences and observations from this period into his memoirs as well. The manuscript highlights the activities of several notable Georgian Social Democrats, including: Joseph Stalin, Noe Zhordania, Isidore Ramishvili, Noe Ramishvili, Benia Chkikvishvili, Noe Khomeriki, Philip Makharadze, Mikha Tskhakaia, Sasha Tsulukidze, Vlasa Mgeladze, Silibistro Jibladze, and others. Zakaria Chichua’s „*My Archive*“ serves as a valuable primary source for the study of the socio-political processes unfolding in Georgia from the late 19th century to the early 20th century.

Key words: *Zakaria Chichua, Isidore Ramishvili, Ioseb Stalini, Egnate Ninoshvili, Noe Jordania, Giorgi Laskhishvili.*

აბსტრაქტი. საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალურ საისტორიო არქივში (ფონდი 2135, ანაწერი 1, საქმე 1) ინახება ცნობილი სოციალ-დემოკრატიის ფარმაცევტის ზაქარია ჩიჩუას (1875-1951) გამოუქვეყნებელი ნაშრომი „ჩემი არქივი“, რომელიც ორი რვეულისგან შედგება. მოგონებები 1929 წელს ემიგრაციაში, საფრანგეთშია დაწერილი, ნაწერი შავი ფერის კალმით არის შესრულებული და ბევრ ადგილას გადაშლილია, ჩამატებულია სიტყვები, თან ახლავს ავტორის კომენტარები. ნაშრომის ქრონოლოგიური ჩარჩო მოიცავს XIX საუკუნის მიწურულიდან 1905 წლის ჩათვლით პერიოდს. ზაქარია ჩიჩუა საუბრობს მოგონებების დაწერის მიზანზე, მისი აზრით ეს მოგონებები იქნება მისი დროის სარკე, ვინც მასში ჩაიხედავს, დაინახავს ნაკლოვანებებს, მის მიერ ბარდ-ეკლიან, ვიწროდ თუ ფართოდ გავლილ გზას. ზაქარია ჩიჩუას ნაშრომი მრავალი ასპექტითაა საინტერესო, აქ აღწერილია იმ პერიოდში (XIX ს-ის მიწურული) ოზურგეთის სასულიერო სემინარიაში დამკვიდრებული მანკიერი სწავლის მეთოდები, რომელიც მოსწავლეს სკოლას აძულებდა და ცოდნას კი არ აძლევდა. ნაშრომში დიდი ადგილი ეთმობა ქართული სოციალ-დემოკრატიის ჩამოყალიბების პროცესს, მის ორ მიმდინარეობას შორის არსებულ წინააღმდეგობებს, მუშებისა და სტუდენტების ბრძოლას უფლებებისთვის, 1905 წლის რევოლუციას და ა. შ. ავტორმა დროის გარკვეული ნაწილი რუსეთში გაატარა, რაც ასახულია მოგონებებში. ნაშრომში დიდი როლი ეთმობა ისეთი ცნობილი ქართველი სოციალ-დემოკრატების მოღვაწეობას, როგორებიც არიან: იოსებ სტალინი, ნოე ჟორდანი, ისიდორე რამიშვილი, ნოე რამიშვილი, ბენია ჩხიკვიშვილი, ნოე ხომერიკი, ფილიპე მახარაძე, მიხა ცხაკაია, სამა წულუკიძე, ვლასა მგელაძე, სილიბისტრო ჯიბლაძე და სხვები. ზაქარია ჩიჩუას აღნიშნული ნაშრომი მნიშვნელოვანი წყაროა XIX საუკუნის მიწურულისა და XX საუკუნის დასაწყისის საქართველოში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესების შესასწავლად.

საკვანძო სიტყვები: ზაქარია ჩიჩუა, იოსებ სტალინი, ისიდორე რამიშვილი, ეგნატე ნინოშვილი, ნოე ჟორდანი, გიორგი ლასხიშვილი.

შესავალი

ცნობილი სოციალ-დემოკრატი, ფარმაცევტი, საზოგადო მოღვაწე, ზაქარია ჩიჩუა ოზურგეთის მაზრის სოფელ ქანჭათში დაიბადა. ის იმთავითვე სოციალ-დემოკრატიული იდეებით აღმოჩნდა გატაცებული და მალე ამ მოძრაობის თვალსაჩინო ლიდერიც გახდა. მეფის ხელისუფლებამ ის დააპატიმრა და რუსეთში გადაასახლა, საიდანაც 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის შემდეგ დაბრუნდა. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ზ. ჩიჩუა ხელმძღვანელობდა ნაცი-

ონალური სიმდიდრის სააფთიაქო ნაწილს - სააფთიაქო მარაგებს. საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ ის ემიგრაციაში გაემგზავრა, ცხოვრობდა საფრანგეთში, ლევილში, სადაც შეუდგა ქართული პოლიტიკური ემიგრაციის არქივის დოკუმენტაციის მოწესრიგებას და სისტემატიზებას. გარდაიცვალა 1951 წელს, დაკრძალულია ლევილის ქართველთა სასაფლაოზე.

მეთოდი

სტატიაში გამოყენებულია შინაარსობრივი ანალიზის მეთოდი.

შედეგები

სტატიაში ნაჩვენებია ქართული სოციალ-დემოკრატიის თვალსაჩინო ლიდერის ზაქარია ჩიჩუას გამოუქვეყნებელი ნაშრომის „ჩემი არქივის“ ძირითადი პასაჟები. ზ. ჩიჩუა ხაზს უსვამს რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოში, როგორც განაპირა მხარეში, დამკვიდრებული საგანმანათლებლო და პოლიტიკური სისტემების მანკიერ მხარეებს, სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის საქართველოში დამკვიდრების პერიპეტეებს, ამ მოძრაობის ლიდერების (იოსებ სტალინი, ნოე ჟორდანიას და სხვები) მოღვაწეობას. ზ. ჩიჩუას აღნიშნული ნაშრომი ქართული სოციალ-დემოკრატიის ისტორიის შესასწავლად მნიშვნელოვანი პირველწყაროა.

მსჯელობა

ზაქარია ჩიჩუა მოგონებებს იწყებს მისი ოზურგეთის სასულიერო სემინარიაში სწავლის პერიოდით, თუმცა, როგორც თვითონ აღნიშნავს, ამ სასწავლებელს მისთვის ცხოვრებაში გამოსადეგი ცოდნა არ მიუცია. სასწავლებლის ზედამხედველმა, ნიკოლოზ ტატიევმა (ის წარამარა იყენებდა სიტყვას „რაქვიანა“ და ამიტომაც მოსწავლეებმა „რაქვიანა“ შეარქვეს) რუსული ენის სწავლების ისეთი მეთოდი დაამკვიდრა, რომელმაც ვერცერთ მოსწავლეს რუსული ენა ვერ შეასწავლა, შესაბამისად, არცერთმა მოსწავლემ რუსული არ იცოდა. სასწავლებელში ქართულად ლაპარაკი აკრძალული იყო, რასაც თითქოს უნდა უზრუნველყო მოსწავლეების მხრიდან რუსული ენის სწავლა. ვინც ქართულად დაილაპარაკებდა, მას ტატიევი ე. წ. ფირფიტას აძლევდა, გაკვეთილების დამთავრების შემდეგ ვისაც ფირფიტა აღმოაჩნდებოდა, ის უსადილოდ რჩებოდა. უსადილოდ დარჩენა კი, ცხადია, არცერთ მოსწავლეს არ უნდოდა, ამიტომ ყველა ცდილობდა „რუსულის მასწავლებელი“ ხელში არ ჰქონოდა და ის სხვისთვის გადაეცა. ფირფიტა ხელიდან ხელში გადადიოდა. მოსწავლეებს რუსულად საუბარი არ შეეძლოთ, ამიტომ იძულებული იყვნენ საუბარში თითო-ორიოლა ქართული სიტყვა გაერიათ, რაც საკმარისი იყო ფირფიტის მისაღებად. ამ ფირფიტამ მოსწავლეებს არათუ რუსული ენა ვერ შეასწავლა, პირიქით, შეაზიზღა მათ ეს ენა, ხოლო ზოგ მოსწავლეს კი დაბეზლება შეათვისებინა. უსადილოდ დარჩენის თავიდან ასაცილებლად მოსწავლეები ცდი-

ლობდნენ ფირფიტა მოეშორებინათ, ეს მოსწავლეებს შორის ხშირად ჩხუბში და აყალ-მაყალში გადაიზრდებოდა. ეს გარემოება მოსწავლეებს შორის უნდობლობას თესავდა. ამ აყალ-მაყალში ჩაერეოდა ხოლმე სასწავლებლის თანამშრომელი დავით აბაშიძე, რომელიც მოსწავლეებს ფეხაკრეფით დაყვებოდა კორიდორში და ყურს უგდებდა. თუ ვინმე ქართულად დაილაპარაკებდა, ის ფირფიტას შეაჩეჩებდა ხელში და უსადილოდ დასატოვებლად მოსწავლის სახელსა და გვარს უბის წიგნაკში ჩაინიშნავდა. დავით აბაშიძეს ფირფიტები ათეულობით ედო ჯიბეში და შეედლო თვალის დაუხამხამებლად დაერიგებინა. ასე რომ მოსწავლის კვირაში 4-5-ჯერ უსადილოდ დატოვება ჩვეულებრივი რამ იყო.

ზაქარია ჩიჩუა ხაზს უსვამს იმ შიშს, რომელიც მოსწავლეებს მასწავლებლების მიმართ გააჩნდათ, მაგალითად, თუ ისინი ქუჩაში ან სადმე მასწავლებელს წააწყდებოდნენ, შურდულივით გარბოდნენ და გვიმრაში ან თხრილში იმალებოდნენ.

სასწავლებელში არსებული სიტუაციით უკმაყოფილო მოსწავლეები ერთ დღეს შეიკრიბნენ და დაიწყეს მსჯელობა რუსული ენის მასწავლებელ პავლოვის წინააღმდეგ. პავლოვი, გარდა იმისა, რომ მოსწავლეებს უკრძალავდა ქართულად ლაპარაკს, უშვერი სიტყვებითაც მიმართავდა მათ. ამიტომ, მოსწავლეები პავლოვის წინააღმდეგ ორ შესაძლო ვარიანტს განიხილავდნენ: 1. არ შესულიყვნენ პავლოვის გაკვეთილზე, ამას გაიგებდა ზედამხედველი და პავლოვს იქაურობას მოამორებდა; 2. მოსწავლეებს უნდა დაეწერათ თხოვნა პავლოვის შეცვლის შესახებ და ის ზედამხედველისთვის გადაეცათ.

ამ საკითხზე კამათი ორი კვირა გაგრძელდა. გაიმარჯვა მოსაზრებამ, რომლის მიხედვითაც თხოვნა უნდა დაეწერათ პავლოვის შეცვლის თაობაზე. თხოვნის დაწერა თავის თავზე მეოთხეკლასელმა ივლიანე მგელაძემ აიღო, რომელმაც ეს ამბავი მასწავლებელ გიორგი მარგალიტაძეს გაანდო. დრო გადიოდა, დაწერილი თხოვნა არსად ჩანდა, პავლოვი კი მოსწავლეების ლანძღვას განაგრძობდა. ერთ დღეს მოსწავლეების მოთმინების ფიალა აივსო, პავლოვის გაკვეთილის დროს ისინი დაეწყვნენ ერთმანეთის მიყოლებით და „ხასანბეგურას“ სიმღერით მდინარე ჟუჯის პირას ბუჩქნარში წავიდნენ. აღმოჩნდა, რომ რამდენიმე მოსწავლე მათ არ გაჰყვა. ზარი დაირეკა, რაც გაკვეთილის დამთავრების ნიშანი იყო და ისინიც სკოლისაკენ წამოვიდნენ. გაბოროტებული ზედამხედველი ტატიევი მათ სკოლაში დახვდა, მის გვერდით იდგა დავით აბაშიძე, რომელსაც ჯიბეები სავსე ჰქონდა „რუსულის მასწავლებლით“ – ფირფიტებით.

ზედამხედველმა რამდენიმე მოსწავლე ამოარჩია, ისინი დავით აბაშიძეს გადასცა, რომელმაც მათ მკლავებში მოკიდა ხელი და სკოლის კანცელარიაში შეიყვანა. ტატიევიც კანცელარიაში შევიდა და ხმამაღლა თქვა:

„შენ, რაქვიანა, „საკატორღე“ „ბუნტი“ ჩამოაგდე?! მე, შენა, რაქვიანა, ციმბირს გაგზავნი. დაიფიცე ამ მიწიერ ღმერთზე – სალოკი თითით უჩვენა იმპერატორ ალექსანდრე მესამის პორტრეტზე – რომ ყველაფერი მართალი თქვა. მითხარი, რაქვიანა, ვინ გასწავლა „ბუნტი“? - მიმართა ზ. ჩიჩუას.

„თქვი, ჰო, მალე თქვი!“ წასჩურჩულა დავით აბაშიძემ ზაქარია ჩიჩუას და გვერდებში მუჯღუგუნი ჰკრა.

მოსწავლეებმა სიტყვა ბუნტის მნიშვნელობა არ იცოდნენ. თან გვერდები სტიკოდან და ცრემლები დაჰა-ღუპით ჩამოსდიოდათ. ზ. ჩიჩუამ ხელები ალაპყრო ზევით და თქვა: ბუნტის არაფერი გამეგებაო. ამ პასუხმა ტატიევი ვერ დააკმაყოფილა და დაჟინებით მოითხოვდა ბუნტის დამგეგმავის დასახელებას. მას ეგონა, რომ ვიღაცამ გარედან დაგეგმა ეს ყველაფერი.

დაიწყო ძიება, აღმოჩნდა, რომ მასწავლებელმა გიორგი მარგალიტაძემ მოსწავლეების განზრახვის შესახებ ტატიევის დიდი ხნით ადრე აუწყა. მოსწავლეები სკოლიდან გარიცხვას მასწავლებელმა აბესალაშვილმა გადაარჩინა. სამაგიეროდ მოსწავლეები შემოქმედის მონასტერში გაგზავნეს და ყოველი ცისკრის ლოცვისას ბერები მათ ოცამდე მეტანიებს აკეთებინებდნენ.

ზაქარია ჩიჩუამ ოზურგეთის სასულიერო სემინარია 1893 წელს დაამთავრა, თუმცა, როგორც თვითონ აცხადებს, მას სკოლიდან მუტრუკის ცოდნა გამოგყვია. ამის საილუსტრაციოდ ის ერთ ასეთ ამბავს იხსენებს: სკოლის დამთავრებიდან ათი დღის შემდეგ მასთან ოჯახში ერთი გლეხი მივიდა, რომელმაც თურმე ხარი იყიდა და ზ. ჩიჩუას სთხოვა ნასყიდობის წერილის დაწერა. ზ. ჩიჩუამ იხტიბარი არ გაიტეხა, მცოდნედ მოაჩვენა თავი, მაგრამ ვერაფერი დაწერა, შერცხვა და ყურებადმდე გაწითლდა. გლეხი მიხვდა რაშიც იყო საქმე და თქვა: დასაწავია ის სკოლა, რომელიც ნასყიდობის, ტირილის, თამასუქის წერას არ ასწავლისო. ცხადია, გლეხი უკმაყოფილო წავიდა.

იყო კიდევ ერთი ასეთი შემთხვევა: ერთ დღეს ზაქარია ჩიჩუა, ოჯახის წევრებთან ერთად, ლავრენტი წულაძის სახლში მივიდა, სადაც მეზობლები ცაცხვის ხის ძირში მოგრძო მაგიდას უსხდნენ და ლოტოს თამაშობდნენ. მისულებიც მიიპატიჟეს. ჩამოარიგეს ლოტოს ფირფიტები, რომელზეც დაუსრულებელი სიტყვები და წინადადებები ეწერა, მაგალითად, ერთ ფირფიტაზე ეწერა: „სიკვდილი სახელოვანი“, „ურჩევნია სულსა, გულსა“, „გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი“. დაიწყეს თამაში, ამოჰქონდათ ფირფიტები და მასზე არსებულ ფრაზებს ხმამაღლა კითხულობდნენ, მოთამაშეები ანდაზის მეორე ნაწილს, რომელიც ასევე ფირფიტაზე ეწერა, უერთებდნენ მას. ზაქარიამ ვერცერთი ანდაზა ვერ შეაერთა, რადგან ანდაზები არ იცოდა. დამარცხებულებს შუბლზე ნახშირით ჯვარი გამოუსახეს, გამარჯვებულები კი თხილით დაასაჩუქრეს.

ლოტოს თამაში სხვა თამაშით შეცვალეს. ერთმა მოთამაშემ დაიძახა: აბა, „ვეფხისტყაოსნის“ საგულისხმო ადგილს „ან“-ზე ვიწყებო და თქვა: „ავსა კაცსა ავი სიტყვა, ურჩევნია სულსა, გულსა“. რიგრიგობით ყველამ თქვა ვეფხისტყაოსნიდან ანდაზები, ვიღაცამ „ბან“-ზე, ვიღაცამ „გან“-ზე და ა. შ. მოვიდა ზ. ჩიჩუას ჯერი, ყველამ მას შეხედა, მანაც ჩაახველა და ბოხი ხმით დაიწყო: „თურუშაულის პატრონი ტყეში დაეძებს კუნელსა“. მოთამაშეებმა სიცილი დაიწყეს და მიადახეს: „ტყეში ხართ, მინდვრათ გამოდით, შოთას მაგი არა უთქვამსო!“

ზ. ჩიჩუას ძალიან შერცხვა, გულში თავის მასწავლებლებს აგინებდა და ამის შემდეგ დაიწყო ვეფხისტყაოსნის ანდაზების სწავლა, რათა სხვა დროსაც არ შერცხვნილიყო.

მშობლებს უნდოდათ ზ. ჩიჩუა მასწავლებელი გამოსულიყო, ამიტომ მეზობელ სოფელ ზომლეთში არსენ წითლიძეს მიაბარეს, რათა მას საოსტატო სემინარიისთვის მოემზადებინა ის (წითლიძე მოსწავლეებს უფასოდ ამეცადინებდა). ზ. ჩიჩუას მართალია ა. წითლიძესთან მეცადინეობა სურდა, მაგრამ მასწავლებლობა ეჯავრებოდა, რადგან თავისი მასწავლებლები ახსენდებოდა. ა. წითლიძის სახლში ხშირად დადიოდა სოციალ-დემოკრატი ისიდორე რამიშვილი. ზ. ჩიჩუა არაერთხელ შეესწრო მათ კამათს სხვადასხვა საკითხზე.

ზ. ჩიჩუას გარკვეული გამოცდის ჩაბარება ა. წითლიძის მოსწავლეებთანაც მოუწია, ისინი ეკითხებოდნენ, „კაცია ადამიანი“ წაგიკითხავს? „თორნიკე ერისთავს“ იცნობ? „ნოს“-ი წაგიკითხავს? მან იცოდა, რომ ნოსი ცხვირი იყო, როგორ შეიძლებოდა ცხვირის წაკითხვა, ამიტომაც ფიქრობდა, რომ მოსწავლეები მას ამას ხარავებდნენ. ამ ფიქრებში იყო, როდესაც დაუძახეს მეცადინეობა იწყებაო და სირცხვილს ამჯერად გადაურჩა.

არსენ წითლიძის გაკვეთილები არ ჰგავდა იმ გაკვეთილებს, რომელსაც ის ოზურგეთის სემინარიაში ისმენდა, აქ მოსწავლეები „კაცია ადამიანს“ კითხულობდნენ, მის შინაარსზე მსჯელობდნენ, გოგოლის „ნოსზე“ საუბრობდნენ. პირველივე გაკვეთილიდან გამოჩნდა, რომ ეს მასწავლებელი ბევრად აღემატებოდა ოზურგეთის სასულიერო სემინარიის მასწავლებლებს. მოსწავლეები თავისუფლად გამოთქვამდნენ თავიანთ აზრებს და თავისუფლად მსჯელობდნენ. ორივე მხარე, მასწავლებელი და მოსწავლეები მსჯელობდნენ როგორც თანასწორები და გამარჯვების ბურთი და მოედანი ლოგიკისთვის ჰქონდათ მინდობილი. ზ. ჩიჩუამ ილია ჭავჭავაძისა და დანიელ ჭონქაძის თხზულებებიდან პირველად გაიგო ბატონყმობის შესახებ. ოზურგეთის სემინარიაში მასწავლებლები სიმპატიით იყვნენ განწყობილი იმ მოსწავლეების მიმართ, რომლებიც წერტილიდან წერტილამდე იხეპირებდნენ, ხოლო იმ მოსწავლეებს, რომლებსაც დაზეპირება უჭირდათ, აღმაცერად უყურებდნენ. თუ სკოლაში რამე ინციდენტი მოხდებოდა, იმ მოსწავლეებს ბრალ-

დებოდა, რომლებიც კარგად ვერ იზეპირებდნენ. ა. წითლიძესთან კი მოსწავლეები საყვედურს საერთოდ არ ლებულობდნენ.

არსენ წითლიძე, ისიდორე რამიშვილი და სხვები ყველა საზოგადო საქმეს უანგაროდ აკეთებდნენ, მაგალითად, მათი დამსახურებით სოფელ აკეთში უფასო სახალხო სამკითხველო დაარსდა, რომელსაც „გურიის უფასო პირველი სახალხო სამკითხველო – ბიბლიოთეკა“ ეწოდა. ისიდორე რამიშვილი და არსენ წითლიძე თბილისში ჩავიდნენ, ქართული და რუსული წიგნები იყიდეს, ზოგი წიგნი ნაცნობ-მეგობრებისგან უფასოდ მიიღეს და აკეთში ჩაიტანეს. ბიბლიოთეკის გახსნა ნამდვილ დღესასწაულად გადაიქცა. ბიბლიოთეკის დაარსება მაშინდელ ყოფაში ნამდვილ რევოლუციას წარმოადგენდა.

ბიბლიოთეკის დაარსების ინიციატორებმა გადაწყვიტეს წიგნები სოფელ-სოფელ ეტარებინათ და მკითხველისათვის ასე მიეწოდებინათ. თავიდან უნდოდათ ერთი ვირის შეძენა წიგნების სატარებლად, თუმცა, ვირის შეძენა ვერ მოხერხდა, ამიტომაც, ზ. ჩიჩუა ხურჯინს აავსებდა ხოლმე წიგნებით, გადაიკიდებდა ზურგზე და დადიოდა სოფელ-სოფელ. ის სადაც მივიდოდა, იძახდა, წიგნები იკითხეთ, ცოდნა შეიძინეთ. ამ მეთოდმა შედეგი გამოიღო და მკითხველთა რაოდენობა გაიზარდა. მკითხველები ითხოვდნენ აკაკი წერეთლის, ეგნატე ნინოშვილის, ალექსანდრე ყაზბეგის, შოთა რუსთაველის თხზულებებს. ოჯახებში უწმაწური ლექსების ნაცვლად ახლა უკვე აკაკის ლექსებს მღეროდნენ ჩონგურზე. ჯერ კიდევ ანბანის უცოდინარი ბავშვები აკაკის ლექსებს ამბობდნენ ზეპირად.

სასიამოვნო სანახავი იყო საღამომობით ქალ-ვაჟები ბიბლიოთეკის მოგრძო მაგიდის გარშემო რომ ისხდნენ და წიგნის თუ გაზეთის წამკითხველს ყურადღებით უსმენდნენ. მკითხველთა რაოდენობა ელვის უსწრაფესად იზრდებოდა, აკეთს სხვა სოფლებმაც მიბაძეს და იქაც გაიხსნა მსგავსი ბიბლიოთეკები.

მალე სახალხო განათლების ინსპექციამ ა. წითლიძე სოფელს მოაშორა, ის მასწავლებლად მიქელ-გაბრიელში გადაიყვანეს, მის ნაცვლად კი აკეთში მასწავლებლად ხონის საოსტატო სემინარიის ახლად კურსდამთავრებული ვალერიან მებუკე გამოგზავნეს. ახალმა მასწავლებელმა სკოლაში ლევიციის მუნჯური მეთოდი შემოიღო. სწავლების საქმე ყირამალაზე დადგა. ის ასევე ბიბლიოთეკის წინააღმდეგი აღმოჩნდა და მასზე იერიში მიიტანა. 1893 წლის დეკემბერში მამასახლისი ივანიკა ჩხარტიშვილი, მწერალი ნ. ორაგველიძე და ბოქაული ჯაფარიძე ბიბლიოთეკაში მივიდნენ და ზ. ჩიჩუა დააპატიმრეს, ბიბლიოთეკა კი დაკეტეს და დალუქეს.

დაპატიმრებული ზ. ჩიჩუა კი ორ შეიარაღებულთან ერთად ლანჩხუთში ჰაუბტვანტში ჩასვეს. დადამდა, ქარი უბერავდა უმინო სარკმელში და ძვალ-რბილში ატანდა. საკანში არ იყო ბუნარი, სკამი და ტახტი. რომ არ გაყინულიყო მან ასკინკილას თამაში დაიწყო, მაგრამ დაიდალა და ცივ იატაკზე დაწვა. მოვიდა ერთი კა-

ცი, რომელსაც ხელში მათრახი ეჭირა და გამოჰკითხა მას სახელი, გვარი, სადაურობა, წლოვანება და დაპატიმრების მიზეზი. პასუხის მოსმენის შემდეგ მან ღინჯად გაიარ-გამოიარა და ჰკითხა: ბიბლიოთეკაში გრძელთმიანი და მსხვილჯოხიანი კაცი ნინოშვილი არსენ წითლიძესთან და ლავრენტი წულაძესთან ხშირად დადიოდა თუ არა და რაზე მუსაიფობდნენ? შენ დაგავალეს მასწავლებელ მებუკის მოწამვლაო? ზ. ჩიჩუამ უპასუხა, რომ კითხვა ვერ გაიგო. ამაზე მისი პასუხი იყო, გაგაგებინებს მალე პრისტავიო.

ზ. ჩიჩუას საქმე დაბა ჩოხატაურში გამომძიებელ ლორთქიფანიძეს გადასცეს. ზ. ჩიჩუას თითო დღე სვამდნენ აცანის, აკეთის, სამების, ამაღლების და ჩოხატაურის ჰაუბტვახტებში. როგორც გაირკვა, ზ. ჩიჩუას ბრალდებოდა: ბიბლიოთეკის დამაარსებლების ჩაგონებით მასწავლებელ მებუკის მოწამვლა. გამომძიებელმა საქმის ვითარებას მალევე აუღო ალღო და ზ. ჩიჩუა გაათავისუფლეს, სამკითხველოს კარებს კი ლუქი მოხსნეს. საქმე დაიხურა, მასწავლებელი მებუკე იქაურობას გაეცალა. ბიბლიოთეკა დახურვას გადაურჩა, მისი დამაარსებლები კი გაციმბირებას. თუმცა გურიაში დაწყებული გლახთა რევოლუციური მოძრაობის დროს ეს ბიბლიოთეკა მაინც დახურეს. მიზეზად არსებული წესწყობილების მოწინააღმდეგეთა ბუდედ მის მონათვლას ასახელებდნენ.

ბიბლიოთეკის დახურვა იმდენად ღიძი დარტყმა იყო ადგილობრივებისთვის, რომ 1905 წლის მარტში, როდესაც მთავრობის წარმომადგენელი სულთან კრიმ გირეი გურიაში მოგზაურობდა რევოლუციური მოძრაობის მიზეზების შესასწავლად, ხალხმა, სხვა მოთხოვნებთან ერთად, ბიბლიოთეკის გახსნაც მოითხოვა, თუმცა, 1921 წლამდე ბიბლიოთეკა დახურული იყო და არ ფუნქციონირებდა.

ზაქარია ჩიჩუა მოგონებებში, ასევე, საუბრობს ეგნატე ნინოშვილის დასაფლავებაზე დამსწრეების მიერ წარმოთქმულ სიტყვებზე და სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის დაბადებაზე.

ზ. ჩიჩუა ეხება 1893 წელს თბილისის სასულიერო სემინარიაში მომხდარ არეულობას, რის გამოც სემინარია დახურეს და მოსწავლეები გარიცხეს. გარიცხული მოსწავლეები სოფლებში დაბრუნდნენ და იქ თავიანთი იდეები ჩაიტანეს, დადიოდნენ სოფელ-სოფელ და ხალხის გასაჭირზე ხმამაღლა საუბრობდნენ, თან გარკვეული არალეგალური ლიტერატურა ჩაიტანეს.

ზ. ჩიჩუა ყურადღებას ამახვილებს თბილისში, ნაძალადევში მუშათა დასახლების გაჩენაზე. როგორც ის აღნიშნავს, თბილისი-ბაქოს რკინიგზის მშენებლობისას, თბილისის სახელოსნოებს დიდძალი მუშახელი მოაწყდა, რომლებსაც საცხოვრებელი არ ჰქონდათ. ასეთ დროს ზოგიერთ მუშას დაებადა აზრი დღევანდელ ნაძალადევში ქოხების აშენების თაობაზე. ერთ დღესაც, მათ დაუკითხავად სახელოსნოს ახლოს ქოხები ააშენეს. მალე ამ ქოხებში აკვნიანი ბავშვებიც გაჩნდნენ. ქალაქის თვითმმართველობამ ქოხები დაანგრია, თუმცა, ქოხები დილით ინგრეო-

და, საღამოს კი ისევ შენდებოდა. გაზეთი „ივერია“ ურჩევდა ქალაქის თვითმმართველობას, რომ ამ ადგილების დასახლებით ქალაქი გარკვეულწილად განიტვირთებოდა ღარიბებისგან, გასუფთავდებოდა ქუჩები და ეზოებიც არ დაბინძურდებოდა. წერილის ავტორის აზრით, ქოხები არ უნდა დაენგრიათ. საბოლოოდ მუშებმა გაიმარჯვეს. 1897 წელს ქალაქის თვითმმართველობამ, გრ. ჩარკვიანის ხელმძღვანელობით, ნაძალადევაში სანიტარული აღწერა დაიწყო. ერთ-ერთი სანიტარო ზაქარია ჩიჩუაც იყო. სანიტარებს ადგილობრივებისთვის, ჯარიმის შიშით, ტერიტორიის დასუფთავებისკენ უნდა მოეწოდებინათ. ადგილობრივები ამას ყურადღებას მაინც არ აქცევდნენ. ხშირი იყო სანიტარსა და ადგილობრივებს შორის შელაპარაკებები. ერთხელ ზ. ჩიჩუას ერთმა ადგილობრივმა ურჩია: აქ ტკბილი სიტყვით და დაყვავებით უფრო თუ გაკეთდება საქმე, თორემ იძულებით გამორიცხულიაო.

ზ. ჩიჩუა წერს თბილისში სოციალ-დემოკრატიების მიერ დაარსებულ ფარულ სკოლებზე, სადაც ასწავლიდნენ: არითმეტიკას, გრამატიკას, ისტორიას, ბუნებისმეტყველებას, პოლიტიკურ ეკონომიას, სოციოლოგიას და სხვა.

აღსანიშნავია მაშინდელი სოციალ-დემოკრატიების მიდრეკილება ევროპისკენ. ისინი ერთმანეთში კამათის დროს ხშირად აღნიშნავდნენ: ჩვენ უნდა გაევროპიელდეთ, ყოველივე ის, რაც იქ კარგია, უნდა გადმოვიღოთ, ნაბიჯები უნდა გადავდგათ ევროპისაკენ, თუ ჩვენ გვსურს არსებობა, ევროპის ფერხულში უნდა ჩავებათ.

1897 წლის მიწურულს ევროპიდან საქართველოში ნოე ჟორდანია დაბრუნდა, მისი დაბრუნება სწრაფად მოედო საიდუმლო სკოლებს, ჯგუფებს, წრეებს. გავრცელდა ხმები, რომ გაზეთ „ივერიას“ ნოე ჟორდანია ჩაუდგება სათავეში, სოციალ-დემოკრატიები „კვალს“ თავს ანებებენო. მაგრამ გიორგი ლასხიშვილმა ხელი შეუშალა „ივერიის“ სოციალ-დემოკრატიების ხელში გადასვლას.

ნოე ჟორდანიას ბინაში შეიკრიბნენ ს. ჯიბლაძე, დ. კალანდარიშვილი, ლ. კეცხოველი, ვ. ცაბაძე, რ. კალაძე, პ. გელეიშვილი, სევ. ჯუღელი და სხვები. ნ. ჟორდანია მაშინ კუკიაში მდებარე სასტუმროში ცხოვრობდა (შემდეგ ამ შენობაში კერძო სასწავლებელი განთავსდა). აქ იყო საუბარი გ. ლასხიშვილის ქმედებაზე, გადაწყდა, ხელი მოეკიდათ გაზეთ „კვალისთვის“ და ამისთვის გიორგი წერეთელთან დაეწყოთ თანამშრომლობა. ლალო კეცხოველის აზრით, უფრო მომგებიანი იქნებოდა, თუ ცენზურაგამოვლილ გაზეთებს საერთოდ თავს დაანებებდნენ და ნოე ჟორდანიას ნაწერებს არალეგალურად გაავრცელებდნენ. ნ. ჟორდანიას აზრი კი ამ საკითხზე შემდეგი იყო: ცხადია, არალეგალურ მუშაობაზე უარი არ უნდა ეთქვას, მაგრამ არც ლეგალური პრესა არ უნდა გაეშვას ხელიდან. გაზეთ „კვალის“ რედაქტორობა ნ. ჟორდანიას დააკისრეს. ნ. ჟორდანიას ხშირად ჰქონდა შელაპარაკება ცენზორთან აზრის დამახინჯების გამო.

ზ. ჩიჩუა საუბრობს რუსეთში მუშათა დემონსტრაციებზე, თუმცა, იქვე შენიშნავს, რომ ყველა დემონსტრაციის აღნუსხვა შეუძლებელი იყო, რადგან მაშინ არ არსებობდა პროფკავშირები და პრესაშიც დემონსტრაციებზე არაფერი იწერებოდა. თვითმპყრობელობამ ბისმარკის გზა აირჩია და მუშებში საკუთარი დასაყრდენის გაჩენა სცადა. ამ საქმეს მოსკოველი ჟანდარმი ზუბატოვი ხელმძღვანელობდა, ამ პროცესს კი ზუბატოვმჩინა ეწოდა, თუმცა, ზუბატოვმჩინამ ფეხი მაინც ვერ მოიკიდა.

1901-1902 წლებში რუსეთში მიმდინარე პროცესში ქართველი სტუდენტობის მონაწილეობა უკვე საგრძნობი იყო. ზ. ჩიჩუა დეტალურად აღწერს ქართველი სტუდენტების მუშაობას იატაკქვეშეთში, მათი გამოვლენის შემდეგ კი რუსეთიდან სამხრეთ კავკასიაში გადმოსახლებაზე.

ზ. ჩიჩუა აღწერს მის დაპატიმრებას, ის სრულად გაამიშვლეს, გულმოდგინედ გაჩხრიკეს და გვარად 219 უწოდეს. საკანი, რომელშიც ზ. ჩიჩუა მოათავსეს სიგრძით ექვსი, სიგანით კი სამი ნაბიჯი იყო და კუბოს ფორმას წააგავდა. საკანში იყო ტანსაცმლის საკიდი, მაცხოვრის პატარა ხატი, რკინის მაგიდა, სკამი და რკინის ტახტი, მაგიდაზე იდო სპილენძის ორი თეფში, სპილენძის ჭიქა („კრუშკა“), საკანს ჰქონდა პატარა ფანჯარა, მაგრამ მას პატიმარი ვერ მიწვდებოდა.

გადიოდა კვირეები, თვეები, ერთხელ ზ. ჩიჩუას ქალის ნაზი ხმა მოესმა: „ამხანაგო!“ ის ეძებდა, თუ საიდან ისმოდა ეს ხმა, მაგრამ ვერავის ხედავდა. ხმა ისევ ისმოდა: „აიღეთ ხელში „კრუშკა“! „წყალსადენის მილს იგი დაადეთ!“ – ისევ გაისმა ხმა. „მერმე მას ყური დაადეთ!“ ზ. ჩიჩუა ასეც მოიქცა. „როცა თქვენ გინდათ მემუსაიფოთ, წყლის სადენის მილზე მიდებულ „კრუშკაში“ იმუსაიფეთ. ზ. ჩიჩუამ „კრუშკაში“ ჩასძახა: „ვინ ხართ და სად ხართ, მვენიერებავ, გვაცნობეთ!“ პასუხი სწრაფად მიიღო და სატელეფონო საუბარიც შედგა. გადიოდა დღეები, მუსაიფი მიმდინარეობდა ყველა საკითხზე, მათ შორის სიყვარულზე. სიყვარულზე მუსაიფი გაგრძელდა მანამ, სანამ ზ. ჩიჩუამ ცივ კარცერში არ ამოყო თავი. ეს იყო ცივი, ბნელი, უსკამო, უტახტო, პაწაწინა საკანი კარცერად წოდებული. ეს საყინულე დანტეს ჯოჯოხეთზე უფრო უარესი იყო. ის არ თბებოდა და მას არც სარკმელი არ ჰქონდა. ის ალბათ არც არასოდეს გასუფთავებულა. იქ პირველ დღეს ბნელოდა, მაგრამ მეორე, მესამე დღეს უკვე თვალი ეჩვეოდა სიბნელეს და უკვე ყველაფერს ხედავდი და სიარულის დროს კედელს არ ეხეთქებოდი. ასეთ კარცერში სამი დღის ატანა შეიძლებოდა, მაგრამ მეოთხე-მეხუთე დღეს უკვე სიმწრით იტყოდი: „მწე და მფარველი მეყავ მე უბადრუკს, აღონა უფალო!“

ერთ დღეს ზ. ჩიჩუა გამოიძახეს და მისცეს საბუთი, სადაც ეწერა, რომ მისი საქმის გარჩევამდე 35 საგუბერნიო ქალაქში ცხოვრება ეკრძალებოდა. მას უთხრეს, ქალაქი ამოირჩიე და დღესვე გაეცალე აქაურობასო (პიტერსს).

ზ. ჩიჩუა 1904 წლის ზაფხულში თბილისში ჩამოვიდა. გამოძახებისთანავე ის ჟანდარმერიაში მივიდა და პირობა დასდო, რომ ყოველ შაბათს ამ დაწესებულებაში ხელის მოსაწერად მივიდოდა.

ზ. ჩიჩუა ეხება იმ დაპირისპირებას, რომელიც გამოიწვია ნოე ჟორდანიას მიერ 1904 წელს ჟენევაში ქართულ ენაზე დაბეჭდილმა ბროშურამ, რომლის სათაური იყო „ქართველი ნაციონალისტები“. ბროშურა პოლემიკური ხასიათის იყო, სადაც ეწერა: „ბურჟუაზიულ ნიადაგზე შემუშავებული პროგრამა ვერასოდეს ვერ იქნება ისეთი ფართო, თავისუფალი და რადიკალური, როგორც სოციალ-დემოკრატიული პროგრამა... ბურჟუა ნაციონალისტებს სურთ საქართველოსათვის თვითმართველობა და უარს ყოფენ განცალკევებას. მარა შეიძლება რომ ქართველობამ სწორედ განცალკევება მოინდომა? მაშინ (გაზეთი) „საქართველო“ უკრძალავს ამას, ხოლო რუსეთის სოც. დემოკრ. ამის სრულ უფლებას აძლევს, როგორი წყობილებაც გსურთ ისეთი დაიარსეთ“.

მინა ცხაკაიას აზრით ნოე ჟორდანიას ამ ბროშურის გავრცელება არ შეიძლებოდა, რადგან შესაძლოა ქართველ მუშებს რუსეთისგან განცალკევება მოენდომებინათ.

ზ. ჩიჩუას მოგონებებში შიგადაშიგ იხსენიებიან იმდროინდელი ისეთი ცნობილი მოღვაწეები, როგორებიც იყვნენ: იოსებ სტალინი, ნოე რამიშვილი, ბენია ჩხიკვიშვილი, ნოე ხომერიკი, ფილიპე მახარაძე და სხვები.

ზ. ჩიჩუა ვრცლად ეხება 1905 წლის იანვარში მეფის ხელისუფლების მიერ დემონსტრანტების დახოცვას, რისი გამოძახილი იყო საქართველოში და, კერძოდ, თბილისში, მეტეხის საპყრობილის პოლიტიკური პატიმრებით გავსება. ის ვრცლად აღწერს მეტეხის ციხეში არსებულ სიტუაციას. მეტეხის ციხეს მართალია ჰქონდა ბიბლიოთეკა, თუმცა, იქ ძველი პერიოდული ჟურნალები იყო განთავსებული, რომლებსაც ზოგს თავი აკლდა, ზოგს შუა ნაწილი, ზოგს კი ბოლო. ის აღწერს ცნობილი პირების მეტეხის ციხეში ცხოვრებას, მაგალითად, თუ როგორ სეირნობდნენ ციხის ეზოში ისიდორე რამიშვილი, ფილიპე მახარაძე, საშა წულუკიძე და სხვები.

ზ. ჩიჩუას აზრით, თუ რუსეთში მარქსისტები ეკონომისტებად და პოლიტიკოსებად იყვნენ დაყოფილები, რამაც მათი დაქუცმაცება გამოიწვია, მათგან განსხვავებით, საქართველოში მუშათა მოძრაობის მეთაურებმა ეს ორი საკითხი - ეკონომიკური და პოლიტიკური – ერთმანეთს დაუკავშირეს და ამით დაქუცმაცება თავიდან აიცილეს.

დასკვნა

სოციალ-დემოკრატიული ზაქარია ჩიჩუას გამოუქვეყნებელი ნაშრომი „ჩემი არქივი“ XIX საუკუნის მიწურულისა და XX საუკუნის დასაწყისის საქართველოს საზოგადოებას

დოებრივ-პოლიტიკური ვითარების შესასწავლად უმნიშვნელოვანესი პირველწყაროა. ავტორმა შეძლო პირუთვნელად, ობიექტურად აღეწერა თანადროული ისტორია, რაც მის ნაშრომს განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენს.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

საარქივო წყაროები:

საქართველოს ეროვნული არქივი. საისტორიო ცენტრალური არქივი. ფონდი 2135. ანაწერი 1. საქმე 1

ლიტერატურა:

დამოუკიდებელი საქართველო 1929: გაზეთი „დამოუკიდებელი საქართველო“, N41. პარიზი, 1929

მებრძოლი საქართველო 1952: გაზეთი „მებრძოლი საქართველო“ N1. პარიზი, 1952

ჩვენი დროშა 1952: ჟურნალი „ჩვენი დროშა“ N11. პარიზი, 1952

References

Archival sources:

Central Historical Archive of the National Archives of Georgia. Fund 2135. Transcript 1. Case 1.

Literature:

Independent Georgia 1929: Newspaper "Independent Georgia", No. 41. Paris, 1929

Fighting Georgia 1952: Newspaper "Fighting Georgia" No. 1. Paris, 1952

Chveni Drosha 1952: Magazine "Chveni Drosha" No. 11. Paris, 1952

**კაცი, რომელმაც ეროვნული მემკვირვება საბჭოთა ტოტალიტარიზმის
პირობებშიც კი შეინარჩუნა**

(ნიკო ბერძენიშვილის ბიოგრაფიის საინტერესო ეპიზოდები აჭარის საარქივო
სამმართველოს ფონდებში დაცული დოკუმენტების მიხედვით)

A MAN WHO PRESERVED NATIONAL MEMORY EVEN UNDER SOVIET TOTALITARIANISM
(Interesting Episodes of Niko Berdzenishvili's Biography According to Documents
Preserved in the Funds of the Archives Administration of Ajara)

ნინო გოგიტიძე

მზია სურმანიძე

აჭარის საარქივო სამმართველო
ბათუმი, საქართველო

ნანი ფუტკარაძე

ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბათუმი, საქართველო

NINO GOGITIDZE

MZIA SURMANIDZE

Archives Administration of Ajara
Batumi, Georgia

NANI PHUTKARADZE

Batumi Shota Rustaveli State University,
Batumi, Georgia

Abstract. Academician Niko Berdzenishvili, a prominent representative of Georgian historical science, was the most dedicated defender of the national heritage. In the materials of the **Batumi Boys' Gymnasium Fund** (1904-1917) of the Central State Archive of Ajara, scarce but very interesting archival documents about the distinguished scientist were found. Among them are certificates of clerical rank, certificates of transfer from one class to another at the boys' gymnasium and certificates of completion of the school, documents related to permission to take exams externally, protocols of the pedagogical council, materials reflecting the participation of students in the revolutionary movement, secret letters from the heads of the relevant structure, etc.

Keywords: *Niko Berdzenishvili, certificate, biography, protocol, archival documents.*

აბსტრაქტი. ქართული ისტორიული მეცნიერების თვალსაჩინო წარმომადგენელი აკადემიკოსი ნიკო ბერძენიშვილი ეროვნული მემკვიდრეობის ყველაზე თავდადებული დამცველი იყო. აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივის **ბათუმის ვაჟთა გიმნაზიის ფონდის** 1904-1917 წწ. მასალებში ღვაწლმოსილი მეცნიერის შესახებ აღმოჩნდა მწირი, მაგრამ მეტად საინტერესო საარქივო დოკუმენტები. მათ შორისაა სასულიერო წოდების მოწმობა, ვაჟთა გიმნაზიის კლასდიდან კლასში გადაყვანისა და სასწავლებლის დასრულების მოწმობები, გამოცდების ექსტერნად ჩაბარების ნებართვასთან დაკავშირებული დოკუმენტები, პედაგოგიური საბჭოს ოქმები, მოსწავლეთა რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობის ამსახველი მასალები, შესაბამისი სტრუქტურის ხელმძღვანელთა საიდუმლო წერილები და ა. შ.

საკვანძო სიტყვები: ნიკო ბერძენიშვილი, მოწმობა, ბიოგრაფია, ოქმი, საარქივო დოკუმენტები.

შესავალი

ქართული ისტორიოგრაფიის კლასიკოსი ნიკო ბერძენიშვილი ეროვნული მემკვიდრეობის შენარჩუნების ერთ-ერთი ყველაზე ერთგული დამცველი იყო. თვალსაჩინო მეცნიერმა საბჭოთა ტერორის პირობებშიც კი შეძლო შენარჩუნებინა ეროვნული მემკვიდრეობის, კულტურისა და ისტორიისადმი სიყვარული, ერთგულება და თავდადება. მისი ცხოვრება და ბიოგრაფია ასახავს იმ რეალობას, რომელიც დამახასიათებელი იყო მე-20 საუკუნის საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური თუ კულტურული ცხოვრებისათვის. მართალია ნ. ბერძენიშვილს შესახებ ბევრი დაიწერა, გამოქვეყნებულია მონოგრაფიები თუ სტატიები, მაგრამ საარქივო დოკუმენტები გვაძლევს შესაძლებლობას, უკეთ გავიგოთ და გავიაზროთ შედარებით უფრო ნაკლებად ცნობილი ეპიზოდები. წინამდებარე სტატიაც სწორედ ამ მიზანს ემსახურება.

მეთოდები

კვლევისას გამოყენებულ იქნა ისტორიულ-შედარებითი, ასევე დოკუმენტების მოძიების, კლასიფიცირების და წყაროთა დამუშავების მეთოდები.


შედეგები

კვლევის პროცესში მოძიებული საარქივო მასალების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა ნ. ბერძენიშვილის დაბადებასთან დაკავშირებული რამდენიმე თარიღი, გიმნაზიაში სწავლის პერიოდის ცალკეული ეპიზოდები, მოსწავლეთა რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობა და ა. შ. შესაბამისად სამეცნიერო ბრუნვაში შემოვიდა რამდენიმე ახალი საარქივო დოკუმენტი, რომლებიც უაღრესად მნიშ-

ვნელოვანია ნ. ბერძენიშვილის ბიოგრაფიით დაინტერესებული სპეციალისტებისათვის.

მსჯელობა

ქართული ისტორიული მეცნიერების თვალსაჩინო წარმომადგენელი აკადემიკოსი ნიკო ბერძენიშვილი ეროვნული მემკვიდრეობის ყველაზე თავდადებული დამცველი იყო. აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივის ბათუმის ვაჟთა გიმნაზიის ფონდის 1904-1917 წლების მასალებში დვაწლმოსილი მეცნიერის შესახებ აღმოჩნდა მწირი, მაგრამ მეტად საინტერესო საარქივო დოკუმენტები. მათ შორისაა **სასულიერო წოდების მოწმობა**, რომელიც გაცემულია **ნიკოლოზ ბერძენიშვილის** სახელზე ქუთაისის გუბერნიის, ოზურგეთის მაზრის, ფარცხმის სასოფლო საზოგადოების მიერ (ასსცსა, ფონდი ი-10, აღწ. 1, საქ. 143, ფ. 56).




ასსცსა, ფონდი ი-10, აღწ. 1,
საქ. 143, ფ. 56

დოკუმენტის მიხედვით დიდი მეცნიერი დაბადებულია **1892 წლის 27 დეკემბერს**, ხოლო 1903 წლის ივნისში წარმატებით დაასრულა ფარცხმის ორკლასიანი სასწავლებლის სრული კურსი (ასსცსა, ფონდი ი-10, აღწ. 1, საქ. 143, ფ. 56).

მოწმობა გაცემულია ქუთაისის გუბერნიის სახალხო სასწავლებელთა დირექტორის ნებართვის საფუძველზე, სოფელ ფარცხმის **თავკაცის - ბერძენიშვილის** მიერ 6 ივნისს. დოკუმენტის ნამდვილობა დადასტურებულია მისივე ხელწერიტა და ბეჭდით. მოწმობას ხელს აწერენ აგრეთვე სასწავლებლის ზედამხედველი **ა. სანაძე** და მასწავლებელი **ილარიონ ჩომახიძე** (ასსცსა, ფონდი ი-10, აღწ. 1, საქ. 143, ფ. 56).

ჩვენი ყურადღება მიიქცია საარქივო დოკუმენტებში დაფიქსირებული დიდი მეცნიერის დაბადების თარიღის რამოდენიმე ვარიანტმა. ვაჟთა გიმნაზიის კლასიდან კლასში გადაყვანისა და სასწავლებლის დასრულების მოწმობებში დაბადების სხვადასხვა თარიღია მითითებული, კერძოდ: **1892 წლის 27 დეკემბერი, 1892 წ. 5 ივლისი, 1894 წ. 5 დეკემბერი** (ასსცსა, ფ. ი-10, ანაწ. 1, საქ. 143, ფ. 58, საქ. 47, ფ. 39, საქ. 143; ფ. 5). სამეცნიერო პუბლიკაციებში სხვა თარიღებიცაა დასახელებული.

ბული 8 იანვარი, 1895, ასევე 9 იანვარი, 1895 (იხ. დიდი საბჭოთა ენციკლოპედია, რუს. მოსკ. 2004; საქართველოს ბიოგრაფიული ლექსიკონი, თბ. 2001) დოკუმენტებიდან ჩანს, რომ ნ. ბერძენიშვილი არის „მემკვიდრეობით საპატიო და სასულიერო წოდების ოჯახის წევრი“ (ასსცსა ი-10, აღწ. 1, საქ. 143, ფ. 58). ფარცხმის ორკლასიანი სასწავლებლის სრული კურსის დასრულების შემდეგ ნ. ბერძენიშვილი 1904 წელს ჩაირიცხა ბათუმის ვაჟთა გიმნაზიაში. მასთან ერთად სწავლობდნენ: მიხეილ ბერძენიშვილი, ევსეი ანდრონიკოვი, კოსტანტინე საბახტარაშვილი, ბენედიქტე ბერაძე, ანტონ ბაკურაძე, გიორგი ხეჩინოვი, ბორის გოგიჯანოვი, იაკობ ვარძელაძე და სხვები. ნიკო ბერძენიშვილი გიმნაზიაში 1908 წლამდე ირიცხებოდა. კლასიდან კლასში იგი ხშირად გადაჰყავდათ პირველი ხარისხის ჯილდოთი (ასსცსა ი-10, აღწ. 1, საქ. 7, ფ. 28).




ასსცსა ი-10, აღწ. 1, საქ. 143, ფ. 56.

შესაბამისად, როგორც წარჩინებული მოსწავლე ყოველწლიურად თავისუფლდებოდა სწავლის საფასურის გადასახადისაგან. ეს დაფიქსირებულია პედსაბჭოს სხდომის ოქმებში. ამავე დოკუმენტის მიხედვით სწავლის საფასურისაგან გაუთავისუფლებიათ აგრეთვე მისივე კლასელი ალ. ჭელიძე და ბაკარ (ბექირ?) მაძიკ-ოდლი (ასსცსა ი-10, აღწ. 1, საქ. 143, ფ. 56).

ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ სასწავლებელი მკურნალობისა თუ სხვა გადაუდებელი საჭიროების შემთხვევაში თავის მოსწავლეებს უწევდა მატერიალურ დახმარებასაც. აღნიშნულის დასტურია სასწავლებლის პედსაბჭოს 1907 წლის 13 მაისის სხდომის გადაწყვეტილება. დოკუმენტის მიხედვით, ნ. ბერძენიშვილს ფენი მოუტენია, სამკურნალო ხარჯები კი ოჯახს არ გააჩნდა. ნიკოს მშობლების თხოვნის განხილვის შემდეგ გადაწყდა, რომ ქალაქის საავადმყოფოსათვის მკურნალობის ხარჯები სასწავლებლის სპეცსახსრებიდან გამოიყოფოდა (ასსცსა ი-10, აღწ. 1, საქ. 10, ფ. 17).


იმ დროისათვის გამოცდების ექსტერნად ჩაბარება მიღებული პრაქტიკა იყო, თუმცა რატომღაც ნ. ბერძენიშვილს ყოველთვის არ აძლევდნენ ამის შესაძლებლობას. დოკუმენტების მიხედვით ნიკო ბერძენიშვილი 1908 წლიდან აღარ ჩანს სასწავლებლის მოსწავლეთა სიაში. ამითაა განპირობებული, რომ ნიკოს 1909 წლიდან 1917 წლის ჩათვლით არაერთხელ უთხოვია გამოცდების ექსტერნად ჩაბარების ნებართვა, რათა აეღო სიმწიფის ატესტატი, რაზედაც რამდენიმეჯერ მიუღია უარი, თუმცა ბოლოს მაინც დაუნიშნიათ მისთვის განმეორებითი გამოცდები **ლათინურ ენასა და ისტორიაში**. (ასსცსა ი-10, აღწ. 1, საქ. 35, ფ. 25, 26).

ექსტერნად გამოცდების ჩამბარებელთა სიაში ნიკოს ვხვდებით 1915 წელსაც. სიას თან ერთვის მოსწავლეთა მოკლე ბიოგრაფიული მონაცემები: დაბადების თარიღი და ადგილი, აღმსარებლობა, წოდება, სასწავლებლის დასახელება და სწავლების ხანგრძლივობა. ამ დოკუმენტში დაბადების თარიღად **1894 წლის 5 დეკემბერია** მითითებული, დაბადების ადგილად კი ოზურგეთის მაზრის სოფელი გოგოლესუბანი.




ასსცსა ი-10, აღწ. 1, საქ. 47, ფ. 39

ნიკოსა და რვა კურსდამთავრებულისათვის სიმწიფის ატესტატის გაცემა საბოლოოდ გადაწყვიტა 1917 წლის 6 მაისის პედაგოგიური საბჭოს სხდომამ.



ასსცსა ი-10, აღწ. 1, საქ. 143, ფ. 55-ა



ასსცსა ი-10, აღწ. 1, საქ. 143, ფ. 55-ბ

როგორც ცნობილია, ნიკო ბერძენიშვილი აქტიურად იყო ჩართული რევოლუციურ მოძრაობაში. 1908 წელს ბათუმის გიმნაზიაში სწავლის პერიოდში მან მონაწილეობა მიიღო მოსწავლეთა რევოლუციურ მოძრაობაში, რისთვისაც იგი გარიცხეს გიმნაზიიდან და აუკრძალეს ბათუმში ცხოვრება. აღნიშნულთან დაკავშირებით საინტერესო დოკუმენტი აღმოჩნდა „ბათუმის დაცვის პუნქტი“-ს ფონდში. 1908 წლით დათარიღებული დოკუმენტები ეხება ბათუმის მიხეილის ციხესიმაგრის დაცვის შტაბის კომენდანტის, ბათუმის საპოლიციო უბნის პრისტავის, ბათუმის ვაჟთა გიმნაზიის დირექტორისა და თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის უფროსის საიდუმლო მიმოწერებს. აგენტურული ქსელის მონაცემებიდან ირკვევა, რომ ვაჟთა გიმნაზიის მაღალი კლასის მოსწავლეები აქტიურად იყვნენ ჩართულნი რევოლუციურ მოძრაობაში. საშიშროებიდან გამომდინარე, იმპერატორის რწმუნებულის განკარგულებით, დაიხურა მაღალი კლასები.

ამ დროისათვის ბათუმში არსებობდა სოციალ-დემოკრატების, სოციალ-რევოლუციონერებისა და დაშნაკების მოსწავლეთა ადგილობრივი ორგანიზაციები, რომელთა წევრები იყვნენ: ძმები ვიტალი და ევგენი კუზიატინები, სერგო გრიგოლია, ხაიმ კაპლანი, ლეონ და სურენ ტახტაჯიანები, მიხეილ ეგენიანი, ანტონ გერვასი, მირონ კარაბეგოვი, კარლ კუნინი. უმცროსკლასელებს შორის

ეპიზოდების შესახებ. იგი იყო უდიდესი ქართველი ისტორიკოსი, რომელმაც ახალი სიტყვა თქვა ქართული ისტორიული მეცნიერების განვითარებაში. ნ. ბერძენიშვილი 1924 წ. აგვისტოს აჯანყების შემდეგაც რეპრესიების ტალღაში მოხვდა, თუმცა გადაურჩა სასჯელს. სწორედ მაშინ ჩამოუყალიბდა პრინციპი, რომ ისტორია და ისტორიული კვლევა-ძიება უნდა ემსახურებოდეს არა მმართველი ელიტის ინტერესებს, არამედ სიმართლესა და ობიექტურობას. მას ჰქონდა უნარი ალეგორიული ენით გადაეღაზა ცენზურასთან დაკავშირებული სირთულეები. ნიკო ბერძენიშვილის საქმიანობა ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა შეასრულო შენი პროფესიული მოვალეობა და ამავე დროს დაიცვა ერის მეხსიერება პოლიტიკური ტერორისა და ტოტალიტარიზმის პირობებში.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

საარქივო წყაროები:

ასსცსა, ფონდი ი-10; აღწ. 1; საქ. 5, ფ. 58;
ასსცსა, ფონდი ი-10, ან. 1, საქ. 7, ფ. 16, 28;
ასსცსა, ფონდი ი-10, ან. 1, საქ. 10, ფ. 3, 17, 19;
ასსცსა, ფონდი ი-10, ან. 1, საქ. 20, ფ. 49;
ასსცსა, ფონდი ი-10, ან. 1, საქ. 35, ფ. 17, 42 ;
ასსცსა, ფონდი ი-10, ან. 1, საქ. 47, ფ. 30, 39;
ასსცსა, ფონდი ი-4; ანაწ. 1; საქ. 63; ფ. 16, 23-30, 70
ასსცსა, ფონდი ი-10, ან. 1 საქ. 65, ფ. 36;
ასსცსა, ფონდი ი-10, ან. 1 საქ. 143, ფ. 55-58.

ლიტერატურა:

დიდი 2004: დიდი საბჭოთა ენციკლოპედია. მოსკოვი, 2004;
დუმბაძე 1964: დუმბაძე მ. ნიკო ბერძენიშვილი. თბილისი, 1964
ენციკლოპედია 2002: ენციკლოპედია. თბილისი, 2002;
საქართველოს 2001: საქართველოს ბიოგრაფიული ლექსიკონი. თბილისი, 2001

References

Archival sources:

Central State Archives of Archives Administration of Ajara, fund E-4, description 1, case 63, paper 16, 23-30, 70;
csaaaa, fund E-10, description 1, case 5, paper 58;
csaaaa, fund E-10, description 1, case 7, paper 16, 28;
csaaaa, fund E-10, description 1, case 10, paper 3, 17, 19;

csaaaa, fund E-10, description 1, case 20, paper 49;
csaaaa, fund E-10, description 1, case 35, paper 17, 42;
csaaaa, fund E-10, description 1, case 47, paper 30, 39;
csaaaa, fund E-10, description 1, case 65, paper 36;
csaaaa, fund E-10, description 1, case 143, paper 55-58.

Literature:

Dumbadze 1964: Dumbadze M. Niko Berdzenishvili. Tbilisi, 1964.

Encyclopedia 2002: Encyclopedia. Tbilisi, 2002.

Great 2004: Great Soviet Encyclopedia. Moscow, 2004.

Georgia 2001: Georgian Biographical Dictionary. Tbilisi, 2001.

საქართველოს ეროვნული გვარდიის გენეზისი
THE GENESIS OF THE GEORGIAN NATIONAL GUARD

გოჩა ბათაძე

სოხუმის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

GOCHA BATADZE

Sokhumi State University

Abstract. The establishment of the Georgian National Guard was one of the most important decisions made by the government in the country's security system. It is not just a military-statutory unit – it is an institution that, immediately after the restoration of Georgia's independence, became the pillar of the state's defense structure. The need to create the Guard was due to the difficult political, ethnic and social challenges of the early 1990s, which necessitated the rapid and functional formation of a national-type armed formation. The creation of the National Guard was preceded by the experience of the Red and People's Guards - structures that played a decisive role in the protection of national defense, internal stability and civil order in the First Republic of Georgia (1917–1921). This historical background of the Guard model determines the conceptual framework on which independent Georgia attempted to restore a national military institution at the end of the 20th century. The orientation towards a Western-style National Guard was not just a strategic or ideological choice - it was the first step in transforming the security system and establishing a sovereign model of national defense. However, in practice, the politicization of the Guard, the problems of its subordination, and structural instability significantly limited its functional implementation. For this reason, the paper pays special attention to the analysis of the institutional, legal, and political factors that influenced the development of the Guard. The research is aimed not only at describing historical processes, but also at systematically analyzing the challenges that have accumulated around the National Guard - from the lack of discipline to the uncertainty of its legal status. A detailed assessment of the issues is based on both primary sources (official documents and archives) and the recollections of high-ranking individuals who were directly involved in the creation and reform of the Guard.

Keywords: *Red Guard, People's Guard, National Guard, Georgian security, territorial defense, democratic security.*

აბსტრაქტი. საქართველოს ეროვნული გვარდიის ჩამოყალიბება ქვეყნის უსაფრთხოების სისტემის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება იყო მთავრობის მიერ. ის არ წარმოადგენს მხოლოდ სამხედრო-საწესდებო დანაყოფს – ეს არის ინსტიტუცია, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის-თანავე იქცა სახელმწიფოს თავდაცვის სტრუქტურის საყრდენად. გვარდიის შექმნის აუცილებლობა განპირობებული იყო 1990-იანი წლების დასაწყისის მძიმე პოლიტიკური, ეთნიკური და სოციალური გამოწვევებით, რომლებმაც საჭირო გახადა ეროვნული ტიპის შეიარაღებული ფორმირების სწრაფი და ფუნქციური ჩამოყალიბება. ეროვნული გვარდიის შექმნას წინ უძღოდა წითელი და სახალხო გვარდიის გამოცდილება, რომლებიც საქართველოს პირველ დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1917–1921) ასრულებდნენ გადამწყვეტ როლს ეროვნული თავდაცვის, შიდა სტაბილურობისა და სამოქალაქო წესრიგის დაცვაში. გვარდიული მოდელის ეს ისტორიული წიადი განაპირობებს იმ კონცეპტუალურ ჩარჩოს, რომელზეც დამოუკიდებელმა საქართველომ XX საუკუნის ბოლოს სცადა ეროვნული სამხედრო ინსტიტუციის აღდგენა.

დასავლური ტიპის ეროვნულ გვარდიაზე ორიენტირება არ იყო მხოლოდ სტრატეგიული ან იდეოლოგიური არჩევანი – ეს იყო უსაფრთხოების სისტემის გარდაქმნისა და ეროვნული თავდაცვის სუვერენული მოდელის ჩამოყალიბების პირველი ნაბიჯი. თუმცა, პრაქტიკაში გვარდიის პოლიტიზება, მისი დაქვემდებარებულობის პრობლემები და სტრუქტურული არასტაბილურობა მნიშვნელოვნად ზღუდავდა მისი ფუნქციური განხორციელების შესაძლებლობას. სწორედ ამ მიზეზით, ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იმ ინსტიტუციური, სამართლებრივი და პოლიტიკური ფაქტორების ანალიზს, რომლებმაც გავლენა მოახდინეს გვარდიის განვითარებაზე.

კვლევა მიმართულია არა მხოლოდ ისტორიული პროცესების აღწერაზე, არამედ ეროვნული გვარდიის გარშემო დაგროვებული გამოწვევების სისტემურ გაანალიზებაზე – დისციპლინის დეფიციტიდან დაწყებული, სამართლებრივი სტატუსის გაურკვევლობით დასრულებული. საკითხების დეტალური შეფასება ეფუძნება, როგორც პირველწყაროებზე (ოფიციალურ დოკუმენტებსა და არქივებს), ისე იმ მაღალი რანგის პირების მოგონებებს, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ გვარდიის შექმნასა და რეფორმირებაში.

საკვანძო სიტყვები: წითელი გვარდია, სახალხო გვარდია, ეროვნული გვარდია, საქართველოს უსაფრთხოება, ტერიტორიული თავდაცვა, დემოკრატიული უსაფრთხოება.

შესავალი

საქართველოს ეროვნული გვარდიის ინსტიტუციური გაგება შეუძლებელია მისი ისტორიული ფესვების გათვალისწინების გარეშე. XX საუკუნის პირველ მეოთხედში, რუსეთის იმპერიის დანგრევის შემდეგ წარმოქმნილ პოლიტიკურ ვაკუუმში საქართველოს სახელმწიფოს სწრაფად დასჭირდა ძალოვანი სტრუქტურის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფდა შიდა სტაბილურობას, დაიცავდა ტერიტორიულ მთლიანობას და ერთდროულად განახორციელებდა ეროვნულ-პოლიტიკურ თვითგადარჩენის ფუნქციას. ამ მიზნის მისაღწევად თავდაპირველი ადგილი დაიკავა ე.წ. წითელმა გვარდიამ, ხოლო შემდგომ სახალხო გვარდიამ, რომელიც უკვე პირდაპირ ემორჩილებოდა დემოკრატიულად არჩეულ მთავრობას.

1917 წლის რევოლუციებმა რუსეთის იმპერიის სივრცე სრულად გადაიყვანა ძალაუფლების მერყევ და ფრაგმენტირებულ ფაზაში. ამ პროცესში ბოლშევიკებმა დაიწყეს ე.წ. წითელი გვარდიის ფორმირება, რომელიც უნდა ეცუულიყო რევოლუციური ძალაუფლების ბერკეტად ადგილობრივ დონეზე. ანალოგიურად დაიწყო საქართველოშიც წითელი გვარდიის ფორმირება.

1918 წლის მაისში საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე, ეროვნული საბჭოს მიერ წითელი გვარდია გადაკეთდა სახალხო გვარდიად, როგორც კანონიერი, სახელმწიფოებრივად რეგულირებული და პარლამენტისადმი ანგარიშვალდებული სამხედრო-საზოგადოებრივი ძალა. მისი შექმნის მიზეზი იყო ორმაგი: ერთი მხრივ, საჭირო იყო ადგილობრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ეფექტიანი ძალა, მეორე მხრივ კი – ცენტრალური ხელისუფლების ავტორიტეტის განმტკიცება რეგიონებში.

სახალხო გვარდიის მოდელის მიბაძვის პრინციპით ყალიბდება ასევე 90-იან წლებში ეროვნული გვარდია და თითქმის იგივე ფუნქციის მატარებელია, როგორც იყო სახალხო გვარდია, მხოლოდ იმ მთავარი განსხვავებით, რაც ხელისუფლებისადმი ერთგულება იყო.

ნაშრომის მთავარ მიზანს წარმოადგენს, საქართველოს ეროვნული გვარდიის ინსტიტუციური ევოლუციისა და სტრატეგიული ფუნქციის მრავალგანზომილებიანი ანალიზი, რომელიც დაფუძნებულია ისტორიულ, სამართლებრივ, სამხედრო და პოლიტიკურ ჭრილზე. კვლევა მიზნად ისახავს, არა მხოლოდ ამ სტრუქტურის შექმნისა და განვითარებისთვის დამახასიათებელი ეტაპების აღწერას, არამედ ამ პროცესებში განხორციელებული გადაწყვეტილებების ეფექტიანობის შეფასებას.

წითელი გვარდია: შექმნის კონტექსტი და ფორმირება საქართველოში (1917–1918)

1917 წლის რუსეთის რევოლუციებმა, სამხედრო და პოლიტიკური სტრუქტურების სწრაფი დეგრადაცია მთელი კავკასიის მასშტაბით შეუქცევადი პროცესების კატალიზატორი გახდა. იმპერიის ცენტრალური მმართველობის დაშლის შემდეგ, ე.წ. ძალაუფლების ვაკუუმი განსაკუთრებით მკვეთრად გამოვლინდა პერიფერიებში, მათ შორის საქართველოში, სადაც სახელმწიფოებრივი მმართველობისა და წესრიგის შენარჩუნების ხარისხი თითქმის მთლიანად დაეცა.

სწორედ ამ პირობებში იბადება წითელი გვარდიის კონცეფცია – თავდაპირველად, როგორც რუსეთში მძლავრად გაბატონებული ბოლშევიკური მექანიზმის ექსპორტირებული ინსტრუმენტი. წითელი გვარდია უნდა ქვეულიყო ერთგვარ იდეოლოგიურ ფენომენად: სამხედრო ძალად, რომელიც არ ემორჩილებოდა ტრადიციული წესრიგის სამართლებრივ ჩარჩოს, არამედ ემყარებოდა რევოლუციურ მიზნებს და კლასობრივ სოლიდარობაზე დაფუძნებულ ბრძოლას.

საქართველოში წითელი გვარდიის ფორმირება დაიწყო ჯერ კიდევ 1917 წლის ბოლოს, ძირითადად დიდი ქალაქების მუშათა ცენტრებში. წითელი გვარდიის ძირითად შემადგენლობას წარმოადგენდა მუშათა და გლეხთა კლასის წარმომადგენლები და ქვეყანაში არსებული პოლიტიკური პარტიების წევრები (ძირითადად, სოციალ-დემოკრატები). მათ დაემატა ნაწილობრივ დემორალიზებული ყოფილი ჯარისკაცები, რომლებიც უმუშევრად დარჩნენ და სწრაფად ინტეგრირდნენ ახალ რევოლუციურ სტრუქტურებში. თუმცა, მათი ინტეგრაცია არ ნიშნავდა დისციპლინური სისტემის ან პროფესიული სტანდარტების არსებობას. ისინი მოქმედებდნენ სპონტანურად, უხელმძღვანელოდ და ფაქტობრივად იყვნენ იდეოლოგიური იარაღი კონკრეტული პოლიტიკური დღის წესრიგის დასამკვიდრებლად.

ქვეყნის მაშინდელი წითელი გვარდიის ფორმირება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა იყო საქართველოში დემოკრატიული წყობილების განმტკიცებაში. წითელი გვარდია (შემდგომში სახალხო გვარდია) საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში ოპოზიციური ჯგუფების (მეფის რეჟიმის ძალები თუ ბოლშევიკები) მიერ წარმოებული შეიარაღებული ამბოხების ჩახშობის მონაწილე და უფრო მეტიც- მთავარი ძალა იყო.

წითელი გვარდიის მნიშვნელობას ხაზს უსვამს სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის ხელმძღვანელი-ვალიკო ჯუღელი თავის მოგონებებში, როცა საუბრობს მე-8 პოლკის განიარაღებაზე, რომელიც რიგით მეოთხე იყო (ჯუღელი ვ., 2022: 52). სწორედ წითელ გვარდიას მაშინდელი ხელისუფლებისადმი მხარდაჭერა-თანადგომის გამოჩენისთვის არ დაუკარგა მთავრობამ გაწეული ღვაწლი და ის იურიდიულ ჩარჩოებში მოაქცია. წითელი გვარდია, სახალხო გვარდიად გადაკეთდა.

სახალხო გვარდიის ჩამოყალიბება და სტრუქტურული თავისებურებები

1918 წლის 26 მაისს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე, სახელმწიფოს წინაშე დადგა თავდაცვისა და შიდა უსაფრთხოების უზრუნველყოფის გადაუდებელი ამოცანა. მომდევნო დღეებში ხელისუფლებამ იმსჯელა სახელმწიფოს საყრდენი ძალოვანი სტრუქტურის შექმნის აუცილებლობაზე, რომელიც არ იქნებოდა იმპერიული არმიის ან ბოლშევიკური წითელი გვარდიის მემკვიდრე, არამედ ჩამოყალიბდებოდა დემოკრატიულ პრინციპებზე, ეროვნული კონტროლის ქვეშ. ამ კონტექსტში, ეროვნულ საბჭოში მიღებულ იქნა ისტორიული გადაწყვეტილება – შეიქმნა სახალხო გვარდია, რომელიც იქცა დამოუკიდებელი საქართველოს თავდაცვისა და სტაბილურობის პირველწყაროდ.

1918 წლის 2 ივლისს საქართველოს ეროვნული საბჭოს გადაწყვეტილებით მიღებული იქნა კანონი „საქართველოს რესპუბლიკის სახალხო გვარდიის შესახებ“, რითაც 1918 წლის ბოლოს სოციალ-დემოკრატიული წითელი გვარდია გადაკეთდა სახალხო გვარდიად და დაისახა კონკრეტული მიზანი, რასაც რესპუბლიკის, მისი დამოუკიდებლობის და თავისუფლების დაცვა წარმოადგენდა. სახალხო გვარდია ომის დროს ემორჩილებოდა საერთო მთავარსარდალს, ხოლო დანარჩენ პერიოდში, მთავრობის თავმჯდომარეს (სდრსაკ: 1990).

სახალხო გვარდია იმართებოდა სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის და საოლქო/სარაიონო შტაბების მიერ. გვარდიაში მოხალისეების სამსახური უსასყიდლო იყო და სამსახური შეეძლო საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს, რომელიც თავის მხრივ არ ირიცხებოდა სამხედრო სამსახურში. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მოხალისეებს მთავრობა აძლევდა დახმარებას. ოფიცრები და ინსტრუქტორები, რომლებიც ირიცხებოდნენ სახალხო გვარდიის რიგებში, მთავრობისაგან იღებდნენ ხელფასს. მოხალისეები ვალდებული იყვნენ, როდესაც ამას საჭიროდ ჩათვლიდა მთავრობა, გამოცხადებულიყვნენ საკუთარ რაიონულ შტაბში იარაღით და აღჭურვილობით, რომელიც მათ მიბარებული ჰქონდათ შტაბების მიერ. აქვე აღსანიშნავია, რომ გარდა მთავრობის თავმჯდომარისა, გვარდიის გაწვევის უფლება ჰქონდა ეროვნული საბჭოს თავმჯდომარეს. საგანგებო ვითარებაში ამ ფუნქციით შეეძლო ესარგებლა მთავარ და რაიონულ შტაბებს, რომელი უფლებაც 1919 წლიდან ჩამოერთვათ.

სახალხო გვარდია შედგებოდა რეგულარული და არარეგულარული შენაერთებისაგან (მოხალისეები). რეგულარულ შენაერთებში შედიოდა: საარტილერიო ბრიგადა, საგანგებო ქვეითი ბატალიონი, ცხენოსანი დივიზიონი, საგანგებო ტყვის-ისმფრქვეველთა რაზმი, ჯავშნოსან ავტომობილთა გუნდი (1920 წლიდან ჯავშან-სატანკო დივიზიონი ეწოდა), ჯავშნიანი რკინიგზის რაზმი, საინჟინრო გუნდი. რაც შეეხება არარეგულარულ შენაერთებს, რომლებიც იკრიბებოდნენ ომის დროს ტე-

რიტორიული პრინციპის მიხედვით – შედიოდა 19 სარეზერვო ბატალიონი: თბილისის-4, გარეკახეთის, კახეთის-2, ღუშეთის, ქართლის-2, ახალციხის, იმერეთის-3, სამეგრელოს-2, სოხუმის, გურიის და ბათუმის. ამდენად, სახალხო გვარდიის რეგულარული და არარეგულარული შენაერთების რაოდენობა ერთად, დაახლოებით 15000 მეზრძოლი უნდა ყოფილიყო მობილიზაციის დროს (სილაქაძე დ., 2011: 342-342).

სახალხო გვარდია წარმოადგენდა ფაქტობრივად საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის მთავარ დასაყრდენს და ბერკეტს, როგორც ქვეყანაში წესრიგის დამყარების, ისე ხელისუფლების შენარჩუნება-განმტკიცების თვალსაზრისით. მთავრობა დარწმუნებული იყო რა თავისი ერთგული გვარდიის შესაძლებლობებში, არმიას არც კი აქცევდა სათანადო ყურადღებას, რაზედაც უკამყოფლებას გამოხატავდნენ მაშინდელი გენერლები. გიორგი მაზნიაშვილი ამბობს თავის მოგონებებში, რომ დემოკრატიული მთავრობისათვის „... გვარდია იყო პირმშო შვილი, ჯარი კი გერი...“ (მაზნიაშვილი გ., 1927: 8). იგივეს ამბობდა გიორგი კვინიტაძეც: „... გვარდია ნებიერი იყო, არმია – გერი“ (კვინიტაძე გ., 2014: 114).“

სახალხო გვარდიის პოლიტიკური და სამართლებრივი კონცეფცია

სახალხო გვარდია შეიქმნა არა მხოლოდ როგორც ძალოვანი დანაყოფი, არამედ როგორც პოლიტიკური ინსტიტუცია, რომლის არსი განსხვავდებოდა ჩვეულებრივი სამხედრო სტრუქტურებისგან. მისი სამართლებრივი სტატუსი განისაზღვრა ეროვნული საბჭოს მიერ მიღებული დროებითი ნორმატიული აქტებით, ხოლო პასუხისმგებლობა ებარა უშუალოდ „პარლამენტს“, რაც უზრუნველყოფდა მის ანგარიშვალდებულებას სამოქალაქო ხელისუფლების წინაშე.

სახალხო გვარდიის შექმნა იყო არა მხოლოდ რეაქცია შინაგან საფრთხეებზე, არამედ წინასწარი პასუხი გარე აგრესიაზეც. 1918 წლის მდგომარეობით, საქართველო იმყოფებოდა რთულ გეოპოლიტიკურ გარემოში – სამხრეთით მუქარად აღიქმებოდა ოსმალეთის არმია, ხოლო ჩრდილოეთიდან – საბჭოთა რუსეთი და მისი აგენტურა. ამასთან, შიდა სტაბილურობის დასაცავად აუცილებელი იყო ძალოვანი სტრუქტურა, რომელსაც ექნებოდა რესურსი, ლეგიტიმაცია და ორგანიზაციული ვექტორი ქმედითი რეაგირებისთვის.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნული ფაქტებისა, სახალხო გვარდიის ჩამოყალიბებას, როგორც მთავრობაზე დაქვემდებარებულ სამხედრო ორგანიზაციას – გააჩნდა რიგი უარყოფითი თვისებებიც. სახალხო გვარდია უნდა ყოფილიყო არა მთავრობაზე, არამედ სამხედრო მინისტრის დაქვემდებარებაში და ეს საშუალებას მისცემდა მთავარსარდალს და გენერალიტეტს სახალხო გვარდიის ეფექტურად გამოყენებაში, განსაკუთრებით, საომარი ვითარების დროს. ასეთი მოცემულება

თავიდან აარიდებდა ქვეყანას სახალხო გვარდიელების მხრიდან ისეთ ფაქტებს, როგორც იყო: უღისციპლინობა, პოზიციების მიტოვება და ხშირ შემთხვევაში, ფრონტის სარდლისადმი დაუმორჩილებლობაც.

გიორგი მაზნიაშვილი თავის მოგონებებში ღიად საუბრობს ზემოთ აღნიშნულთან დაკავშირებით, მაგალითად, ხაშურის ბატალიონის მიერ პოზიციების მიტოვებაზე და თბილისისკენ წასვლაზე. ასევე, აწყურთან 2500 კაცამდე გვარდიელის თვითნებურად უკან დახევაზე (მაზნიაშვილი გ., 1927: 165) და ა.შ. იყო ფაქტები, მოხალისეების მხრიდან ცალკეული მარადიურობისაც, როცა დაუსჯელიც კი რჩებოდა დანაშაულის ჩამდენი. აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია მრავლად მოიპოვება, როგორც გენერლების, ისე თავად გვარდიის ხელმძღვანელის მოგონებებშიც.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, სახალხო გვარდიის სისასტიკის შესახებ გაბნეული ინფორმაციაც, რაც ერთის მხრივ არ უნდა ყოფილიყო უცნობი მთავრობისთვის. ამკარაა, რომ სახალხო გვარდიის მხრიდან სისასტიკის ფაქტებს მრავლად ჰქონდა ადგილი. ამას ადასტურებს ბევრჯერ თვით ვ. ჯუღელიც, როგორც იყო თელავის სადგურთან მომხდარი ფაქტი (ჯუღელი ვ., 2022: 53), სომხური სოფლის გაძარცვის ფაქტი (ჯუღელი ვ., 2022: 194), რეგიონებში სამოქალაქო წესრიგის დაცვის მიზნით შესვლის დროს სახლების გადაწვის შემთხვევები თუ გაუპატიურების ფაქტი (ჯუღელი ვ., 2022: 181).

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის ყოველი დღე იყო გადარჩენის ბრძოლა. სახელმწიფოს არ გააჩნდა მყარად ჩამოყალიბებული რეგულარული არმია, ცენტრალიზებული რესურსი და დიპლომატიური გარანტიები. ასეთ ვითარებაში სახალხო გვარდია გახდა ერთადერთი სტრუქტურა, რომელსაც ჰქონდა ორგანიზებული შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევის, შიდა სტაბილურობის შენარჩუნებისა და ძალაუფლების რეალიზაციის პრაქტიკული უნარი. ამგვარად, იგი იყო არა უბრალოდ სამხედრო-პოლიციური ინსტიტუცია, არამედ სახელმწიფოს სუვერენიტეტის მატარებელი და განმახორციელებელი ძალა. თუმცა 1919 წლის ბოლოდან, გვარდია თანდათან გადაიქცა მმართველი პარტიის პოლიტიკური ბერკეტად. სოციალ-დემოკრატიული მთავრობა იყენებდა მას ძირითადად, როგორც ინსტრუმენტს ქვეყნის შიგნით ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსვლების წინააღმდეგ.


სახალხო გვარდიის დამლა

1921 წლის თებერვალ-მარტში, საბჭოთა ოკუპაციის პირობებში, სახალხო გვარდია გახდა საქართველოს რესპუბლიკის უკანასკნელი ორგანიზებული შეიარაღებული წინააღმდეგობის საყრდენი ჯერ კიდევ ბოლომდე ჩამოუყალიბებულ არმიასთან ერთად. ახლად ჩამოყალიბებული არმია და გვარდიელთა გაერთიანებუ-


ლი ძალები გმირულად იცავდნენ ტაბახმელას, კოჯორსა და თბილისის მისადგომებს, თუმცა ოკუპაციის მასშტაბურობამ მათი ძალისხმევა საბოლოო გატეხა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე, სახალხო გვარდია გაუქმდა. მიუხედავად ფორმალური ლიკვიდაციისა, მისი მემკვიდრეობა ინსტიტუციური მემსიერების სახით შემორჩა ქართულ პოლიტიკურ ცნობიერებას – როგორც მაგალითი იმისა, რომ შეიარაღებული სტრუქტურა შეიძლება ფუნქციონირებდეს ერთდროულად დემოკრატიულად და ეფექტიანად.

ქვემოთ წარმოდგენილია საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის რევოლუციური კომიტეტის დადგენილება და ბრძანება, რამაც ოფიციალურად დაუსვა წერტილი პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო გვარდიის არსებობას.



აცსა, ფონდი № რ-1, ანაწერი №1, საქ. №23, ფურც. 13/ა.



აცსა, ფონდი № რ-1, ანაწერი №1, საქ. №23, ფურც. 32/ბ.

სახალხო გვარდიის ინსტიტუციური მემკვიდრეობა და მისი გავლენა თანამედროვე ეროვნულ გვარდიაზე

როდესაც 1990 წელს, დამოუკიდებლობისაკენ სწრაფის პირობებში წარმოიშვა სამხედრო ძალის საჭიროება, ეროვნულმა მთავრობამ მიმართა სახალხო გვარდიის მოდელს. ფორმალურ-სამართლებრივი არქეტიპის არარსებობის პირობებში, საზოგადოებრივ მემსიერებაში მყოფი „ეროვნული გვარდია“ ასოცირდებოდა ორგანიზებული, ხალხზე დაფუძნებული და სახელმწიფოსადმი ერთგული სტრუქტურის მოდელთან.

„1990 წლის მარტში საქართველოს პარლამენტმა კონსტიტუცია შეცვალა კომინისტური პარტიის მონოპოლიის გაუქმების მიზნით და მრავალპარტიული არჩევნების ჩატარება დაამტკიცა. საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნები 1990 წლის 28 ოქტომბერს დანიშნა“ (ყარყარაშვილი გ., 2025: 79).

70 წლოვანი კომინისტური რეჟიმის შემდეგ, 1990 წლის 28 ოქტომბერს საქართველოში ჩატარებულმა არჩევნებმა ახალი რეალობა წარმოშვა. არჩევნებში კომუნისტები დამარცხდნენ და ხელისუფლებაში უმრავლესობით ეროვნული ძალები მოვიდნენ. თავის მხრივ ეროვნული ძალების უმრავლესობას კი „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო“ წარმოადგენდა. სესიის პირველსავე სხდომაზე უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ არჩეული იქნა ზვიად გამსახურდია. ქვეყანას ეწოდა „საქართველოს რესპუბლიკა“.

1990 წლის 20 დეკემბერს საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ – თენგიზ სიგუამ თავდაცვის სამთავრობო კომისიას გვარდიის ჩამოყალიბება დაავალა, რომელსაც თენგიზ კიტოვანი უხელმძღვანელებდა. კიტოვანს გვერდში დაუდგნენ მაშინდელი ეროვნული მოძრაობის აქტიური წევრები და რაიონებში თუ სოფლებში მყოფი გავლენიანი პირები. აღნიშნული გადაწყვეტილება მყისიერად განამტკიცა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ მიღებულმა კანონმა (№375) და საქართველოს მოქალაქეებს უკვე ეძლეოდათ საშუალება ემსახურათ არა საბჭოთა ჯარში, არამედ საქართველოს ეროვნულ გვარდიაში. მალე თბილისში (იმდროინდელი ლესელიძის სკოლის ეზოში) დაიწყო პირველი ბატალიონის ჩამოყალიბება, საბჭოთა არმიის თადარიგის კაპიტნის გელა ლანჩავას ხელმძღვანელობით. „თბილისში ეროვნული გვარდიის შექმნა დაჩქარებულად მიმდინარეობდა. მისი მთავარი ამოცანა ახალგაზრდა რესპუბლიკის სუვერენიტეტისა და ეროვნული ინტერესების დაცვა იყო...“ (ყარყარაშვილი გ., 2025: 103-116).

საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ დადგინდა, რომ: მსს-სთან უნდა შექმნილიყო შინაგანი ჯარების ეროვნული გვარდია, რომელსაც უხელმძღვანელებდა მთავარი სამმართველო. მთავარი სამმართველოს უფროსი იმავდროულად იქნებოდა მსს-ს მინისტრის პირველი მოადგილე. კანონის თანახმად, შინაგან ჯარებს, ეროვნულ გვარდიას მეთაურობდა სარდალი, რომელსაც ნიშნავდა უზენაესი საბჭო. გვარდიის პირველ სარდალად დაინიშნა თენგიზ კიტოვანი. „ეროვნული გვარდიის მთავარი სამმართველო აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ორ ბრიგადას აერთიანებდა...“ (ყარყარაშვილი გ., 2025: 116).

აქვე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ როგორც პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დროს, სამეთაურო რგოლი ინიშნებოდა არა ოფიცერთა განათლების და გამოცდილების გათვალისწინებით, არამედ მათი პოლიტიკური მრწამსისა და რომელიმე პოლიტიკურ ფიგურასთან დაახლოებული პირებისგან. მეთაურები ინიშნებოდნენ თენგიზ კიტოვანის გარემოცვიდან.

ჩვეულებისამებრ, გვარდიის მატერიალ-ტექნიკური საშუალებებით მომარაგება ხორციელდებოდა შსს-ს ფონდებიდან. თუმცა კიტოვანმა მალე დაიწყო გვარდიისათვის გარკვეული ფინანსური თუ მატერიალური რესურსების მოძიება დამოუკიდებლად, როგორც საბჭოთა სახელმწიფო საწარმოებიდან, ასევე კერძო პირებისგან. კიტოვანმა თანდათან შეძლო გვარდიის შსს-ს სამინისტროს მორჩილებიდან გამოსვლა. მალე გვარდია აშკარად დაუპირისპირდა შსს-ს სამინისტროს და ერთგვარად დამოუკიდებელი ორგანიზაციის სახე მიიღო. ამგვარი თვითნებობა საბოლოოდ იქცა საქართველოს პრეზიდენტს ზვიად გამსახურდიასა და თენგიზ კიტოვანს შორის აშკარა დაპირისპირების მიზეზად.

ეროვნული გვარდიის ჩამოყალიბებას განსაკუთრებული გაღიზიანება მოჰყვა მოსკოვის მხრიდან. მოსკოვმა დაუფარავად მოსთხოვა საქართველოს უზუნაესი საბჭოს თავმჯდომარეს მისი დაშლა და გაუქმება. თუმცა, საქართველოს ხელისუფლება, გამომდინარე იქედან რომ, მაშინდელი კონსტიტუცია უზუნაეს საბჭოს აძლევდა უფლებას შინაგანი ჯარის ყოლის, მოსკოვთან გამართლების მიზნით სწორედ ამ ფაქტს იშველიებდა, რომ ეროვნული გვარდია წარმოდგენდა შინაგანი ჯარის ნაწილს.

ერთის მხრივ, კიტოვანის ავტორიტეტის სწრაფი ზრდა, როგორც სამხედრო ძალის ფორმირების ხელმძღვანელის და თავდაცვის სამთავრობო კომისიის თავმჯდომარის, რაც ხელისუფლების გუნდში აშკარა უკმაყოფილებას იწვევდა, რომელიც მთავრობის შიგნით ხშირ დაპირისპირებაში გადადიოდა და მეორეს მხრივ, საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილება, ეროვნული გვარდიის შინაგან ჯარად გადაკეთების შესახებ, რომელიც მოსკოვის ზეწოლის მიზეზიც იყო, საბოლოოდ ხელისუფლების შტოებს შორის ქმნის სახიფათო დაპირისპირებულ გარემოს. ეს დაპირისპირება კი მალე საქართველოში სამოქალაქო ომის დაწყების ერთ-ერთ საბაბადაც იქცევა.

1990 წლის აპრილში ეროვნული გვარდიის მთავარი სამმართველოს უფროსის ბრძანებით, მე-4 სპეცდანიშნულების ბატალიონი შეიქმნა, რომელიც „დოსააფის“ ცალკე მდგომ შენობაში განთავსდა. რომლის მეთაური გია ყარყარაშვილი დაინიშნა (ყარყარაშვილი გ., 2025: 123).

1991 წლის აგვისტოს ბოლოსთვის უკვე ეროვნული გვარდიის პირველი საველე სწავლება დაიგეგმა, თუმცა ეროვნული გვარდიის სარდლის – თენგიზ კიტოვანისა და საქართველოს პრეზიდენტის – ზვიად გამსახურდიას შორის დაპირისპირებამ ყველაფერი შეცვალა. პრეზიდენტმა თენგიზ კიტოვანის თანამდებობის გაუქმება და ეროვნული გვარდიის სტატუსის შეცვლის გადაწყვეტილება მიიღო, რაც უკვე 19 აგვისტოსთვის სისრულეში მოვიდა (ყარყარაშვილი გ., 2025: 125).

საქართველოს პრეზიდენტმა ხელი მოაწერა ბრძანებაზე, რომლის საფუძველზეც ეროვნულ გვარდიას შსს-ს განსაკუთრებული დანიშნულების მილიციის

ქვედანაყოფის სტატუსი მიენიჭა. ამ ბრძანებით ასევე უქმდებოდა შინაგანი ჯარის-ეროვნული გვარდიის სარდლის თანამდებობაც. აღნიშნული გადაწყვეტილება უკავშირდება ე.წ. „გეკაჩეპე“-ს (ГКЧП (რუს) – სსსკ (საგანგებო სიტუაციების სახელმწიფო კომიტეტი) (საგანგებო სიტუაციების სახელმწიფო კომიტეტი) წევრების მიერ მოსკოვში საბჭოთა კავშირის აღდგენის შესახებ განცხადების გაკეთებას, რომლებმაც ასევე საქართველოს ეროვნული გვარდიის გაუქმებაც მოითხოვეს. თუმცა პრეზიდენტის გადაწყვეტილების ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი, ვფიქრობ, მაინც კიტოვანის უმაღლესი თანამდებობიდან ჩამოცილება იყო.

სწორედ ეს ბრძანებულება გახდა გვარდიელების ორად გახლეჩის მიზეზი. ეროვნული გვარდიის მე-4 სპეცდანიშნულების ბატალიონის მეთაური – გია ყარყარაშვილი პროტესტის ნიშნად ტოვებს თანამდებობას და 70-მდე ერთგულ გვარდიელთან ერთად რკონის ხეობაში-ტყეში გაიხიზნება. იგი დამაჯერებლად ამბობს, რომ: „... რუსეთთან და „გეკაჩეპესთან“ მოქნილი პოლოტიკის გამტარებელი ხელისუფლება საკუთარ ხალხთან ხისტი, შეუვალი და უკომპრომისო აღმოჩნდა“ (ყარყარაშვილი გ., 2025: 127).

რკონში გახიზნულ გვარდიელებს თანადგომას უცხადებას თენგიზ კიტოვანი. უფრო მეტიც, ყარყარაშვილმა და მისმა ერთგულმა გუნდის წევრებმა კიტოვანის დახმარებით იარაღი და საბრძოლო მასალაც თან გაიყოლეს. ამ ფაქტს გია ყარყარაშვილი თავადაც ადასტურებს რომ: „... ყველაფერი საკმარისზე მეტი მომცა: ტყვია-წამალი, საკვები, ტანსაცმელი, ტრანსპორტიც და საწვავიც...“ (ყარყარაშვილი გ., 2025: 127) კიტოვანი 20 და 21 აგვისტოს თავადაც ადის რკონის ხეობაში და მონახულებს გახიზნულებს (ყარყარაშვილი გ., 2025: 130).

ფაქტობრივად, აღნიშნული ქმედებებით იწყება პრეზიდენტისა და მთავრობისადმი დაუმორჩილებლობა და საფუძველი ეყრება ოპოზიციური ძალების მიერ სამხედრო გაერთიანების ჩამოყალიბებას. თუ ეროვნული მოძრაობის საწყის ეტაპზე სხვადასხვა პოლიტიკოსების, პოლიტიკური გაერთიანებების თუ არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ჩამოყალიბებული არაფორმალური სამხედრო გაერთიანებების ქმედებები მართლდებოდა იმით, რომ ქვეყანას სჭირდებოდა სამოქალაქო წესრიგის დაცვა და სამომავლოდ ეროვნული არმიის ჩამოყალიბებისათვის წინაპირობის შექმნა, ამ უკანსაკნელი ქმედების დროს ვერანაირი მსგავსი გამართლება ვერ მოიძებნება. თავად ყარყარაშვილი „გვარდიის აღდგენის მიზნით მშვიდობიან პროტესტს“ (ყარყარაშვილი გ., 2025: 133). უწოდებს თავის ქმედებას. მაგრამ აღნიშნული ფაქტი შეიძლება დავაკვალიფიციროთ, როგორც ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლებისადმი აშკარა დაუმორჩილებლობად, უკანონო სამხედრო ფორმირების ჩამოყალიბებად და სამხედრო გადატრიალების სამზადისად, რომელსაც ფაქტობრივად სათავეში ედგა პოლიტიზირებული ყოფილი სარდალი თენგიზ კიტოვანი.

გაუქმებული თანამდებობის მიუხედავად, თენგიზ კიტოვანი იტოვებს კვლავაც თავის უფლებებს, როგორც ეროვნული გვარდიის სარდალი და 22 აგვისტოდან ქვეყნის მასშტაბით ეროვნული გვარდიის დანაყოფების მობილიზებას და რკონის ხეობაში სავლელ სწავლების მიზნით გადაადგილებას აცხადებს. რკონში გამოცხადდება ზუგდიდის გვარდიის დანაყოფის ხელმძღვანელი ლოთი ქობალიაც, ხოლო პირად შემადგენლობას იგოეთთან ტოვებს, რადგანაც აღნიშნული დანაყოფი პრეზიდენტის მოთხოვნით თბილისისკენ გადაადგილდებოდა. ლოთი ქობალიასთვის საუბრისას ხდება ცნობილი, რომ გვარდიის დანაყოფები, რომლებიც რკონში იყრიდნენ თავს, ფაქტობრივად, პრეზიდენტის წინააღმდეგ ე.წ. ოპოზიციური ძალების მხარდამჭერ სამხედრო გაერთიანებას წარმოადგენდა. თავად ქობალია კი პრეზიდენტის ერთგული დარჩა და მისი მოთხოვნით თბილისში ჩავიდა (ყარყარაშვილი გ., 2025: 131).

სურათი ნათელი იყო, როგორც რკონში დაბანაკებული, ისე თბილისში მიმავალ გვარდიელთა ხელმძღვანელობისთვის. ეროვნული გვარდია ორად გაიყო. ერთ მხარეს წარმოადგენდნენ პრეზიდენტის და მოქმედი მთავრობის მხარდამჭერები, ხოლო მეორე მხარეს, პრეზიდენტის მიერ გათავისუფლებული ეროვნული გვარდიის სარდლის (ფაქტობრივად, ქვეყანაში არსებული ოპოზიციური მხარე) მომხრეები, რომლებიც განაწყენებული იყვნენ პრეზიდენტის მიერ ეროვნული გვარდიის გაუქმებით, რასაც ერთვოდა კიტოვანის მიერ არათუ წაქეზება, არამედ აშკარად მხარდაჭერა და უშუალო ხელმძღვანელობაც. თუმცა, გახიზნული გვარდიელების დისლოკაციის ადგილზე დაბრუნება მალევე შესაძლებელი გახდა მთავრობის წარმომადგენლებსა და კიტოვანს შორის გამართული მოლაპარაკებების შედეგად.

მალე ქვეყანა მასობრივი პროტესტის ქარცეცხლში გაეხვევა. ერთის მხრივ, რუსეთის მიერ მართული ძალები და მეორეს მხრივ, ოპოზიციურად განწყობილი პოლიტიკური წრეები აშკარად უპირისპირდებიან ზვიად გამსახურდიას და მის მთავრობას. როგორც ყარყარაშვილი ამბობს: „*ეროვნული ხელისუფლების გადადგმული ნაბიჯები და გაურკვეველი საშინაო და საეჭვო საგარეო პოლიტიკა საზოგადოებისთვის მიუღებელი გახდა*“ (ყარყარაშვილი გ., 2025: 136). უკვე, ღიად და აშკარად გამოდის ხელისუფლებისგან განდგომილი ეროვნული გვარდიის ყოფილი სარდალი ოპოზიციური ლიდერების და ჯგუფების მომხრედ. კიტოვანმა საკუთარი თავი და თავისი მომხრე გვარდიელები სტაბილურობის შენარჩუნების ერთადერთ გარანტიად გამოაცხადა. 22 სექტემბერს კიტოვანი მიიღებს გადაწყვეტილებას შავნაბადაზე დაბანაკებული გვარდიელები თბილისში გადაიყვანოს და ტელევიზიის მიმდებარედ განალაგებს (ყარყარაშვილი გ., 2025: 140). თუმცა ამ ეტაპზეც მოლაპარაკება-შეთანხმების შედეგად, რაც გვარდიის კვლავ თავდაპირველი სტატუსის

აღდგენა იყო, გვარდია თბილისის ცენტრიდან გავა და „თბილისის ზღვასთან“ დაბანაკდება.

4 ოქტომბერს, ოპოზიციის მხრიდან შეთანხმების პირობის შესრულებით (პირობის თანახმად გვარდია უნდა დაბრუნებოდა დისლოკაციის ადგილს და ჩაებარებინა იარაღი, რის შემდეგაც ხელისუფლება დაუბრუნებდა თავდაპირველ სტატუსს) გაგულიანებული ხელისუფლების გადაწყვეტილებით შსს-ს სპეცდანიშნულების რაზმებმა და პრეზიდენტის მომხრე გვარდიის დანაყოფებმა თბილისის ზღვაზე განლაგებულ ამბოხებული გვარდიელების ბაზას ალყა შემოარტყა. ორსაათიანი ბრძოლის შემდეგ პოლიტიკური წრეების ერთი ნაწილის ჩარევით სროლა შეწყდა. სამთავრობო ძალები უკან დაიხვეწენ და მე-8 საავადმყოფოსთან განლაგებული საგუშაგოებს მოაწყობენ. „...ორივე მხრიდან იყო სამი გარდაცვლილი და რამდენიმე დაჭრილი...“ (ყარყარაშვილი გ., 2025: 140).

1991 წლის 22 დეკემბერს რუსთაველზე მიმდინარე დაპირისპირებამ კულმინაციურ წერტილს მიაღწია. უცნობი პირის მიერ პირველი გასროლა განხორციელდა და ამით ფაქტობრივად დაიწყო სამოქალაქო ომი. მალე ამბოხებულები ახერხებენ „მხედრიონელთა“ ლიდერის – ჯაბა იოსელიანის გამოსხნას ე.წ. „კაგებეს“ (КГБ-რუს.), სუკ-ი (სახელმწიფო უსაფრთხოების კომიტეტი) იზოლაციორიიდან, რაც აშკარად აძლიერებს ამბოხებულებს. იოსელიანის „მხედრიონი“ სრულად ამბოხებულების მხარეს დადგება. ამბოხებულთა რიგებში იყვნენ ეროვნული გვარდიის რაზმებიც.

6 იანვარს, საქართველოს პრეზიდენტი თანამოაზრეებთან ერთად თბილისს ტოვებს. პრეზიდენტის დედაქალაქიდან უსაფრთხო გასვლის გადაწყვეტილება თავად ამბოხებულებმა შეთავაზეს და კიდევ უზრუნველყეს. ამით დასრულდა ხალხის მიერ არჩეული მთავრობის მმართველობა. დედაქალაქში მიმდინარე ბრძოლებს საქართველოს მოქალაქეების დაღუპვა და დასახიჩრება, როგორც ამბოხებულების, ისე ხელისუფლების მხრიდან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ანალიზის გაკეთება გვარდიის როლის შესახებ შეიარაღებული დაპირისპირების დაწყებასა თუ უშუალოდ მიმდინარეობაში. სხვადასხვა მკვლევარის განსხვავებული მოსაზრებებისა, თუ რა ააცილებდა საქართველოს სამოქალაქო ომს ან რამ შეასრულა გამამწყვეტი როლი ამბოხებულების მიერ სახელმწიფო გადატრიალებაში, ამ კუთხით ყურადსაღებია სწორედ გვარდიის ჩართულობის კონტექსტების განხილვა.

მაშინ, როდესაც ქვეყანას უკვე გააჩნდა ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლება და პრეზიდენტი, ამ დროს ნებისმიერი შეიარაღებული გამოსვლა ხელისუფლების წინააღმდეგ კვალიფიცირდება ამბოხად და სახელმწიფო გადატრიალების მცდელობად. ძნელია იმის განჭვრეტა თუ როგორ განვითარდებოდა მოვლენები, თუ რომელიმე მხარეს (ამბოხებულები და ხელისუფლება) ეყოლებოდა განსხვავე-

ბული რაოდენობის სამხედრო ძალა, ვიდრე იმდროისათვის გააჩნდათ. თუმცა დამაჯერებლად შეიძლება ითქვას, რომ თუ ოპოზიციის მხრიდან არ იქნებოდა ამბოხებული სამხედროების წაქეზება და მხარდაჭერა; მათი შეიარაღებითა და საბრძოლო მასალით მომარაგება; რადიკალური ქმედებების განხორციელება, რაც ამკარად ნათელს ხდიდა, რომ შეიარაღებული დაპირისპირება გარდაუალი ხდებოდა; რომ არა ხელისუფლების მიერ ხისტი და უკომპრომისო გადაწყვეტილებების მიღება და არანაკლებ წინასწარ განჭვეტას მოკლებული ქმედებები-საქართველო მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში არსებული პროცესები იყო მართული რუსეთის მხრიდან, სამოქალაქო ომს თავიდან აიცილებდა.

შეიარაღებული დაპირისპირების დაწყების ერთ-ერთი წინაპირობა იყო სწორედ გვარდიის ნაწილის განდგომა და ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსვლა. აღნიშნული გადაწყვეტილება მათი მხრიდან აიხსნებოდა იმით, რომ არ სურდათ შსს-ს შემადგენლობაში მსგავსი ფორმით სამსახური და ითხოვდნენ გვარდიის სტატუსის შენარჩუნებას, რაც ყოვლად გაუმართლებელი მოთხოვნა იყო. რამდენადაც სიმართლე არ უნდა ყოფილიყო ქვეყანაში მინდინარე პროცესების გარე ძალებისგან მართვა, რაოდენ ზეწოლის შედეგადაც არ უნდა მიეღო გვარდიის გაუქმების განწყვეტილება ხელისუფლებას, გვარდიის ნაწილის განდგომა ყოვლად გაუმართლებელი ქმედება იყო. ფაქტობრივად, გვარდია იქცა ოპოზიციის უმთავრეს საყრდენად, რამაც საშუალება მისცა მის ლიდერებს ეფიქრათ ხელისუფლების ძალისმიერი მეთოდით დამხობაზე.

აქვე იბადება კითხვა, როგორ განვითარდებოდა მოვლენები გვარდიის სრულად ოპოზიციურ მხარეს გადასვლის შემთხვევაში? მსგავსი სიტუაცია ბუნებრივია დაასუსტებდა ხელისუფლებას და უფრო მეტად დააფიქრებდა მოსალოდნელი საფრთხის შესახებ. ასეთ შემთხვევაში, შესაძლოა, ხელისუფლება მართლა წასულიყო დათმობაზე და კვლავ აღედგინა გვარდია, რაც დაამოშმინებდა მას და აღარ იქნებოდა საფუძველი მათი მხრიდან ამბოხის მოწყობისა. თუმცა ეს ვერ განდებოდა მიმდინარე პროცესების და დაძაბულობის დასტაბილურობის სრული გარანტი. გვარდიის გაუქმება, მიუხედავად იმისა, რომ უკავშირდება ე.წ. „გეკაჩეპესთან“ მოთხოვნას, ვფიქრობ იგი ასევე მიზანმიმართული იყო თენგიზ კიტოვანის პოლიტიკური პროცესებიდან ჩამოცილებისაკენ. როგორც ზემოთ აღინიშნა, თენგიზ კიტოვანმა გვარდიის სათავეში ყოფნით განიმტკიცა პოზიციები და „აღზევებული“ ძნელად დასამორჩილებელი გახდა ხელისუფლების მიერ. შესაბამისად, გვარდიის აღრინდელი სტატუსის აღდგენით პრეზიდენტს მოუწევდა კიტოვანის პოზიციების შენარჩუნებაც, რაც ადრე თუ გვიან ხელისუფლებისა და ოპოზიციის დამოკიდებულებას კომფროტაციაში გადაზრდიდა მაინც.

ამდენად, გვარდიის ორ ბანაკად გახლეჩვით, ფაქტობრივად, საქართველოში სამოქალაქო ომის გაჩაღების საფუძველი შეიქმნა. მაშინ, როდესაც ქვეყანას გა-

აჩნდა ხალხის მიერ არჩეული დემოკრატიული ხელისუფლება, სწორედ გვარდიელების ამბოხით, ხელშეწყობით და უშუალო ჩართულობით შესაძლებელი გახდა დემოკრატიული ხელისუფლების ძალისმიერი მეთოდით დამხობა და სისხლისღვრა, რომელიც „ძმათა შორის სისხლისღვრითა“ წოდებული. თუ საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის სამწლიან პერიოდში სახალხო გვარდია იქცა უმთავრეს ძალად და ბერკეტად, რომ ხელისუფლებას შეენარჩუნებინა ძალაუფლება, 90-იან წლებში მოვლენები პირიქით განვითარდა. პრეზიდენტის და ხელისუფლების მიერ ჩამოყალიბებულმა ეროვნული გვარდიის დიდმა ნაწილმა განუდგა მას და დამხობის შემოქმედად იქცა.

მალე, იანვარის თვეში ახალი ხელისუფლება მისდამი დაქვემდებარებულ გვარდიის ნაწილებს სხვა სამხედრო დაჯგუფებებთან ერთად დასავლეთ საქართველოში აგზავნის. ამის მიზეზი იყო ის, რომ აფხაზეთი საქართველოს ახალი ხელისუფლებისადმი აშკარად დაუმორჩილებლობას აცხადებდა.

აფხაზეთში შესვლის ოფიციალური მიზეზი იყო იქ შეუფერხებელი სარკინიგზო მიმოსვლისთვის ხელშეწყობა, ადგილობრივ ქართულ მოსახლეობასთან შეხვედრები და დროებითი მთავრობის მიზნების გაცნობა, ავტონომიურ რესპუბლიკაში დესტრუქციული ძალების გამოვლენა და ყოფილი ხელისუფლების მომხრეების პირადი საქმეების შესწავლა, რომელიც აფხაზეთის უშიშროების სამსახურის და შსს-ს არქივებში ინახებოდა (ყარყარაშვილი გ., 2025: 200). ეროვნული გვარდია უბრძოლველად შევიდა აფხაზეთის არ-ს ტერიტორიაზე, თუმცა მალევე პოლიტიკური გადაწყვეტილების საფუძველზე უკან გამოვიდა.

ეროვნული გვარდია ამ პერიოდისათვის წარმოადგენდა ერთგვარად უღისციპლინო და სუსტად მომზადებულ საბრძოლო შენაერთს, რასაც ადასტურებს თვითონ გვარდიის ერთ-ერთი ხელმძღვანელი გია ყარყარაშვილიც, შემდგომში, სარდალიც; იგი ამბობს, რომ მიუხედავად მცირე ხნით მშვიდობიანობის პერიოდისა, ვერც იმ პერიოდში ვერ მოხერხდა გვარდიელებთან სამხედრო სწავლებების ჩატარება (ყარყარაშვილი გ., 2025: 232). ფაქტობრივად, ქვეყანაში ახალი დაძაბულობის მიზეზით სახელდახელოდ იკრიბებოდნენ ბატალიონები და მათში გაწევრიანებული მოხალისეები ძირითადად იყვნენ გამოუცდელები. მართალია, მათ რიგებში ირიცხებოდა უკვე გამოცდილი, ბრძოლაგამომვლილი წევრებიც, მაგრამ ეს არ იყო საკმარისი გვარდიის დანაყოფებში სამხედრო დისციპლინის განმტკიცებისა და მათი ბრძოლისუნარიანობისთვის.

1992 წლის 10 აგვისტოს, საქართველოს ახალი მთავრობის მინისტრთა საბჭო კვლავ იღებს გადაწყვეტილებას, ეროვნული გვარდიის და სხვა სამხედრო შენაერთების აფხაზეთში შეყვანის თაობაზე. ოფიციალური მიზეზი კვლავ რკინიგზის დაცვა იყო აფხაზეთის ტერიტორიაზე. დაცვის გამომწვევი მიზეზი კი აღნიშნულ მონაკვეთზე რკინიგზაზე გახშირებული თავდასხმები სახელდება. გვარდია სე-

ნაკში მიიღებს ასამდე საბრძოლო ქვემეხს და ჯავშანტექნიკას, რომელიც ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდლობისგან, კერძოდ, ახალციხეში განთავსებული მე-10 რუსული დივიზიისგან გადაეცა ქართულ მხარეს. აღნიშნულის შესახებ მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის გია ყარყარაშვილი თავის წიგნში. ყარყარაშვილი სწორედ იმ დივიზიაში მსახურობდა რამოდენიმე წლის წინ. იგი იყო ტანკისტი და კარგად იცოდა იმ დივიზიის ჯავშან-სატანკო და საარტილერიო დანადგარების საბრძოლო მდგომარეობა. ამიტომაც აღშფოთებას ვერ მაღავეს იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ რუსული მხარე ვითომ გამართულ მდგომარეობაში არსებულ სამხედრო ტექნიკას აწვდის საქართველოს, მაშინ როცა აღნიშნული ტექნიკა „ახალციხეში მსახურებისას კონსერვაციაზე თვითონ დავაყენე“-ეო აცხადებს ის (ყარყარაშვილი გ., 2025: 270).

ეროვნული გვარდია, რომლის ხელმძღვანელობამ ვერ გაამართლა ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტის, მთავრობის იმედები, საბოლოოდ იქცა მისი დამხობის საფუძვლად. თუმცა, მიუხედავად ისტორიული შეცდომისა, მაინც ერთ-ერთ მნიშვნელოვან ძალად რჩება შიდა ქართლის მთიანეთში სეპარატისტული მოძრაობის წინააღმდეგ თუ აფხაზეთში წარმოებულ სამშობლოს ერთიანობისთვის წარმოებულ ბრძოლებში.

სამართლებრივი და ინსტიტუციური პარალელები

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად ისტორიული და გეოპოლიტიკური კონტექსტის რადიკალური განსხვავებისა, სახალხო გვარდიასა და ეროვნულ გვარდიას შორის მსგავსება

ნათელია შემდეგ კომპონენტებში:

- ✓ ორივე გვარდია შექმნილია სახელმწიფოს და მისი ინსტიტუციური იდენტობის დასაცავად გარდამავალი რეჟიმის პირობებში;
- ✓ ორივეს გააჩნდა პარამილიტარისტული ბუნება, სადაც ნეიტრალურ პროფესიონალიზმს პარტიული ელემენტი ანაცვლებდა;
- ✓ ორივე სტრუქტურამ მიიღო მონაწილეობა ქვეყნის შიდა და გარე კონფლიქტებში, რაც მათი გაძლიერებისა და იმავდროულად – დესტაბილიზაციის მიზეზიც გახდა.

საქართველოს ეროვნული გვარდიის ჩამოყალიბების პროცესი 1990 წელს არ წარმოადგენდა სპონტანურ ან ნულიდან შექმნილ ინსტიტუციურ აქტს. მისი საფუძველი არა მხოლოდ სამხედრო საჭიროება იყო, არამედ ისტორიულად ჩამოყალიბებული პოლიტიკური მეხსიერება და ინსტიტუციური პარადიგმა, რომელიც ერთმნიშვნელოვნად უკავშირდებოდა 1918–1921 წლების სახალხო გვარდიის გამოცდილებას.

საბჭოთა პერიოდში ლიკვიდირებული ეროვნული სტრუქტურების აღდგენა უშუალოდ ეფუძნებოდა კოლექტიურ მენსიერებას, რომლის სიმბოლური და ორგანიზაციული ცენტრიც სწორედ სახალხო გვარდია იყო. ეს არ ყოფილა უბრალო ისტორიული რომანტიზმი – ეს იყო ფუნდამენტური სახელმწიფოებრივი გააზრება, რომ თავდაცვითი სტრუქტურა უნდა ემყარებოდეს იმ მოდელს, რომელიც ქართულმა რესპუბლიკამ უკვე ერთხელ გამოიყენა სახელმწიფოებრიობის დასაცავად.

შედარებით ანალიზში შეიძლება გამოვყოთ ქვემოთ მოყვანილი ძირითადი სიმეტრიული პრინციპები:

- ✓ **სახელწოდება:** სახალხო გვარდია (1918–1921) – ეროვნული გვარდია (1990);
- ✓ **სამართლებრივი დაქვემდებარება:** ეროვნული საბჭო / პარლამენტი – უზენაესი საბჭო;
- ✓ **პარტიული მხარდაჭერა:** სოციალ-დემოკრატიული პარტია-მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო;
- ✓ **შექმნის მოტივი:** არმიის არარსებობა, ომების მოლოდინი – საბჭოთა არმიის იურიდიული გაუქმება და სეპარატიზმი;
- ✓ **მობილიზაციის მოდელი:** მაზრობრივი რაზმები – რეგიონული ბატალიონები;
- ✓ **ხელმძღვანელობა:** ვალიკო ჯუღელი (პოლიტიკოსი) – თენგიზ კიტოვანი (პოლიტიზებული სამხედრო).

ორივე სტრუქტურა შეიქმნა არა კანონიერი არმიის ალტერნატივად, არამედ სწორედ არმიის არარსებობის პირობებში მისი დროებითი შემცვლელი. იმ განსხვავებით, რომ ეროვნული გვარდიის სამართლებრივი დაფუძნება საპარლამენტო პლატფორმაზე მოხდა 1990 წლის 20 დეკემბერს, მაშინ როცა სახალხო გვარდია ჯერ ფაქტობრივად მოქმედებდა და შემდეგ დაკანონდა. 1918 წლიდან სოციალ-დემოკრატიულმა პარტია სახალხო გვარდიას იყენებდა როგორც შიდა ოპოზიციის – კერძოდ, ბოლშევიკების და სეპარატისტული ჯგუფების წინააღმდეგ. მათთვის ეს იყო რესპუბლიკის დაცვა რევოლუციური ექსპანსიისგან.

1990 წელს უზენაესი საბჭოს და ზვიად გამსახურდიას პოლიტიკური ჯგუფის პირობებში, ეროვნული გვარდია იქცა სწორედ იმ ინსტრუმენტად, რომელიც ერთდროულად ასრულებდა როგორც ძალოვან, ასევე რეჟიმის სტაბილიზაციის ფუნქციას. 1991 წლის მარტში გამართულ გამოსვლებზე კიტოვანის დაქვემდებარებული გვარდიის ქვედანაყოფები პირდაპირ მონაწილეობდნენ სამოქალაქო დემონსტრაციებზე ზეწოლაში, რასაც პოლიტიკური ოპონენტები განიხილავდნენ იგივენაირად, როგორც 1919 წელს განიხილავდნენ ვალიკო ჯუღელის ოპერაციებს ბოლშევიკების წინააღმდეგ.

ორივე გვარდია – 1918-ის და 1990-ის, ერთდროულად იყო რესპუბლიკური იდენტობის დამცველი და მმართველი ძალის ინსტრუმენტი. ეს დუალიზმი არ წარმოადგენდა ხარვეზს იმ ეპოქებში: პირიქით, ის იყო ისტორიულად განპირობებული სახელმწიფოს გადარჩენის პირობა.

1918 წელს სახალხო გვარდია დაყოფილი იყო მაზრების მიხედვით. ყოველ მაზრაში გვარდიის უფროსი ექვემდებარებოდა ცენტრალურ შტაბს. 1990 წელს შეიქმნა ეროვნული გვარდიის ზონალური შტაბები:

- ✓ დასავლეთი საქართველო – ზუგდიდი, სენაკი, ქუთაისი;
- ✓ აღმოსავლეთი – გორი, თელავი, რუსთავი.

ორივე შემთხვევაში გვარდიის მოდელი იყო ცენტრალიზებულ-დეცენტრალიზებული, რაც უზრუნველყოფდა მყისიერ მობილიზაციას ლოკალურ არეალებში და ამავდროულად ექვემდებარებოდა ერთიან ხელმძღვანელობას. სამხედრო თვალსაზრისით, 1990 წლის გვარდია ასევე იყენებდა მონალისეობრივ მობილიზაციას, რაც სახალხო გვარდიის მოდელს წარმოადგენდა. ასევე მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ხელისუფლებამ 1990 წელს აირჩია არა ტერმინები, როგორცაა „სახელმწიფო თავდაცვის კორპუსი“ ან „თავდაცვის სახალხო ჯარი“ თუ სხვა, არამედ – „ეროვნული გვარდია“.

დასკვნა – ამრიგად, წითელი და განსაკუთრებით – სახალხო გვარდია ასრულებდნენ არა მხოლოდ ისტორიულ როლს, არამედ ქმნიდნენ წინასიტყვაობას ეროვნული გვარდიის ინსტიტუციური ევოლუციისთვის. ისინი არიან არა მხოლოდ წინამორბედები, არამედ სამოქალაქო-მილიტარისტული ორგანიზების მოდელური ტრადიციის მატარებლები, რამაც დამოუკიდებელი საქართველოს სამხედრო აზროვნება და სახელმწიფოებრივი განვითარება განაპირობა.

„ეროვნული გვარდია“ სახელწოდების ეს არჩევანი შემთხვევითი არ იყო: იგი მიზნად ისახავდა საზოგადოებრივ ცნობიერებაში მყარად არსებულ ისტორიულ არქეტიპზე დაფუძნებას. ისტორიული კონტინუუმის სიმბოლურად აღდგენა და ზუსტად იმ ტერმინის რეინტეგრაცია, რომელსაც საბჭოთა ეპოქა მიზანმიმართულად შავ ლაქად მოიხსენიებდა, პოლიტიკური პროგრამის ნაწილი გახდა.

სახალხო გვარდია 1918–1921 წლებში გახდა მოდელი, რომლის პირდაპირმა ინსტიტუციურმა მემკვიდრეობამ განაპირობა 1990-იან წლებში შექმნილი ეროვნული გვარდიის სტრუქტურა. მისი გავლენა ვლინდება არა მხოლოდ ორგანიზაციულად და სამართლებრივად, არამედ ცნობიერებრივადაც – როგორც მოდელი, რომელიც საჭიროების მომენტში საზოგადოებამ აღიარა არა როგორც ინოვაცია, არამედ როგორც დაბრუნებული ისტორიული ნორმა.

ამგვარი წარსულით, მრავალი სამშატო სტრუქტურული რეორგანიზაციის განხორციელების შემდეგ, თნამედროვე ეროვნული გვარდია წარმოადგენს საქართველოს მოსახლეობაში პატრიოტული სულიკვეთების გაღვივების, ბრძოლისუნა-

რიანობის განმტკიცების-გაძლიერების აუცილებლობაზე ცნობიერების ამაღლების და სამოქალაქო – სამხედრო თავდაცვას შორის დამაკავშირებელ ქვაკუთხედს.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

საარქივო წყაროები:

აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი № რ-1, ანაწერი №1, საქ. №23, ფურც. 13/ა. ფურც. 32/ბ.

ლიტერატურა:

კვინიტაძე 2014: კვინიტაძე გიორგი, *ჩემი მოგონებები (1917-1921 წ.წ.), ნაწ. II*, თბილისი, 2014.

მაზნიაშვილი 1927: მაზნიაშვილი გიორგი, *მოგონებები 1917-1925*, „სახელმწიფო გამომცემლობა“, ტიფლისი, 1927.

სილაქაძე 2011: სილაქაძე დიმიტრი, „საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო გვარდიის საორგანიზაციო-სამტატო სტრუქტურისა და რიცხოვნობის საკითხისათვის“-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის შრომები, III თბილისი, 2011

საქართველოს 1990: დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული, თბილისი, 1990;

ყარყარაშვილი 2025: ყარყარაშვილი გია, *სამშობლოს ამარა (1989-1992)*, შპს „ფავორიტი სტილი“, თბილისი 2025.

ჯუღელი 2022: ჯუღელი ვალიკო, *მძიმე ჯვარი (სახალხო გვარდიელის ჩანაწერები)*, გამომცემლობა „ზიარი“, თბილისი, 2022.

References

Archival sources:

Central State Archives Of Ajara, fund R-1, description 1, case. 23, paper 13/a. 32/b.

Literature:

Kvinitadze 2014: Kvinitadze George, *My Memories (1917-1921)*, Vol. II, Tbilisi, 2014.

Mazniashvili 1927: Mazniashvili George, *Memories 1917-1925*, “State Publishing House”, Tiflis, 1927.

Silakadze 2011: Silakadze Dimitri, “On the issue of the organizational-staff structure and number of the People’s Guard of the First Democratic Republic of Georgia” – Proceedings of the History of Georgia of Ivane Javakhishvili Tbilisi State University, III Tbilisi, 2011.

Collection 1990: collection of Legal Acts of the Democratic Republic of Georgia, Tbilisi, 1990;

Karkarashvili 2025: Karkarashvili Gia, The Treasure of the Fatherland (1989-1992), LLC “Favorite Style”, Tbilisi 2025.

Jugeli 2022: Jugeli Valiko, Heavy Cross (Records of a People’s Guard), Publishing House “Ziari”, Tbilisi, 2022.

ბათუმის ნავსადგურის საქმეთა წარმომადგენლობა საარქივო დოკუმენტებში
(1896-1913 წლები)

REPRESENTATION OF THE AFFAIRS OF THE PORT OF BATUMI IN ARCHIVAL DOCUMENTS
(1896-1913)

ნინო გოგიტიძე

მზია სურმანიძე

აჭარის საარქივო სამმართველო
ბათუმი, საქართველო

NNINO GOGITIDZE

MZIA SURMANIDZE

Archives Administration of Ajara
Batumi, Georgia

Abstract. Batumi Seaport is a high-tech port equipped with modern container and ferry equipment. It is one of the oldest ports on the Black Sea coast, dating back to the Roman Empire, during the reign of Hadrian III. The location in a natural deep-water bay, the ability to receive large-tonnage ships and enter the port without a canal (which exempts the shipowner from additional fees), protection from the coast, and other factors gave the port of Batumi a geostrategic and natural advantage over other ports. The development of Batumi as a port city was largely determined by the need to transport oil from Baku. Until the 1980s, small light vessels entered the port of Batumi. After the conquest of Batumi by the Russian Empire (1878), the city developed. The infrastructure of the city and the port gradually improved. The construction and commissioning of the Baku-Batumi pipeline, one of the first in the world at that time, further accelerated the development of the port. The Batumi Port Affairs Office carried out important activities for the development of the port. The “Batumi Port Affairs Office” fund (fund I-17) of the Central State Archive of the Archives Administration of Ajara preserves many interesting documents about the activities of this structure for the development of the port. The aim of the article is to provide the reader with information about the activities of the Batumi Port Affairs Representation in 1896-1913 by introducing new archival documents into scientific circulation. The analysis of archival documents will allow us to take into account both the economic and social aspects of the activities of the Port Affairs Representation.

Keywords: *Batumi, port, representation, pipeline.*

აბსტრაქტი. ბათუმის საზღვაო ნავსადგური წარმოადგენს მაღალტექნოლოგიურ ნავსაყუდელს, პორტს, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე საკონტეინერო თუ საბორნე აღჭურვილობით. იგი ერთ-ერთი უძველესი პორტია შავიზღვისპირეთში, რომლის საწყისები უკავშირდება რომის იმპერიის პერიოდს, აღრიანე მესამის მმართველობის ხანას. ბუნებრივ ღრმაწყლიან უბეში მდებარეობა, დიდტონაჟიანი გემების მიღების და არხის გარეშე პორტში შესვლის შესაძლებლობა (რაც ათავის-უფლებს გემფლობელს დამატებითი გადასახადისაგან), სანაპიროდან დაცულობა და სხვა ფაქტორები ბათუმის პორტს სხვა პორტებთან შედარებით ანიჭებდა გეოსტრატეგიულ და ბუნებრივ უპირატესობას. ბათუმის საპორტო ქალაქად ქცევა ბევრად განსაზღვრა ბაქოს ნავთობის ტრანსპორტირების აუცილებლობამ. XIX საუკუნის 80-იან წლებამდე ბათუმის პორტში შედიოდა მცირე წყალწყვის გემები. რუსეთის იმპერიის მიერ ბათუმის დაპყრობის შემდეგ (1878 წ.) ქალაქი განვითარდა. ეტაპობრივად უმჯობესდებოდა ქალაქისა და ნავსადგურის ინფრასტრუქტურა. იმჟამინდელ მსოფლიოში ბაქო-ბათუმის, როგორც ერთ-ერთი პირველი მილსადენის მშენებლობამ და ამოქმედებამ კიდევ უფრო დააჩქარა პორტის განვითარება. პორტის განვითარებისათვის მნიშვნელოვან ღონისძიებებს ატარებდა ბათუმის ნავსადგურის საქმეთა წარმომადგენლობა. აჭარის საარქივო სამმართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივის „ბათუმის ნავსადგურის საქმეთა წარმომადგენლობის“ ფონდში (ფონდი ი-17) დაცულია მრავალმხრივ საყურადღებო დოკუმენტები ნავსადგურის განვითარებისათვის ამ სტრუქტურის საქმიანობის შესახებ. **სტატიის მიზანია**, ახალი საარქივო დოკუმენტების სამეცნიერო ბრუნვაში შემოტანით, მკითხველს მიაწოდოს ინფორმაცია ბათუმის ნავსადგურის საქმეთა წარმომადგენლობის საქმიანობის შესახებ 1896-1913 წლებში. საარქივო დოკუმენტების ანალიზი საშუალებას მოგვცემს გავითვალისწინოთ ნავსადგურის საქმეთა წარმომადგენლობის საქმიანობის როგორც ეკონომიკური, ასევე სოციალური ასპექტები.

საკვანძო სიტყვები: ბათუმი, ნავსადგური, პორტი, წარმომადგენლობა, მილსადენი.

შესავალი

ბათუმის საზღვაო ნავსადგური წარმოადგენს მაღალტექნოლოგიურ ნავსაყუდელს, პორტს, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე საკონტეინერო თუ საბორნე აღჭურვილობით. იგი ერთ-ერთი უძველესი პორტია შავიზღვისპირეთში. მისი საწყისები უკავშირდება რომის იმპერიის პერიოდს, თუმცა ბათუმის საპორტო ქალაქად ქცევა ბევრად განსაზღვრა ბაქოს ნავთობის ტრანსპორტირების აუცილებლობამ. XIX საუკუნის 80-იან წლებამდე ბათუმის პორტში შედიოდა მცირე წყალწყვის გემები. რუსეთის იმპერიის მიერ ბათუმის დაპყრობის შემდეგ (1878 წ.) ქა-

ლაქი განვითარდა. ეტაპობრივად უმჯობესდებოდა ქალაქისა და ნავსადგურის ინფრასტრუქტურა.

პორტის განვითარებისათვის მნიშვნელოვან ღონისძიებებს ატარებდა **ბათუმის ნავსადგურის საქმეთა წარმომადგენლობა**. აჭარის საარქივო სამმართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივის „ბათუმის ნავსადგურის საქმეთა წარმომადგენლობის“ ფონდში (ფონდი ი-17) დაცულია მრავალმხრივ საყურადღებო დოკუმენტები ნავსადგურის განვითარებისათვის ამ სტრუქტურის საქმიანობის შესახებ. ნავსადგურის საქმეთა წარმომადგენლობა უზრუნველყოფდა პორტის განვითარებას, საქონლის მოძრაობის კოორდინაციას, ტვირთების მიღება-გაგზავნის ორგანიზებას და ა. შ. პორტთან დაკავშირებული საარქივო დოკუმენტების ანალიზი საშუალებას გვაძლევს გავითვალისწინოთ ნავსადგურის საქმეთა წარმომადგენლობის საქმიანობის როგორც ეკონომიკური, ასევე სოციალური ასპექტები.

მეთოდები

კვლევა ეფუძნება საარქივო დოკუმენტების მოძიებას, წყაროთა დამუშავებისა და კლასიფიცირების აპრობირებულ მეთოდოლოგიას და ისტორიულ-დოკუმენტურ ანალიზს. კვლევისათვის შეირჩა მხოლოდ ის მასალები, რომლებიც ეხებოდა ნავსადგურის წარმომადგენლობის საქმიანობას, სავაჭრო ურთიერთობებს თუ ადმინისტრაციულ გადაწყვეტილებებს.

შედეგები

საარქივო დოკუმენტებმა გამოავლინა ბათუმის ნავსადგურის წარმომადგენლობის საქმიანობის ძირითადი მიმართულებანი, საკუთრივ: სამშენებლო მასალების შესყიდვა, სარემონტო სამუშაოების დროს გახარჯული თანხები, სხვადასხვა შინაარსის ინფორმაციები, შავი ზღვის ცემენტის მწარმოებელი საზოგადოებისათვის მიწის გამოყოფის ამსახველი დოკუმენტები, მიმოწერები ბათუმის პორტის განათებასთან დაკავშირებით, ბათუმის ყურეში ნავმისადგომის მშენებლობის ხარჯთაღრიცხვის პროექტი, წესები, ინსტრუქციები, ბათუმის ნავსადგურის საქმეთა წარმომადგენლობის სხდომების ჟურნალი, საკომუნიკაციო ქსელების გაფართოება, ტექნიკური გაუმჯობესების ღონისძიებანი და ა. შ. დოკუმენტური მასალები ცხადყოფენ, რომ ნავსადგურის წარმომადგენლობის საქმიანობა არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ ლოჯისტიკით. ფაქტობრივად იგი იყო ეკონომიკური და სოციალური ცენტრი, რომლის გავლენა ცდებოდა კონკრეტული ნავსადგურის საზღვრებს და გავლენას ახდენდა შავი ზღვის სხვა პორტებზე.

უმნიშვნელოვანეს შედეგად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე ახალი საარქივო მასალების მიმოქცევა სამეცნიერო ბრუნვაში.

მსჯელობა

შავი ზღვის პორტებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ბათუმის ნავსადგურს. იგი არის ბუნებრივ დრმაწყლიან უბეში მდებარე თანამედროვე საკონტეინერო თუ საბორნე მოწყობილობებით აღჭურვილი მაღალტექნოლოგიური პორტი, რომელსაც გააჩნია დიდტონაჟიანი გემების მიღების და არხის გარეშე პორტში შესვლის შესაძლებლობა.

ლოჯისტიკურ სამიანობას რამდენადმე წარმართავდა ბათუმის ნავსადგურის წარმომადგენლობა, რომლის საქმიანობას ასახავს აჭარის საარქივო სამმართველოს ცენტრალურ არქივში დაცული „**ბათუმის ნავსადგურის საქმეთა წარმომადგენლობის**“ რვა საქმეთა ერთეულისაგან შემდგარი ფონდი (ფონდი ი-17). მასში წარმოდგენილია მრავალმხრივ საყურადღებო დოკუმენტები ნავსადგურის განვითარებისათვის ამ სტრუქტურის საქმიანობის შესახებ.

ფონდში დაცულია: ოქმები, აქტები, მიმოწერები, სამუშაოების აღრიცხვის ჟურნალი, სამშენებლო მასალებისა და სარემონტო სამუშაოების დროს გახარჯული თანხების შესახებ ინფორმაციები, შავი ზღვის ცემენტის მწარმოებელი საზოგადოებისათვის მიწის გამოყოფის ამსახველი დოკუმენტები, მიმოწერები ბათუმის პორტის განათებასთან დაკავშირებით, ბათუმის ყურეში ნავმისადგომის მშენებლობის ხარჯთაღრიცხვის პროექტი, წესები, ინსტრუქციები, ბათუმის ნავსადგურის საქმეთა წარმომადგენლობის სხდომების ჟურნალი და ა. შ.

დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ ნავსადგურის ეფექტური მართვისათვის შექმნილი იყო კომერციული პორტების მომწყობი კომისიის ტექნიკური განყოფილება. **პირველ** საქმეში დაცული მასალებიდან ნათელი ხდება ზემოთაღნიშნული სტრუქტურის ზრუნვა პორტის განვითარებისათვის. საქმეში დაცულია კომერციული პორტების მომწყობი კომისიის ტექნიკური განყოფილების 1897 წლით დათარიღებული წერილი ბათუმის ნავსადგურის სამუშაოების უფროსისადმი. წერილის ავტორი მოითხოვს ბიუჯეტში ნავსადგურის ინტერესების გათვალისწინებას. წერილში დასაბუთებულია ნავსადგურისათვის თვითმზიდი მოწყობილობის შესყიდვის აუცილებლობა, რისთვისაც წერილის ავტორი ბიუჯეტში 350 000 რუბლის გათვალისწინებას მოითხოვს. დოკუმენტი ყურადღებას ამახვილებს ამ მანქანის დანიშნულებაზე. თვითმზიდი უპირველესად გათვლილი იყო ნავთობის სადგურის ტერიტორიის ნატანი მასალებისგან გასუფთავებისათვის. იგი შავი ზღვის კავკასიის სანაპირო ზოლსაც გაუწევდა მოემსახურებას. წერილში დაწვრილებითაა განხილული თვითმზიდი მანქანის სამუშაო შესაძლებლობები, გათვლილი იყო თუ სად, როგორ და რამდენად მობილურად შეიძლებოდა მისი გამოყენება ქვიშის, ქვიშა-დორღის გრუნტიან ადგილებში (ასსცსა, ფონდი ი-17, აღწ. 1, საქ. 1, ფ. 2).

საარქივო დოკუმენტებით, საკუთრივ 1897 წლის 23 სექტემბრის ოქმიდან ჩანს, რომ იმ დროისათვის ბათუმის პორტის სამუშაოების უფროსი იყო სწავლუ-


ლი სახელმწიფო მრჩეველი, იჟინერი **ნ. ზუბოვი**, საქმის მწარმოებელი ინჟინერი **ლენკვიჩი** და ბათუმის პორტის კონტროლიორის დამხმარე იყო **დ. ი. პეგოვი**. ინჟინერი **ნ. ზუბოვი** დაჟინებით მოითხოვდა ფოტის პორტის განკარგულებაში არსებული შესაბამისი შესაძლებლობების მანქანის დროებით გადმოცემას ბათუმის პორტისათვის, მაგრამ ინჟინერი **ა.ა. ბუნგე** (ტიტულიანი ბლანკი: **ინჟინერ ბუნგეს კონტრაგენტის კანტორა**) კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა ასეთი მანქანის ბათუმის ტერიტორიაზე გამოყენებას და სათანადო მოსაზრებებით ასაბუთებდა თავის პოზიციას. (ასსცსა, ფონდი ი-17, აღწ. 1, საქ. 1, ფ. 13).



ასსცსა, ფონდი ი-17, აღწ. 1, საქ. 3, ფ. 95

სასაწყობე მეურნეობის გარეშე წარმოუდგენელი იყო პორტის განვითარება. შესაბამისად, საჭირო იყო დამატებით ადგილების გამოყოფა. ადმინისტრაცია ძალ-ღონეს არ იშურებდა სასაწყობე მეურნეობის განვითარებისათვის. საარქივო დოკუმენტებში არის დასაბუთებული მოთხოვნები ბათუმის **იანტ კლუბისათვის**

(ბათუმის იახტ-კლუბის ვიცე-კომანდორ **ზახარინის** თხოვნა (ასსცსა, ფონდი ი-17, აღწ. 1, საქ. 3, ფ. 94), **მარგანეცის საწყობისათვის** მეორე გილდიის ვაჭრის **მანუილ სტეფანეს ძე მანუილიდისის** თხოვნა (ასსცსა, ფონდი ი-17, აღწ. 1, საქ. 3, ფ. 138), **სპირო ივიროპულოსათვის სიმინდის საწყობის** ასაშენებლად (ასსცსა, ფონდი ი-17, აღწ. 1, საქ. 3, ფ. 6), **მარგანეცის საწყობისა ი. კ. აბაშიძის** თხოვნა (ასსცსა, ფონდი ი-17, აღწ. 1, საქ. 3, ფ. 147), და სხვა ობიექტებისათვის მიწის გამოყოფის შესახებ. საქმეში არის იახტ კლუბისათვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთის გეგმა 1906 წლის ბათუმის პორტის და რკინის საწყობების განლაგების, ასევე კერძო პირთა ნაკვეთების გეგმები.



ასსცსა, ფონდი ი-17, აღწ. 1, საქ. 3, ფ. 104

დაწვრილებით არის განხილული მაღაზიის და სასაწყობე შენობის პროექტები. პროექტების დამკვეთია **შავი ზღვის ცემენტის მწარმოებელი** საზოგადოება, (ასსცსა, ფონდი ი-17, აღწ. 1, საქ. 5, ფ. 2). დოკუმენტს ხელს აწერს ცემენტის ქარხნის დირექტორი **გერმან სიგიზმუნდის ძე ლივენნი** და დათარიღებულია 1903

წლის 24 ნოემბრით. როგორც ჩანს, პირველი პროექტი ტექნიკური უზუსტობების გამო არ დამტკიცებულა. შესწორებული ვარიანტი კი 1904 წლის 21 იანვარს მოუწონებიათ. სამუშაოების შემსრულებელი ყოფილა **შუბინსკი**, ხოლო ხელმძღვანელი ინჟინერი **ა. ჰომორცევი**. საქმეში სრულადაა წარმოდგენილი აქტები, შეთანხმებები, საიჯარო ხელშეკრულებები, რომელიც მთელი რიგი მოთხოვნების გათვალისწინებით გაფორმებულა აღნიშნულ საზოგადოებასთან. დოკუმენტის ბოლო ვერსიის მიხედვით, საზოგადოებისათვის 1905 წლის იანვრამდე გამოუყიათ 200 კვ. საყენი მიწის ნაკვეთი. დოკუმენტს ხელს აწერენ: პოლიცემისტერის თანაშემწე კაპიტანი **კურდიუმოვი**, ბათუმის პორტის სამუშაოების უფროსი ინჟინერი **ა. ჰომორცევი**, აგენტი **დ. არნო**, ძმები ნობელების წარმომადგენელი **გაგერი**, ბათუმის საქალაქო მმართველობის წევრი **ივანოვი**, შავი ზღვის ცემენტის მწარმოებელი საზოგადოების წარმომადგენელი **რ.კ. ეგერტი**, პროკურორის თანაშემწე **რეიჯკი**, ბათუმის საბაჟოს მმართველი **სობოტოვიჩი**, პორტის უფროსის დამხმარე **კ. პეტროვი**, სავაჭრო სახლი „შუტცი და ციმერმანი“-ს წარმომადგენელი **პ. შუტცი**, პორტის უფროსი პოდპოლკოვნიკი ბარონი **ა.ა. ფიტინგოფი**, საპორტო სამმართველოს საქმის მწარმოებელი **ოლენდზკი** (ასსცსა, ფონდი ი-17, აღწ. 1, საქ. 5, ფ. 24).

პორტის შემდგომი განვითარება დღის წესრიგში აყენებდა ნავთობის ნავსადგურში რეზერვუარების გაწმენდის აუცილებლობას. ვიცე-ადმირალ **გრევეს** ამასთან დაკავშირებით გაუცია კიდეც სათანადო განკარგულება. განკარგულების მიხედვით გამწმენდი მანქანა უნდა განთავსებულიყო მითითებულ პროფილებს შორის. სიღრმე უნდა ყოფილიყო არანაკლებ 25 ფუნტი. 1897 წ. 25.სექტემბრისათვის უკვე გასაწმენდად მოუშაადებიათ ტერიტორიაც და შესაბამისი ტექნიკაც. როგორც ჩანს, აღნიშნული სამუშაოების შესრულებას ჰყავდა მოწინააღმდეგეებიც. ეს ჩანს საარქივო დოკუმენტიდან, რომლის მიხედვითაც ბათუმის კომერციული პორტის კაპიტანს კატეგორიულად მოთხოვეს, რათა აღნიშნული სამუშაოების ჩატარებაში ხელი არ შეეშალა (ასსცსა, ფონდი ი-17, აღწ. 1, საქ. 1, ფ. 13).

ნავმისადგომის განვითარება წყლის ფსკერის გასუფთავებასთანაც იყო დაკავშირებული. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა „მიწისმთხრელი ბათუმი“. დოკუმენტებში მის შესახებაც არის საუბარი. საქმეში წარმოდგენილია ნებაყოფილობითი ფლოტის აგენტის განცხადება, რომლის მიხედვითაც 1897 წლის 28 ოქტომბერს ხომალდი „ხერსონი“ წამოდებია უცხო სხეულს და დაზიანებულა. ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით და ლოცმანის მითითებით მყვინთავებს დაუთვალეირებინათ ავარიის ადგილი და აღმოუჩენიათ ოდესღაც ჩაძირული გემის ნაწილები. აქტიდან ირკვევა, რომ ფსკერი უნდა გასუფთავებულიყო „მიწამთხრელ ბათუმი“-ს საშუალებით, თუ კი ეს ვერ მოხერხდებოდა, მაშინ უნდა გამოყენებინათ მცურავი ამწე (ასსცსა, ფონდი ი-17, აღწ. 1, საქ. 1, ფ. 21).


განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა პორტის განათებას. საქმეში წარმოდგენილია ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის ტიტულიანი ბლანკზე დაწერილი საგუბერნიო მმართველობის წერილი მიხეილის ციხესიმაგრის კომენდანტი-სადმი - **იოსებ მოსეს ძე პეიზელის** მიერ სანაპიროსა და ბათუმის პორტის ნავთობით განათებასთან დაკავშირებული 1896 წ. კონტრაქტის მოპოვების შესახებ. ირკვევა, რომ ხანძრის საშიშროებიდან გამომდინარე, ნავთობით განათება მანამდე არ იყო ნებადართული. დაშვებული იყო მხოლოდ ელექტროგანათება. 1896 წ. 4 დეკემბრის № 7 ოქმის მიხედვით რომ **პეიზელისათვის** დაუვალეზიათ 155 ფანრის დაყენება და პორტის ტერიტორიის განათება. საქმეშია აგრეთვე **პეიზელის** ანგარიში და და მოთხოვნა განათებისათვის წაბლის ბოძების და ლამპიონების მიწოდების შესახებ (ასსცსა, ფონდი ი-17, აღწ. 1, საქ. 1, ფ. 45,46).

წარმომადგენლობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა გემებისა და კატერების გამართულ მუშაობას. ფონდის N 2 საქმეში მრავლადაა ნავსადგურის საქმეთა წარმომადგენლობის შესაბამისი ოქმები და მიმოწერები 1896-1902 წლებში. დოკუმენტებში საუბარია აგრეთვე გემებისა და კატერების შეკეთებაზე გახარჯული მასალის შესახებ. ირკვევა, რომ ბათუმის პორტს არ ჰქონდა საბუქსირე გემი და გემბანიანი ნავი. 1897 წლიდან აქტუალური გამხდარა მათი შექენის საკითხი. შესაბამისად, 1901 წ. გაფორმდა ხელშეკრულება ბათუმის საქალაქო მმართველობას, ეკატერინგოფის გემთმშენებელ და **ჯეიმს პულმანის** მექანიკურ ქარხანას შორის. ხელშეკრულებიდან ჩანს, რომ გემს ხანძარსაწინააღმდეგო დანიშნულებაც უნდა ჰქონოდა. შემოსენებული მანქანის ნაწილები მზადდებოდა პეტერბურგში, ხოლო მისი აწყობა ხდებოდა ბათუმში (ასსცსა, ფონდი ი-17, აღწ. 1, საქ. 2, ფ. 1).

ნომერ მეოთხე საქმეთა ერთეულში წარმოდგენილია დადგენილებები, ოქმები, მიმოწერები, სხვადასხვა შინაარსის ინსტრუქციები, საგადასახადო ცვლილებებთან დაკავშირებული დოკუმენტები, ბათუმის საპორტო სამმართველოს ბილეთები და მისი გაცემის წესები და ა. შ. ბილეთს თან ერთვის ტალონი. ბილეთსაც და ტალონსაც ერთი და იგივე ნომერი ჰქონდა. დოკუმენტში მითითებულია აგრეთვე მცურავი საშუალების სახეობები (ორთქმავალი, გემი), სად შეეძლო გემს გაჩერება, რისთვის ჩერდებოდა, ბილეთი როდის იყო გაცემული, რამდენ ხანს შეიძლებოდა ბილეთით სარგებლობა და ა. შ. ბილეთზე იყო პორტის ზედამხედველის ხელმოწერა (ასსცსა, ფონდი ი-17, აღწ. 1, საქ. 4, ფ. 33-38, 20-32). ბათუმის ნავსადგურის საქმეთა წარმომადგენლობის სხდომის ჟურნალი, წესები, ინსტრუქციები და მიმოწერები საპორტო საწყობების ექსპლოატაციის პროცედურების შესახებ, საიჯარო ხელშეკრულებები, მოიჯარეებისათვის მიწის გამოყოფა და სხვა დოკუმენტები მრავლადაა N6 და N 8 საქმეთა ერთეულებში. როგორც ჩანს, წარმომადგენლობა დღენიადაგ ზრუნავდა საქმიანი ურთიერთობების დამყარებას სხვადასხვა პორტებთან. ამის დასტურია საქმიანი მომოწერები ბაქოს, ქერჩის, როსტოვის,

ნოვოროსისკის, იალტის, ფეოდოსიის, კრასნოვოდსკის, პეტროვსკის სავაჭრო პორტებთან, აგრეთვე, მარიუპოლის, ხერსონის, ოდესის, ნიკოლაევის, ლიბავის, ვინდავას, რეველსკის, ტაგანროგის, ს-პეტერბურგის, რიგის და შავი ზღვა-დუნაის საზოგადოებებთან (ასსცსა, ფონდი ი-17, აღწ. 1, საქ. 7, ფ. 22-33).

ნავსადგურისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო რკინის მისადგომი, ნავსადგურის გაფართოება და სხვა ღონისძიებების გატარება. ახალი რკინის მისადგომს დაჟინებით ითხოვდა საქალაქო თვითმმართველობა. იგი უნდა მოწყობილიყო ბათუმის ყურეში, გუბერნატორის თანამემწის საცხოვრებელი სახლის მოპირდაპირე მხარეს. საქმეში არის გეგმაც, რომელიც დათარიღებულია 1902 წლით და ხელმოწერილია ბათუმის ქალაქის არქიტექტორის **ა. ბენკლიანცის** მიერ.



ასსცსა, ფონდი ი-17, აღწ. 1, საქ. 7, ფ. 4

წარმომადგენლობა ძალ-ღონეს არ იძურებდა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად ნავსადგურის გაფართოებისათვის. აღნიშნულის დასტურად საარქივო დოკუმენტებში წარმოდგენილია ნავმისადგომის გაფართოების (ასსცსა, ფონდი ი-17, აღწ. 1, საქ. 8, ფ. 62), ნავმისადგომის რკინის კონსტრუქციის (ასსცსა, ფონდი ი-17, აღწ. 1, საქ. 8, ფ. 92), 500 კვ. საჟენზე გათვალისწინებული რკინა-ბეტონის საწყობის (ასსცსა, ფონდი ი-17, აღწ. 1, საქ. 8, ფ. 308), რკინა-ბეტონის ნავმისადგომის და ბათუმის სააგენტოს ნავმისადგომების შეერთების პროექტები.

ადმინისტრაციის და წარმომადგენლობის საქმიანობა აისახა ტვირთბრუნვაზე. 1883 წელს ბათუმის ნავსადგურიდან გავიდა 3,3 მილიონი ფუთი ნავთობი, 1913 წელს კი 93 მილიონ ფუთ ნავთობზე მეტი. ამას ხელი შეუწყო ბათუმში რკინიგზის გაყვანამ, (1883 წელი), ტანკერების და მშრალი ტვირთის გემების ნავმისადგომის აშენებამ (1893 წელი) და ბაქო-ბათუმის ნავთობსადენის გაყვანამ (1907 წელი) („ბათუმის საზღვაო ნავსადგური“, 2025).

დღეისათვის ბათუმის ნავსადგური წარმოადგენს ევროაზიური და საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფნის უმნიშვნელოვანეს ნაწილს, ევროპისა და აზიის დამაკავშირებელ უმთავრეს პორტს. ნავსადგური უკავშირდება კავკასიის, ცენტრალური აზიის, რუსეთის და თურქეთის ქვეყნებს საავტომობილო და სარკინიგზო გზებით. ნავსადგურს გააჩნია **ნავთობის, მშრალი ტვირთების, საკონტეინერო, სამგზავრო ტერმინალები და სარკინიგზო-საბორნე გადასასვლელი (ქსე, 1977:151)**. აღნიშნული ტერმინალები აღჭურვილია სათანადო ამწე-მოწყობილობებით, რაც ხელს უწყობს ტვირთების დროულ და ხარისხიან გადამუშავებასა და ნავსადგურის კლიენტთა მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

საარქივო წყაროები:

აჭარის საარქივო სამმართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივი, (ასსცსა) ფონდი ი-17, აღწ. 1, საქ. 1, ფ. 2, 13, 21, 45, 46
ასსცსა, ფონდი ი-17, აღწ. 1, საქ. 2, ფ. 1
ასსცსა, ფონდი ი-17, აღწ. 1, საქ. 3, ფ. 6, 94, 95, 104, 138, 147,
ასსცსა, ფონდი ი-17, აღწ. 1, საქ. 4, ფ. 33-38, 20-32
ასსცსა, ფონდი ი-17, აღწ. 1, საქ. 5, ფ. 2, 24
ასსცსა, ფონდი ი-17, აღწ. 1, საქ. 7, ფ.4, 22-33
ასსცსა, ფონდი ი-17, აღწ. 1, საქ. 8, ფ. 62, 92, 308

ლიტერატურა:

გოგოლაშვილი 2014: გოგოლაშვილი თ. „ნიკოლოზ ლენდერი“. ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები №15. თბილისი, 2014;

ნაკაშიძე 2016: ნაკაშიძე ნ. საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის მენეჯმენტის სრულყოფის ღონისძიებები. თბილისი, 2016;

ქართული 1977: ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 2, თბ.,1977

ინტერნეტ რესურსები:

ბათუმის საზღვაო ნავსადგური. (2025, 6 ოქტომბერი). ვიკიპედია.

https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%91%E1%83%90%E1%83%97%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%96%E1%83%A6%E1%83%95%E1%83%90%E1%83%9D_%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%93%E1%83%92%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98

References

Archival sources:

Central State Archives of Archives Administration of Ajara, fund E-17, description 1, case 1, paper 2, 13, 21, 45-46;
csaaaa, fund E-79, description 1, case 2, paper 1;
csaaaa, fund E-79, description 1, case 8, paper 2-3;
csaaaa, fund E-79, description 1, case 3, paper 6, 94, 95, 104, 138, 147;
csaaaa, fund E-79, description 1, case 4, paper 33-38, 20-32;
csaaaa, fund E-79, description 1, case 5, paper 2, 24;
csaaaa, fund E-79, description 1, case 7, paper 4, 22-33;
csaaaa, fund E-79, description 1, case 8, paper 62, 92, 308.
Georgian. Georgian Soviet Encyclopedia, vol. 2, Tbilisi, 1977.

Literature:

Gogolashvili 2014: Gogolashvili O. "Nikolos Lander". New and Recent History Issues №15. Tbilisi, 2014;
Nakashidze 2016: Nakashidze N. Measures to Improve the Management of Georgian Maritime Transport. Tbilisi, 2016;
Georgian 1977: Georgian Soviet Encyclopedia, Vol. 2, Tbilisi, 1977

Internet source:

Batumi Sea Port. (2025, October 6). In *Wikipedia*.
https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%91%E1%83%90%E1%83%97%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%96%E1%83%A6%E1%83%95%E1%83%90%E1%83%9D_%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%93%E1%83%92%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98

საარქივო დოკუმენტები

აჭარის საარქივო სამმართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივი,
ფონდი რ-178, საქმე N 29
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 1923 წლის სასოფლო-სამეურნეო
აღწერის მონაცემები

აჭარის საარქივო სამმართველოს ფონდებში დაცული დოკუმენტების პუბლიკაცია აღნიშნული სამსახურის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენს. ამჯერად მკითხველს ვთავაზობთ ფონდ რ-178-ის N 29 საქმეთა ერთეულში დაცული მასალების ერთ ნაწილს, რომელშიც ასახულია **თანამედროვე ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 1923 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის** შედეგები. დოკუმენტი წარმოდგენილია ცხრილების სახით. მასში არის კომლობრივი შემადგენლობის სახელობითი სიები – ოჯახის უფროსის, ოჯახის წევრთა რაოდენობის, სქესობრივი სტრუქტურის, ნათესი ფართობების, საქონლის (მსხვილფეხა, წვრილფეხა, ცხენების) რაოდენობის მითითებით.

ვიმედოვნებთ, რომ მკითხველი გაგებით მოეკიდება დედანიდან დოკუმენტების ბეჭდვის დროს დაშვებულ შეცდომებს და შესაძლო უზუსტობებს. დოკუმენტში არაერთი სიტყვის, სახელის თუ გვარის ამოკითხვა გარკვეულ სირთულესთან არის დაკავშირებული. ბევრი სიტყვა, სახელი თუ გვარი გაურკვევლადაა დაწერილი, თანაც ფანქრით, რაც ართულებს დოკუმენტის სწორად ამოკითხვას. როგორც ჩანს, ზოგიერთი ანთროპონიმი თავად აღმწერს არასწორად ჩაუწერია.

ნიშანდობლივია ერთი მნიშვნელოვანი გარემოება. აღწერის მასალებიდან ჩანს, აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე მოსახლეობის დიდ ნაწილს აღუდგენია ან მექანიკურად მიუღია ქართული გვარები. ეს განსაკუთრებით ითქმის მაღალმთიანი აჭარის მოსახლეობაზე, ხოლო ბარის ზონაში, საკუთრივ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში გვარების გარკვეული ნაწილი კვლავაც ოდლი დაბოლოებით არის წარმოდგენილი.

ამჯერად ჩვენი მიზანი არაა წარმოდგენილი საარქივო დოკუმენტის ანალიზი. ვფიქრობთ, ამას თავად მკითხველი გააკეთებს. დავძენთ მხოლოდ, რომ დოკუმენტი უაღრესად საინტერესოა არა მარტო სპეციალისტებისათვის, არამედ აღნიშნული საკითხებით დაინტერესებული ყველა ადამიანისათვის.

ბარცხანის თემი

ადმწერი - რომანოზი
სოფ. ახალშენი

№	მეკომურის სახელი და გვარი	მცხოვრები			ნათესი (საზომი პინა)	ბაღი და ვენახი (საზომი პინა)	პ ი რ უ ტ ყ ვ ი				
		მამაკაცი	დედაკაცი	ს უ ლ			საერთო რიცხვი	მათ შორის			
								ცხენი	მსხვილფე. ღქი- ნი საქონელი	ცვარი და თხა	დანარჩენი
1	სელიმ-ოღლი ხასან	1	5	6	2 ^{1/260}	250	3	-	3	-	-
2	თედორაძე ომერ	2	2	4	1 ⁴⁰	-	2	-	2	-	-
3	ვარშანიძე მამულ	1	4	5	1 ^{5/8}	-	3	-	3	-	-
4	ბაკურიძე ზორბეგ	2	4	6	1 ^{5/8}	-	2	-	2	-	-
5	ვარშანიძე ამელ	2	2	4	-	-	1	-	1	-	-
6	სელიმ-ოღლი ოსმან	4	2	6	1 ¹⁰⁰	-	1	-	1	-	-
7	ვეზირ-ოღლი სულეიმან	4	4	8	5/8	-	3	--	3	-	-
8	სელიმ-ოღლი მუსთაფა	1	1	2	1/3 ²⁰	-	1	-	1	-	-
9	სელიმ-ოღლი ჰაიდარ	2	2	4	1 ²⁰⁰	-	-	-	-	-	-
10	კარა ოსმან- ოღლი ხატინჯე	1	1	2	1/2	-	2	-	2	-	-
11	სელიმ-ოღლი ჯემალ	5	3	8	1 ^{7/12}	-	7	-	7	-	-
12	არაბ-ოღლი ისლამ	4	4	8	1/4	-	2	-	2	-	-
13	ტარიელ-ოღლი მოლა ახმედ	4	2	6	1/2 ²⁰	-	3 ^(1/2)	(1/2)	3	-	-
14	ტარიელ-ოღლი მურად	4	1	5	7/1	-	3 ^(1/2)	(1/2)	3	-	-
15	ტარიელ-ოღლი რეჯებ	1	2	3	3/8	-	-	-	-	-	-
16	ტარიელ- ოღლიშაინ	1	1	2	1/2 ³⁰	-	4	1	3	-	-
17	დოდან ჯალალ- ოღლი თოფი	5	2	7	1 ²⁰	-	3	-	3	-	-
18	ტარიელ-ოღლი აიდარ	3	1	4	1 ^{1/4}	-	1	-	1	-	-

19	ბაშუნ-ოღლი ოსმან	1	2	3	$1^{1/2}$ ⁴⁶	-	3	-	3	-	-
20	ბაშუნ-ოღლი ხუსეინ	2	3	5	1^{10}	$\frac{1}{2}$	2	-	2	-	-
21	ბაშუნ-ოღლი სულეიმან	1	1	2	10	-	-	-	-	-	-
22	დურგელ-ოღლი ხასან	2	1	3	$\frac{1}{2}$	-	3	-	3	-	-
23	დურგელ-ოღლი ოსმან	2	1	3	$1^{1/4}$	-	2	-	2	-	-
24	დურგელ-ოღლი იბრაჰიმ	1	-	1	$1^{2/3}$	-	-	-	-	-	-
25	ოსმან-ოღლი მუსტაფა	2	1	3	$\frac{1}{2}$	$\frac{1}{2}$	1	1	-	-	-
26	სულეიმან-ოღლი ალირიზა	3	2	5	-	1	3	-	3	-	-
27	ხაჯი ემინ ზადე	2	5	7	1^{20}	$\frac{1}{2}$	2	-	2	-	-
28	ხაჯი ემინ ზადე ნაზიმი	2	-	2	$\frac{1}{4}^{10}$	$\frac{1}{2}$	-	-	-	-	-
29	ქაჯაია მოლაოსმან	2	1	3	$\frac{1}{4}^{50}$	-	1	-	1	--	-
30	ვერდაძე იბრაიმ	2	4	6	$1^{5/8}$	-	2	-	2	-	-
31	ვერდაძე ოსმან	3	2	5	$1^{1/2}$	-	3	-	3	-	-
32	დელიგუთოღლი ომერ	3	3	6	$1^{1/2}$ ⁶⁰	-	3	-	3	-	-
33	მემი ეფენდი ზადე იბრაიმ	2	2	4	$\frac{1}{4}^{20}$	1	3	-	3	-	-
34	დელიგუთოღლი ისმაილ	4	4	8	20	$\frac{1}{2}$	1	-	1	-	-
35	შამილ ოღლი მევლუდ	3	3	6	$2^{1/2}$ ⁵⁵	$\frac{1}{4}^{30}$	7	1	6	-	-
36	მოლა სელიმან- ოღლი ალი	4	3	7	$1^{1/2}$	-	3	-	3	-	-
37	მოლა სელიმან- ოღლი მუსტაფა	4	2	6	$\frac{3}{8}$	-	3	-	3	-	-
38	მოლა სელიმან- ოღლი ოსმან	1	3	4	$\frac{1}{2}$	-	1	-	1	--	-
39	ლავას-ოღლი მუსტაფა	2	1	3	$\frac{1}{2}$	-	-	-	-	-	-
40	ლავას-ოღლი რეჯებ	1	3	4	$\frac{1}{2}$	-	1	-	1	-	-
41	სადიკ-ოღლი ალი	2	3	5	$\frac{1}{2}$	-	1	-	1	-	-
42	ზურკილ-ოღლი იუნუს	2	3	5	$\frac{1}{2}$	-	1	-	1	-	-

43	ქოსა მემედოღლი მუხერემ	2	2	4	$\frac{1}{2}$	-	-	-	-	-	-
44	ქოსა მემედოღლი ახმედ	3	3	6	$\frac{3}{4}^{40}$	-	-	-	-	-	-
45	ქოსოღლი ასლან	3	2	5	$\frac{1}{2}$	-	2	-	2	-	-
46	თოფალოღლი სალი	1	3	4	$\frac{1}{2}$	-	2	-	2	-	-
47	დემირჯოღლი მემედ	1	3	4	$\frac{1}{2}$	-	2	-	2	-	-
48	გორაძე ხასან	2	2	4	$\frac{1}{4}$	-	1	-	1	-	-
49	გორაძე იუსუფ	2	3	5	1	-	1	-	1	-	-
50	ანანიძე იუსუფ	1	3	4	$\frac{1}{8}$	$\frac{1}{4}$	3	-	3	-	-
51	ახმედ ოღლი დურსუნ	3	1	4	$\frac{1}{2}$	-	2	-	2	-	-
52	ახმედ ოღლი რასიმ	2	3	5	$\frac{1}{2}^{10}$	-	1	-	1	-	-
53	გორაძე იბრაიმ	3	2	5	1^{30}	-	2	-	2	1	-
54	სელიმ ოღლი მურად	2	3	5	1^{40}	-	2	-	2	-	1
55	ფარტენაძე ხულუზ	3	2	5	3	-	2	1	-	-	-
56	სურმანიძე იუსუფ	3	3	6	$\frac{1}{2}$	-	1	-	-	-	-
57	კაკაბაძე ისმაილ	1	2	3	$\frac{1}{2}^{30}$	-	-	-	-	-	-
58	თოფალ ოღლი ალი	4	2	6	$\frac{1}{2}^4$	-	1	-	1	-	-
59	მემედ ბაიასტაროღლი ხასან	2	4	6	4^{40}	-	6	1	5	-	-
60	გორაძე ხასან	2	3	5	1^{10}	-	6	-	6	-	-
61	კურცხალოღლი ახმედ	3	4	7	1	-	2	-	2	-	-
62	ხაჯი ოღლი ეიუბ	6	3	9	$1^{1/4}$	-	4	-	4	-	-
63	შამილ ოღლი მემედალი	3	5	8	$1^{1/2 30}$	-	5	-	5	-	-
64	შამილ ოღლი ახმედ	3	5	8	1^{80}	-	4	-	4	-	-
65	შამილ ოღლი მემედ	2	4	6	1^{80}	-	4	-	4	-	-
66	კურცხალოღლი ხუსეინ	2	3	5	1^{80}	-	4	-	4	-	-
67	ხაჯიოღლი შაინ	4	4	8	$1^{1/2 80}$	-	5	-	5	-	-
68	ფიალოღლი რეჯებ	2	2	4	100	-	1	-	1	-	-

69	ფიალოლდი ოსმან	4	3	7	1^{100}	-	3	-	3	-	-
70	ფიალოლდი ხუსეინ	4	5	9	$\frac{1}{4}$	-	1	-	1	-	-
71	ქუქარ ოლდი ხაჯიმეძედ	4	1	5	1	-	3	-	3	-	-
72	ქუქაროლდი ახმედ	3	1	4	$\frac{5}{8}$	-	3	-	3	-	-
73	კუმანდიროლდი დურსუნ	3	5	8	$\frac{1}{4}$	--	-	-	-	-	-
74	კარიოლდი მოხერემ	2	2	4	$\frac{3}{4}$	-	1	-	1	-	-
75	ოსანაძე ხუსეინ	4	4	8	$1\frac{1}{2}^{50}$	-	2	-	2	-	-
76	ოსანაძე აზაბ	2	3	5	1^{20}	-	3	-	3	-	-
77	დოლიძე ხასან	4	5	9	$\frac{1}{4}$	-	14	1	4	9	-
78	ანანიძე ხასან	2	4	6	$\frac{1}{4}$	-	3	-	3	-	-
79	ფუთელოლდი დემურალი	5	7	12	$\frac{1}{2}^{20}$	-	5	-	5	-	-
80	დუმბაძე ხასან	3	3	6	$\frac{1}{2}^{100}$	-	2	-	2	-	-
81	ბაიხტაროლდი მოლახასან	1	4	5	$\frac{1}{2}^{12}$	-	3	-	3	-	-
82	დუმბაძე ხუსეინ	2	2	4	1	-	2	-	2	-	-
83	გორაძე ხუსეინ	1	3	4	$\frac{1}{2}^3$	-	2	-	2	-	-
84	ჭინკაძე რეჯებ	4	2	6	1^{100}	-	6	-	6	-	-
85	გორაძე მოლასულეიძე	5	1	6	1^{200}	-	3	-	3	-	-
86	გორაძე დურსუნ	3	3	6	$1\frac{1}{2}$	-	2	-	2	-	-
87	გორაძე სულეიძე	2	3	5	$1\frac{1}{2}^{25}$	-	4	1	1	2	-
88	გორაძე ემინ	2	3	5	1^{25}	-	3	1	2	-	-
89	ფუტკარაძე მურად	2	5	7	1^{10}	-	1	-	1	-	-
90	გორაძე კახრამან	4	5	9	1^{35}	-	6	1	5	-	-
91	გორაძე სალიხ	3	3	6	1^{10}	-	4	-	4	-	-
92	კოპლაძე სულეიძე	5	4	9	$1\frac{1}{8}$	-	3	-	3	-	-
93	კოპლაძე აღმას	1	7	8	$1\frac{3}{4}$	-	4	-	4	-	-
94	კოპლაძე მურად	2	2	4	$1\frac{3}{4}$	-	6	-	4	2	-
95	გორაძე ახმედ	4	3	7	$\frac{3}{8}$	-	6	-	3	3	-
96	ჭონკაძე ბურხან	3	3	6	$1\frac{1}{2}^{25}$	-	4	-	4	-	-
97	ჭინკაძე მემედალი	4	2	6	20	-	2	-	2	-	-
98	ჭინკაძე ოსმან	1	1	2	$\frac{1}{4}$	-	13	1	3	9	-
99	ჭინკაძე ხუსეინ	4	1	5	$\frac{5}{8}$	-	1	-	-	-	1

100	დელიახმედოღლი ახმედ	5	3	8	2 ¼	-	7	-	3	4	-
101	ჭინკაძე სულეიმან	3	3	6	½	-	6	-	1	5	-
102	გორაძე შაინ	2	3	5	1 1/8	-	8	-	2	6	-
103	გორაძე სულეიმან	2	5	7	1 ²⁰⁰	-	6	2	4	-	-
104	კაბაოსმანოღლი ალი	3	3	6	¾ ²⁰	-	9	-	-	9	-
105	სედიოღლი ხუსეინ	1	6	7	½ ³⁰	-	4	-	2	2	-
106	კარა ბეჯიროღლი სულეიმან	4	3	7	4 1/12	80	17	-	5	12	-
107	კარა ბეჯიროღლი ჰეიმიდე	-	2	2	¼	-	2	-	2	-	-
108	კარა ბეჯიროღლი ემინ	4	1	5	2	-	4	1	3	-	-
109	კარა ბეჯიროღლი დაუდა	3	2	5	1 ¼	-	2	-	2	-	-
110	კარა ბეჯიროღლი დურსუნ	1	1	2	½	-	1	-	1	-	-
111	კარა ბეჯიროღლი ისმაილ	2	4	6	1 ¼	-	2	-	2	-	-
112	თეჟილ ოღლი ომერ	5	2	7	½	-	8	-	1	7	-
113	თეჟილ ოღლი სულეიმან	2	-	2	½	-	4	-	-	4	-
114	თევთიძე როზა	3	4	7	½	-	10	-	-	10	-
115	თეჟილ ოღლი სალი	2	1	3	½	-	4	-	2	2	-
116	ხაჯი ალ ოღლი მემედ	3	2	5	½ ¹⁰	-	1	-	1	-	-
117	მემედ ოღლი სულეიმან	1	-	1	½ ⁵⁰	-	1	-	1	-	-
118	ქურუკ ახმედ ოღლი მემედ	2	2	4	30	-	1	-	1	-	-
119	ჩილიკოღლი ვაივარა	2	4	6	1 ½	40	1	-	3	-	-
120	საულიდი ხარლამჰე	4	4	8	½ ⁵	-	2	-	2	-	-
121	მუდა გიორგი	3	2	5	½	½	3	-	3	-	-
122	პარასკაოპულო არისტეიდი	4	5	9	¾ ⁵⁰	¾ ²⁵⁰	2 (1/2)	(1/2)	2	-	-
123	დონკაღლი გიორგი	2	2	4	-	-	-	-	-	-	-

124	ადამიდი ანტონ	4	2	6	$\frac{1}{4}$	-	2	-	2	-	-
125	პარასკეოპულო აფრამ	3	4	7	$\frac{3}{4}$ ⁵⁰	$\frac{3}{4}$ ²⁵⁰	2(1/2)	(1/2)	2	-	-
126	პარასკეოპულო ლაზარ	4	1	5	$\frac{1}{4}$	-	1	-	1	-	-
127	პარასკეოპულო ისაკ	3	1	4	1/8	-	-	-	-	-	-
128	პარასკეოპულო იოსკე	2	5	7	$\frac{1}{4}$	-	2	-	2	-	-
129	პარასკეოპულო ივანე	3	2	5	$\frac{1}{4}$	-	2	-	2	-	-
130	პარასკეოპულო კონსტანტინე	5	4	9	$\frac{1}{4}$	-	1	-	1	-	-
131	ორამატიკოპულო პანაიტი	1	5	6	$\frac{1}{4}$	-	1	-	1	-	-
132	ანდრიადი ანდრო	2	5	7	-	-	-	-	-	-	-
133	მალხასიან აფარონ	1	3	4	$\frac{1}{2}$	-	1	-	1	-	-
134	კაკულიდი აფინა	2	4	6	50	$\frac{1}{4}$	--	-	-	-	-
135	მაკარიდი ელენე	-	3	3	$\frac{1}{2}$ ²⁰	$\frac{3}{4}$	1	-	1	-	-
136	მავროპულო ივანე	1	-	1	$\frac{1}{2}$	-	-	-	-	-	-
137	კაისიდი ილია	3	3	6	$\frac{3}{4}$ ⁸⁰	$\frac{1}{4}$	2	-	2	-	-
138	კაკულიდი ანასტი	2	3	5	-	-	1	-	-	1	-
139	საულიდი დიმიტრი	2	6	8	$\frac{1}{4}$	-	3	1	2	-	-
140	კაისიდი კრისტეფ	5	7	12	$\frac{1}{4}$ ²⁰	-	-	-	-	-	-
141	პაპიანიდი პანტელეიმ	4	2	6	$\frac{1}{4}$ ⁶⁰	-	3	-	3	-	-
142	ნუდა ნიკოლაი	3	5	8	$\frac{1}{4}$ ⁶⁰	1	2	-	2	-	-
143	კაფიატი ევა	2	3	5	50	$\frac{3}{4}$	-	-	-	-	-
144	იზმანიდი ხრისტოს	3	2	5	$\frac{1}{2}$ ²⁵	-	2	-	2	-	-
145	იშხანიდი ივან	4	1	5	$\frac{1}{2}$ ²⁰	-	2	-	2	-	-
146	დელიანიდი აბრამ	2	2	4	$\frac{1}{4}$ ²⁵	$\frac{1}{4}$ ¹⁵⁰	4	1	3	-	-
147	დელიანიდი ისაკ	4	5	9	$\frac{1}{8}$ ⁸	$\frac{1}{4}$	3	-	3	-	-
148	პაპიანიდი კოზმა	2	4	6	1	$\frac{1}{2}$	2	-	2	-	-
149	პაპიანიდი ალექსი	2	2	4	$\frac{1}{2}$	$\frac{1}{4}$	3	-	3	-	-
150	იშხანიდი პავლე	3	3	6	$\frac{1}{2}$ ¹⁵⁰	-	4	-	4	-	-

151	პაპიანიდი ივანე	1	1	2	$\frac{3}{4}$	-	2	-	2	-	-
152	მურადილი კონსტანტინე	3	5	8	$\frac{1}{2}$ ⁴⁰	$1\frac{1}{4}$	2	-	2	-	-
153	ქეს-ოღლი ალექსი	3	2	5	$\frac{3}{6}$ ⁶	200	2	-	2	-	-
154	კარაბაშიდი ანდრო	4	3	7	$\frac{1}{2}$	1	2	-	2	-	-
155	კოფიადი ნიკიფორ	3	2	5	$\frac{1}{2}$	-	1	-	1	-	-
156	სარიტილი პანაიოტი	7	3	10	1	-	3	-	3	-	-
157	კრომლიდი აბრამ	3	3	6	$\frac{1}{4}$	$\frac{1}{4}$	4	-	4	-	-
158	ქსანდილი სებილან	2	3	5	1	-	-	-	-	-	-
159	ბაიხტარიფი პაველ	4	2	6	$\frac{1}{2}$	-	2	-	2	-	-
160	ანასტასიადი დიანისი	1	3	4	$\frac{1}{2}$ ⁵⁰	-	-	-	-	-	-
